

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №5

ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს  
შ ე წ ყ ვ ე ტ ა

საძიებელი

1. საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო
2. დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტა
  - დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები
  - კერძო საჩივარი საქმის წარმოების შემწყვეტაზე
  - საქმის წარმოების შეწყვეტა უშუალო და პირდაპირი ზიანის არარსებობის გამო
3. დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა
  - კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე
  - საქმის წარმოების განახლება და შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო
  - საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერების შემოწმება

# 1. საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

## განჩინება

1ბს-1666-1620(კ-08)

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

მ. ცისკაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 თებერვალს სპს «...» სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – ქ. ბათუმის მერიისა და თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 110 ოქმის ამონაწერის თანახმად, კომისიამ დაადგინა, რომ სპს «...» მოთხოვნა არ აკმაყოფილებდა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებით განსაზღვრულ პირობებს იმ საფუძველზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი იყო ქ. ბათუმის მერიის საკუთრება. შესაბამისად, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 23 იანვრის ბოლოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციითა და შესაბამისი დოკუმენტით მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 29 ოქტომბრის 11199 ბრძანების პირველი პუნქტის საფუძველზე სადავო მიწის ნაკვეთი სხვა ფართთან ერთად აღრიცხული იყო ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად, მაშინ, როცა სპს «...» წარმოადგენდა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთიდან (696 კვ.მ) 350 კვ.მ მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელს, ხოლო დანარჩენის – თვითნებურად დამკავებელს. აღნიშნული გარემოებები კი მას აძლევდა უფლებამოსილებას (რისი რეალიზაციაც მოახდინა კიდევ კომისიისათვის მიმართვით), მოეთხოვა ამ მიწის ნაკვეთზე დადგენილი წესით საკუთრების აღიარება. ქ. ბათუმის მერია კი ცდილობდა 2007 წლის 29 ოქტომბრის 11199 ბრძანებით გაემართლებინა კომისიის უარი მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე სპს «...» საკუთრების აღიარების თაობაზე. ქ. ბათუმის მერიას ამ გადაწყვეტილების მიღებამდე გამართული ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე არ უცნობებია მოსარჩელისათვის.

მოსარჩელის განმარტებით, კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა, როგორც «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონის, ისე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. ბათუმში, აღმამენებლისა და ტაბიძის ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 29 ოქტომბრის 11199 ბრძანებისა და სპს «...» მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 110 ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სპს «...» საკუთრების უფლების აღიარების დავალდებულება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით ყადაღა დაედო მოპასუხე ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით სპს «...» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 29 ოქტომბრის 11199 ბრძანება ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე, მოსარჩელის სარგებლობაში არსებული 696 კვ.მ მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ; სპს «...» სარჩელი თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლება-

მოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და 696 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სპს «...» საკუთრების უფლების აღიარებაზე ახალი აქტის გამოცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სპს «...» სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამაც, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; სპს «...» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე, მოსარჩელის სარგებლობაში არსებულ 696 კვ.მ მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ, ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 29 ოქტომბრის 11199 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სპს «...» სარჩელი ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 29 ოქტომბრის 11199 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 19 დეკემბერს სპს «...» დირექტორმა თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მიმართა და იმ მიწის ნაკვეთის დაკანონება მოითხოვა, რომელზეც მისი კუთვნილი ბენზინგასამართი სადგური იყო განთავსებული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სპს «...» დირექტორი საკუთრების უფლების აღიარებას ითხოვდა 696 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, აქედან 205 კვ.მეტრზე, როგორც მართლზომიერი მფლობელი, ხოლო დანარჩენ 491 კვ.მეტრზე, როგორც თვითნებურად დამკავებელი. 2008 წლის 3 იანვრის 110 ოქმით დასტურდებოდა, რომ სპს «...» დირექტორს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ განცხადებაში მითითებული მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად. ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებით ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების მიმდებარედ 7764 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხა თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად და სარეგისტრაციო სამსახურს დაევალი მითითებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის წერილით ირკვეოდა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ იყო წინააღმდეგი ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების მიმდებარედ 7764 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებულიყო თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არ იყო განთავსებული სახელმწიფო საკუთრების შენობა-ნაგებობები და არ იმყოფებოდა კერძო სამართლის სუბიექტის საკუთრებში ან სარგებლობაში. 2007 წლის 6 ნოემბერს ქ. ბათუმის მერიის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ... ქუჩის 1...-ში მდებარე 7764,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე სპს «...» საკუთრებაში არსებული რაიმე შენობა განთავსებული არ იყო, ხოლო სადავო მიწის ნაკვეთზე მდებარე ბენზინგასამართი სადგური სპს «...» სარგებლობაში იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლის განმარტებით, შენობის მფლობელობა და სარგებლობა ვერ განაპირობებდა ამ შენობის ქვეშ მდებარე მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებას კომისიის მიერ და ქ. ბათუმის მერია მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო სადავო ფართზე ბენზინგასამართი სადგურის განთავსების თაობაზე, არ იყო ვალდებული, მიწის საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაება ბენზინგასამართი სადგურის მფლობელი სპს «...». ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში სპს «...», როგორც დაინტერესებული მხარის, მონაწილეობის შემთხვევაშიც სადავო საკითხზე ანალოგიური შედეგი დადგებოდა – მიწის ნაკვეთი კვლავ მერიის საკუთრებად აღრიცხებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის «ა» პუნქტით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში იყო თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივანები, სკვერები და ა.შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა, აგრეთვე, ის მიწები, რომლებიც ექვემდებარებოდა დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონე-

ბა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას. იმავე კანონის 67-ე მუხლის მე-14 პუნქტით მითითა, რომ ამ კანონის 47-ე მუხლით განსაზღვრული, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ქონება (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივანები, სკვერები და ა.შ.) საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად უნდა დარეგისტრირებულიყო მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად განკარგვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, ამ კანონის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველო ორგანული კანონის პირველი მუხლის «ბ» პუნქტით თვითმმართველი ერთეული განმარტებული იყო, როგორც დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავდა თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ჰქონდა საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და დამოუკიდებელი იურიდიული პირი იყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილი იყო მიწის ნაკვეთი, რომელზედაც სპს «...» მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ბენზინგასამართი სადგური იყო განთავსებული, დაერეგისტრირებინა თვითმმართველი ქ. ბათუმის საკუთრებად. შესაბამისად, სპს «...» სასარჩელო მოთხოვნა ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 29 ოქტომბრის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც ქ. ბათუმის მერიამ საკუთრებად გამოაცხადა ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების მიმდებარედ არსებული 7764 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და იგი ამ უფლებით აღირიცხა საჯარო რეესტრში, უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ქ. ბათუმის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ სადავო მიწის ნაკვეთზე სპს «...» საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას სწორად ეთქვა უარი. ამასთან, აპელანტის – სპს «...» მიერ არ იქნა წამოყენებული დასაბუთებული სააპელაციო პრეტენზია, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «ა» პუნქტით მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც ფიზიკურ პირს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე. იმავე მუხლის «გ» პუნქტით თვითნებურად დაკავებული მიწა წარმოადგენდა ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ იყო განკარგული. იმავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი იყო, შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებდა კომისიის მეშვეობით. კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისა და ამ კანონით განსაზღვრული წესით. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის ?525 ბრძანებულებით დამტკიცებული «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ» მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარებოდა სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან/და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ სპს «...» დირექტორის მიერ კომისიაში წარდგენილი განაცხადის განხილვის დროისთვის სადავო 969 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ირიცხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მართებულად განაცხადა უარი მითითებულ ნაკვეთზე კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრების უფლების აღიარებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სპს «...». კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სადავო მიწის ნაკვეთი 2007 წლის 6 ნოემბერს აღირიცხა არა თვითმმართველი ერთეულის ქ. ბათუმის, არამედ ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 18 ოქტომბრის 116/2645/10-7 წერილი ქ. ბათუმის მერიას 2007 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებით არ უნდა მიეჩნია სპს «...» სარგებლობაში არსებული ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვე-

თაში მდებარე 696 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ერთეულის, მით უფრო, ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად აღრიცხვის საფუძველად, ვინაიდან «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მერია იყო თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად გაიზიარა ქ. ბათუმის მერიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე არ იყო თავის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის არც მართლზომიერი მფლობელი და არც თვითნებურად დამკავებელი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები – დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულების მეორე მუხლის პირველი პუნქტის «გ» და «ე» ქვეპუნქტების თანახმად, მიჩნეული უნდა იქნეს სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილის მართლზომიერი მფლობელობის, ხოლო ნაწილის თვითნებურად დაკავებულად მიჩნევისათვის დამადასტურებელ მტკიცებულებებად, კერძოდ: ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში 696 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ნაწილი ფირმა «...» და შემდეგში შპს «...», ხოლო 2001 წლიდან სპს «...» ჰქონდა მართლზომიერი მფლობელობაში; 1999 წლის 17 მარტით დათარიღებული ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის უფროსის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული შპს «...» ბენზინგასამართი სადგურის სქემა, რეგისტრირებული '01-10/175 პროექტი, 03.07.98 წელს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ტექნიკური არქივიდან ამოღებული '341 და '270-271 კვარტალური გეგმების ასლები, სადაც ჩანდა ქ. ბათუმში, ... და ... კვეთაში მდებარე ბენზინგასამართი სადგური; ამ საწარმოების მფლობელობის უფლება დაეთმო მოსარჩელეს, რაც კანონსაწინააღმდეგო გარიგებად არავის უცვნიას; საქმეში არსებული, ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური სამსახურის მიერ 2008 წლის 13 თებერვალს გაცემული '11-18-149 წერილიც ადასტურებდა 1994 წლის 26 ოქტომბერს ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე ავტოგასამართი სადგური (სარეგისტრაციო '1920) რეგისტრირებული იყო მცირე საწარმო «...», რომელიც 1998 წლის 13 იანვარს გადაუფორმდა შპს «...». ასევე 1999 წლის 19 მარტს რეგისტრირებული იყო შპს «...» მალაზია (სარეგისტრაციო '3747) რომელიც 2001 წელს გადაიფორმა სპს «...»; ქ. ბათუმის მიწის მართვის სამმართველოს მიერ 2003 წელს გაცემული '199 ცნობა, რომლითაც სამმართველო აცნობებდა საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომ სპს «...» 205 კვ.მ მიწის სარგებლობისათვის უნდა გადაეხადა 30,90 ლარი; ქ. ბათუმის ... დასახლების ადმინისტრაციის მიერ 2006 წლის 9 მარტს გაცემული '085 ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე იხდიდა სადავო მიწის ნაკვეთიდან 205 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობისათვის გადასახადს დადგენილი წესით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად გაიზიარა ქ. ბათუმის მერიის მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს ამ უკანასკნელს გააჩნდა სადავო მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში აღრიცხვისათვის საჭირო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ სპს «...» არის სადავო მიწის ნაკვეთზე – ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული ბენზინგასამართი სადგურის მფლობელი. იმის გათვალისწინებით, რომ ქ. ბათუმის მერია არ უარყოფდა ამ ფაქტობრივ გარემოებას და აღნიშნული გარემოების დამამტკიცებელი მრავალი წერილობითი მტკიცებულება იყო საქმეში, ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 24 ოქტომბრის '1199 ბრძანების გამოცემამდე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას, სპს «...» წარმოადგენდა დაინტერესებულ პირს.

კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელეს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულების საფუძველზე წარმოეშვა მის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნა, რადგან იგი ასეთად განიხილებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულების ამოქმედების დროისათვის. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის 14-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განსაზღვრისა და გამიჯვნამდე, აღნიშნული კატეგორიის მიწები უნდა დარეგისტრირებულიყო მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად განკარგვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით ამ კანონის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ. ბათუმის მერიამ მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითებული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვისათვის თანხმობის მისაღებად, თუმცა პასუხად მიღებული წერილი გონივრული განსჯის შემდეგ არ შეიძლებოდა თანხმობად ყოფილიყო განხილული.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება ჰქონდა, განეხილა და გადაეწყვეტა სადავო საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცემოდა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. კასატორი მიუთითებს, რომ მისთვის '1199 ბრძანების გამოსაცემად მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობილი არ იყო.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 24 ოქტომბრის 11199 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ არც კი დაუსაბუთებია, მაშინ როცა «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულების საფუძველზე მოსარჩელეს წარმოეშვა თავის მიერ დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნა. მას, როგორც კერძო სამართლის სუბიექტს, კანონიერი მოლოდინი ჰქონდა სადავო მიწის ნაკვეთის თავის საკუთრებაში აღრიცხვისა. ქ. ბათუმის მერიამ კი ისე, რომ არავითარი საჯარო ინტერესი არ არსებობდა, ადმინისტრაციული წარმოების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის, მოსარჩელის – დაინტერესებული პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის გარეშე, სამართლებრივად გააუარესა სპს «...» მდგომარეობა, სადავო მიწის ნაკვეთი აღრიცხა რა თავის საკუთრებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სპს «...» საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 16 იანვრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 19 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით სპს «...» საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 21 მაისს, 12.00 საათზე.

მოცემული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კერძოდ, 2009 წლის 25 ივნისს, სპს «...» წარმომადგენელმა ჟანა ჯიბლაძემ და ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენელმა გ. მ-მემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინეს ქ. ბათუმის მერიასა და სპს «...» შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტი. აღნიშნულ მორიგების აქტში აღნიშნულია შემდეგი:

«საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე 1ბს-1666-1620(კ-08) სპს «...» საკასაციო საჩივრის გამო, საქმეზე სპს «...» სარჩელის გამო ქ. ბათუმის მერიის მიმართ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 29 ოქტომბრის 11199 ბრძანების ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 7764 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმის მერიაზე. მხარეები ერთი მხრივ – ქ. ბათუმის მერია და მეორე მხრივ – სპს «...» შეთანხმდნენ და წინამდებარე მორიგების აქტი გააფორმეს შემდეგზე:

1. მხარეები საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ 1ბს-1666-1620(კ-08) ადმინისტრაციულ საქმეს დაამთავრებენ მორიგებით და სპს «...» ქ. ბათუმის მერიის ანგარიშზე შეიტანს მიწის ნაკვეთის ღირებულებას, 1 კვ.მ-ზე 108 (ას რვა) ლარს;

2. სპს «...» ქ. ბათუმის მერის სასარგებლოდ სულ გადაიხდის 48000 ლარს;

3. სპს «...» მიერ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის 48000 ლარის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს 2009 წლის 30 ივლისამდე;

4. სპს «...» თანხის გადარიცხვას მოახდენს ქ. ბათუმის მერიის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღები – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ბათუმი), ანგარიში – 200122900. მიმღების ბანკის – სახელმწიფო ხაზინა. ბანკის კოდი – 220101 222. ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი – 300693390;

5. ქ. ბათუმის მერია თანახმაა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვით თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 444,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო მონაცემები: სარეგისტრაციო ზონა – ქ. ბათუმი; კოდი – 05, სექტორი – 25; კვარტლის ნომერი – 05; ნაკვეთის ნომერი – 019; ფართობი – 444,0 კვ.მ; მისამართი – ქ. ბათუმი, ... ქ. 1...; უფლება – საკუთრება; მესაკუთრე – ქ. ბათუმის მერია; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო; განცხადების რეგისტრაციის 1882009162924; განცხადების რეგისტრაციის თარიღი – 09.06.2009წ; უფლების რეგისტრაციის თარიღი – 15.06.2009წ.) და აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებულ 87,8 კვ.მ შენობა-ნაგებობებთან ერთად, ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 48000 ლარის სრულად გადახდის შემდეგ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს სპს «...»;

6. ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 444,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე არსებულ 87,8 შენობა-ნაგებობებთან ერთად, სპს «...» სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხვა მოხდეს მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის 48000 ლარის ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ სრულად გადახდის შემდეგ;

7. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის 115ყ/დ განჩინებით სპს «...» სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში

მდებარე 444,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (განჩინების მიხედვით ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

8. სპს «...» ვალდებულია წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოს განჩინება ქ. ბათუმში, ... ქ. ...-ში მდებარე 444,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (განჩინების მიხედვით ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებული 696 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) ყადაღის მოხსნის ნაწილში აღსასრულებლად წარადგინოს მხოლოდ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 48000 ლარის სრულად გადახდის შემდეგ;

9. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

10. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემდგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება, ან მიმდინარე სასამართლო დავა ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

11. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;

12. მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს, ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე თანხმდებიან მასზედ, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახავი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

13. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალეებელ სამართლებრივ დოკუმენტს;

14. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ მორიგების პროცესში ერთმანეთისათვის ცნობილი კომერციული, პირადი და საქმიანი ინფორმაციები დაცული იქნება მესამე პირებზე გადაცემისაგან;

15. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლელებისათვის;

16. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ ადგილი არ ჰქონია;

17. მხარეები თანახმანი არიან, წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

18. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ქ. ბათუმის მერიის ბეჭდით. მორიგების აქტის ერთი ეგზემპლარი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს;

19. მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში».

ქ. ბათუმის მერიასა და სპს «...» შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტი ხელმოწერილია ქ. ბათუმის მერიის მხრიდან ქ. ბათუმის მერის – რ. ჩ-ძის, ხოლო სპს «...» მხრიდან – სპს «...» დირექტორის კ. ბ-იანის მიერ და დამოწმებულია ქ. ბათუმის მერიის ბეჭდით.

მოცემული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კერძოდ, 2009 წლის 25 ივნისს, სპს «...» წარმომადგენელმა ჟ. ჯ-ძემ შუამდგომლობა დააყენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინაშე სპს «...» სარჩელზე მოპასუხე თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე იმ საფუძველით, რომ სპს «...» და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა მორიგების აქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის საოქმო განჩინებით სპს «...» წარმომადგენლის ჟ. ჯ-ძის შუამდგომლობის განხილვა და მორიგების აქტის დამტკიცება ზეპირი მოსმენის გარეშე დადგინდა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო სპს «...» და ქ. ბათუმის მერიას შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებულ მორიგების აქტს და სპს «...» წარმომადგენელ ჟ. ჯ-მის შუამდგომლობას სპს «...» სარჩელზე მოპასუხე თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიაჩნია, რომ სპს «...» და ქ. ბათუმის მერიას შორის მორიგება უნდა დამტკიცდეს აღნიშნული აქტის მიხედვით და მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს სპს «...» სარჩელის გამო მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის მიმართ მორიგების აქტის დამტკიცების გამო, ხოლო სპს «...» წარმომადგენელ ჟ. ჯ-მის შუამდგომლობა სპს «...» სარჩელზე მოპასუხე თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს საქმის წარმოება სპს «...» სარჩელის გამო მოპასუხე თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ სარჩელზე უარის თქმის გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ქ. ბათუმის მერიასა და სპს «...» შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხსენებული მორიგების აქტი არ შეიცავს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დებულებას, აღნიშნული მორიგების აქტით არ ილახება სახელმწიფო (საჯარო) ინტერესები და, ამდენად, შესაძლებელია დასახელებული მორიგების აქტის დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სპს «...» წარმომადგენელმა ჟ. ჯ-მემ (საქმეში წარმოდგენილია სარჩელზე უარის თქმის სპეციალური უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა – სარჩელზე მოპასუხე თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლზე და მხარეებს განუმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო გან-



ჩინებით, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა და-  
ვაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თა-  
ნახმად, საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სპს «...» დირექტორს კ. ბ-იანს საკასაციო საჩივარზე გა-  
დახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, ამიტომ საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-  
ცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელ-  
მწიფო ბაჟის – 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მერიასა და სპს «...» შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების  
აქტის მიხედვით, მხარეთა მორიგება შემდეგი პირობებით:

1.1. მხარეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ 'ბს-1666-1620(კ-08) ადმი-  
ნისტრაციულ საქმეს დაამთავრებენ მორიგებით და სპს «...» ქ. ბათუმის მერიის ანგარიშზე შეიტანს მიწის  
ნაკვეთის ღირებულებას, 1 კვ.მ-ზე 108 (ას რვა) ლარს;

1.2. სპს «...» ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ სულ გადაიხდის 48000 ლარს;

1.3. სპს «...» მიერ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული  
თანხის – 48000 ლარის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს 2009 წლის 30 ივლისამდე;

1.4. სპს «...» თანხის გადარიცხვას მოახდენს ქ. ბათუმის მერიის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღები –  
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ბათუმი), ანგარიში – 200122900. მიმღების ბანკის – სახელმწიფო ხა-  
ზინა. ბანკის კოდი – 220101 222. ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი – 300693390;

1.5. ქ. ბათუმის მერია თანახმაა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვით თვითმმარ-  
თველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 444,0 კვ.მ არა-  
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო მონაცემები: სარეგისტრაციო ზონა –  
ქ. ბათუმი; კოდი – 05, სექტორი – 25; კვარტლის ნომერი – 05; ნაკვეთის ნომერი – 019; ფართობი – 444,0 კვ.მ;  
მისამართი – ქ. ბათუმი, ... ქ. 1...; უფლება – საკუთრება; მესაკუთრე – ქ. ბათუმის მერია; ნაკვეთის ფუნქცია –  
არასასოფლო; განცხადების რეგისტრაციის '882009162924; განცხადების რეგისტრაციის თარიღი –  
09.06.2009წ; უფლების რეგისტრაციის თარიღი – 15.06.2009წ.) და აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მასზე განლა-  
გებულ 87,8 კვ.მ შენობა-ნაგებობებთან ერთად, ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 48000 ლარის სრულად გა-  
დახდის შემდეგ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს სპს «...»;

1.6. ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 444,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის  
მასზე არსებულ 87,8 შენობა-ნაგებობებთან ერთად სპს «...» სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლე-  
ბით აღრიცხვა მოხდეს მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის – 48000 ლა-  
რის ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ სრულად გადახდის შემდეგ;

1.7. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის 115ყ/დ განჩინებით სპს «...»  
სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ქ. ბათუმში, ... ქ. ...-ში  
მდებარე 444,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (განჩინების მიხედვით ქ. ბა-  
თუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

1.8. სპს «...» ვალდებულია, წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს უზენა-  
ეს სასამართლოს განჩინება ქ. ბათუმში, ... ქ. ...-ში მდებარე 444,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-  
ბის მიწის ნაკვეთზე (განჩინების მიხედვით ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 696 კვ.მ არასა-  
სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) ყადაღის მოხსნის ნაწილში აღსასრულებლად წარადგი-  
ნოს მხოლოდ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 48000 ლარის სრულად გადახდის შემდეგ;

1.9. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები  
იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ  
საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

1.10. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემ-  
დგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ  
ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენი-  
ლება, სასამართლო გადაწყვეტილება, ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შე-  
თანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

1.11. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

1.12. მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს, ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს, უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს, ასევე, თანხმდებიან მასზედ, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახავი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

1.13. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალეულ სამართლებრივ დოკუმენტს;

1.14. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ მორიგების პროცესში ერთმანეთისათვის ცნობილი კომერციული, პირადი და საქმიანი ინფორმაციები დაცული იქნება მესამე პირებზე გადაცემისაგან;

1.15. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე, მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლელებისათვის;

1.16. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენდნენ მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ;

1.17. მხარეები თანახმანი არიან წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

1.18. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ქ. ბათუმის მერიის ბეჭდით. მორიგების აქტის ერთი ეგზემპლარი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს;

1.19. მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში;

2. მოსარჩელე სპს «...» და მოპასუხე ქ. ბათუმის მერიას შორის დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო;

3. მორიგების აქტი ძალაში შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან და მოქმედებს მხარეების მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

4. მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის – მორიგების აქტის იძულებითი აღსრულების ჩათვლით);

5. სპს «...» წარმომადგენელ ჟ. ჯ-მის შუამდგომლობა სარჩელზე მოპასუხე თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

6. მოსარჩელე სპს «...» და მოპასუხე თვითმმართველ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელ მუდმივმოქმედ კომისიას შორის დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება მოსარჩელის მიერ აღნიშნული მოპასუხის მიმართ სარჩელზე უარის თქმის გამო;

7. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

8. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;

9. სპს «...» დირექტორს კ. ბ-იანს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი;

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

## განჩინება

ზს-585-554(კს-09)

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

დავის საგანი: გადასახადის დარიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 აპრილს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შ. ო-შვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ შ. ო-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სპეციალური ნებართვის გარეშე სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ფაქტზე. წინასწარი გამოძიებისას დადგინდა, რომ მან სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 800 ლარის ზიანი.

სისხლის სამართლის საქმიდან ცნობილია, რომ 2004 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტში შევიდა ინფორმაცია, რომ ... გამზ. 13-ში გახსნილი იყო სათამაშო აპარატების სალონი, რომელიც სავარაუდოდ ეწეოდა საქმიანობას სპეციალური ლიცენზიის გარეშე. იმავე დღეს ფინანსურმა პოლიციამ ჩაატარა შემოწმება აღნიშნულ მისამართზე, რომლის შედეგად აღმოჩენილ იქნა სათამაშო აპარატები მუშა მდგომარეობაში. პარატებზე არ იყო გადასახადის გადახდის მანიშნებელი სპეციალური ნიშანი ეგრეთწოდებული «ბირკა». აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს: 1) «სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ლიცენზიის თანხა 2000 ლარი; 2) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის შესაბამისად, თითოეულ სათამაშო აპარატზე 50 ლარი. შესაბამისად, 6 სათამაშო აპარატზე 10 თვის განმავლობაში – 3000 ლარი; 3) «ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობის მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებლის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტის შესაბამისად თითოეულ სათამაშო აპარატზე გადასახადი არის 50 ლარი, რაც 6 აპარატზე ათი თვის განმავლობაში შეადგენს 3000 ლარს. სულ შ. ო-შვილმა სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა ზიანი 8000 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით, საყურადღებოა, რომ «ამინისტიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლი არეგულირებს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხს და იგი არ შეეხება «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლის შესახებ», «სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ» საქართველოს კანონებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსს ანუ იმ კანონებს, რომელთა საფუძველზეც მოქალაქე შ. ო-შვილს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 8000 ლარის გადახდა. «ამინისტიის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ ათავისუფლებს პირს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან – ამ შეთხვევაში ზიანის ანაზღაურებისგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხე შ. ო-შვილისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 8000 ლარის დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხე - შ. ო-შვილს დაეკისრა სახელმწიფო-სათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 8000 ლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ო-შვილმა.

პელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინებით შ. ო-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელზე დაუშვებლობის გამო შეწყდა საქმის წარმოება; შ. ო-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 160 ლარი; ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა შ. ო-შვილის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 160 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებიდან გამომდინარე დადგინდად მიიჩნია, რომ 2005 წლის 17 თებერვალს ანუ სარჩელის აღძვრამდე 3 წლით ადრე, შ. ო-შვილის მიერ დაგვიანებთ, მაგრამ მაინც გადახ-

დიდი იქნა «სანებართვო მოსაკრებელი 2000 ლარი, რომლის გადახდაც მას ეკუთვნოდა «სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ» საქართველოს კანონის 7.10 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით. აღნიშნული გარემოება დადასტურებულ იქნა აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» პუნქტის შესაბამისად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ არ არსებობს დავის საგანი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნაზე დაეკისროს შ. ო-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ «სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ» საქართველოს კანონის 7.10 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით «სანებართვო მოსაკრებლის» 2000 ლარის გადახდა, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან აღარ არსებობს დავის საგანი.

გარდა ზემოაღნიშნული 2000 ლარისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნას ასევე წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210.4 მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით 6 სათამაშო აპარატზე 10 თვის განმავლობაში გადაუხდელი თანხის – 3000 ლარის მოპასუხეზე დაკისრება და «ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებლის შესახებ» საქართველოს კანონის 4.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით 6 სათამაშო აპარატზე 10 თვის განმავლობაში გადაუხდელი თანხის – 3000 ლარის მოპასუხეზე დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორედ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები იმ ნაწილში, როდესაც განაცხადა, რომ წინასწარი გამოძიებისას დადგინდა, რომ შ. ო-შვილმა სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 8000 ლარის ზიანი. საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 11 დეკემბრის განაჩენიდან ირკვევა, რომ საგამოძიებო ორგანოები შ. ო-შვილს ედავებოდნენ მხოლოდ «სანებართვო მოსაკრებლის» 2000 ლარის გადაუხდელობაზე. ამრიგად, დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნების 6000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე არ არსებობს სასამართლო განაჩენი და შესაბამისად პრეიუდიციულად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების ადმინისტრირებისას, მათ შორის ამავე კოდექსის 210.4 მუხლის «ა» პუნქტის შესაბამისად, სათამაშო ბიზნესის გადასახადის გამოანგარიშების სისიწორის დადგენას და მის აკრეფას, ამავე კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ინსპექცია, ასევე, «ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებლების შესახებ» საქართველოს კანონის 4.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, გადასახადების ადმინისტრირებას ამავე კანონის 4.2 მუხლის მიხედვით ახორციელებენ საგადასახადო ინსპექციები, კერძოდ, ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებლის გადამხდელი ვალდებული იყო რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარედგინა მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი ყოველ საანგარიშო პერიოდისათვის, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.5 მუხლის მიხედვით დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელის განხილვა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას შეეხება. კონკრეტულ შემთხვევაში კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი არ უნდა აღედრა და (იგი დაუშვებელია), ვინაიდან ამავე სამინისტროს სისტემაში შემავალი შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილებას წარმოადგენს მოახდინოს (ან მოეხდინა) აღნიშნული გადასახადების (მოსაკრებლის) ადმინისტრირება.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა არსებითად განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე და თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ არამართებულადაა გამოყენებული საქმის წარმოების შეწყვეტის პროცესუალური საფუძვლები.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 2004 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის დეპარტამენტში შევიდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ... გამზ. 13-ში გახსნილი იყო სათამაშო აპარატების სალონი, რომელიც სავარაუდოდ საქმიანობას ეწოდა სათანადო ლიცენზიის გარეშე. იმავე დღეს ფინანსურმა პოლიციამ ჩაატარა შემოწმება, რის შედეგადაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მითითებული სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რასაც ასევე ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი განაჩენი, რომელშიც დაზარალებულ მხარედ მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული პირის მიერ აღძრული სარჩელი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანი, უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი. იმავე საპროცესო კოდექსის 33.6 მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება აქვს, წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო მხრეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმეში დაცული მასალების შეჯერების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი მიეკუთვნება სწორედ ზემოაღნიშნული სარჩელების კატეგორიას, რის გამოც არამართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ უნდა აღედგინოს სარჩელი, ვინაიდან მასში დადგენილი მოთხოვნის გადაწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია ამავე სამინისტროს სისტემაში შემავალ შემოსავლების სამსახურის შესაბამის საგადასახადო ორგანოს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დავის საგანს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, რამაც განაპირობა სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის არამართებული გამოყენება, რაც თავის მხრივ, იძლევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს.

აქვე საკასაციო სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ყურადღებას მიაქცევს განსჯადობის საკითხს და თვლის, რომ საქმის დაბრუნების შემდგომ ადმინისტრაციულმა პალატამ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, უნდა იმსჯელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელის საგნობრივ განსჯადობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420 მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო**

#### **განჩინება**

18ს-1468-1426(2კ-08)

30 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. პ-მემ 2005 წლის ივლისში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ე. პ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე – თბილისის მთავრობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ასანაზღაურებლად 23 520 ლარი; მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხის მიმართ 161 420 ლარის დაკისრებაზე უარი ეთქვა უსაფუძვლოდ გამო. ე. პ-მეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 4035 ლარის და 50 თეთრის ოდენობით; ქ. თბილისის მთავრობას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 587 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მე-რიამ და ე. პ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ე. პ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება ე. პ-მისთვის სახელმწიფო ბაჟის – 4035 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ე. პ-მე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ე. პ-მემ.

კასატორმა – ქ. თბილისის მერიამ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ქ. თბილისის მთავრობისათვის მოქალაქე ე. პ-მის სასარგებლოდ 23 520 ლარის დაკისრების შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა – ე. პ-მემ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ე. პ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 23 520 ლართან ერთად სულ მოითხოვა დამატებით 161 240 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო პალატის 2009 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე მხარეებმა დასამტკიცებლად წარმოადგინეს, ერთი მხრივ, ქ. თბილისის მერიის, წარმომადგენელი – გ. უ-ავას და მეორე მხრივ, ე. პ-მეს შორის დადებული მორიგების აქტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა შორის მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. აღნიშნულ ნორმათა მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ, ისევე, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალური იერითობის მონაწილენი, სა მოქალაქო სამართალური იერითობის მონაწილეთა მსგავსად, აღჭურვილი არიან თავიანთ უფლებათა თავისუფლად განკარგვის სრული უფლებამოსილებით. მხარეთა თავისუფალ განკარგულებაშია ყველა პროცესუალური საშუალება ამ უფლებამოსილების რეალიზებისათვის: მოსარჩელის ნებაზეა დამოკიდებული საქმის დაწყება ან შეწყვეტა, მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნოს ან არ ცნოს სარჩელი, საქმის მორიგებით დამთავრება მხარეთა მიერ გონივრული კომპრომისის მიღწევის უნარზეა დამოკიდებული.

საკასაციო პალატის სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს ერთი მხრივ, ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელ გ. უ-ავას და მეორე მხრივ – ე. პ-მეს შორის დადებული შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი: მოსარჩელე უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნაზე, კერძოდ, ზიანის სახით ქ. თბილისის მერიაზე 184 940 ლარის დაკისრების თაობაზე; ქ. თბილისის მერია კისრულობს ვალდებულებას, «სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სასამართლოში «მოსარჩელესთან» საქმის მორიგებით დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში საკუთრებაში გადასცეს უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ... მე-4 მ/რ-ი, 1105-ე კორპუსის მიმდებარე არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი; სასამართლოს მიერ წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ქ. თბილისის მერიის მიერ წინამდებარე მორიგების აქტის მე-2 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მერია კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს ე. პ-მეს 23 520 ლარი.

ზემოაღნიშნული მორიგების აქტი, ერთი მხრივ, ხელმოწერილია ქ. თბილისის მერის – გ. უ-ავას მიერ და მისი ხელმოწერა დადასტურებულია ქ. თბილისის მერიის ბეჭდით, მეორეს მხრივ კი ე. პ-მის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი, როგორც მხარეთა მიერ მათი საპროცესო უფლების კანონშესაბამისი რეალიზების შედეგი, ექვემდებარება ზემოაღნიშნული პირობებით დამტკიცებას, რის გამოც უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად შეწყდეს საქმის წარმოება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტით, 273-ე მუხლის მეორე ნაწილით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს მორიგება ქ. თბილისის მერიას, წარმომადგენელ გ. უ-ავას და ე. პ-ძეს შორის შემდეგი პირობით:

1.1 მოსარჩელე უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნაზე, კერძოდ, ზიანის სახით ქ. თბილისის მერიაზე 184 940 ლარის დაკისრების თაობაზე.

1.2. ქ. თბილისის მერია კისრულობს ვალდებულებას, «სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სასამართლოში მოსარჩელესთან საქმის მორიგებით დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში საკუთრებაში გადასცეს უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ... მე-4 მ/რ-ი, 1105-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

1.3. სასამართლოს მიერ წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ქ. თბილისის მერიის მიერ წინამდებარე მორიგების აქტის მე-2 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მერია კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს ე. პ-ძეს 23 520 ლარი.

2. მხარეთა მორიგების გამო მოცემულ საქმეზე გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები და შეწყდეს საქმის წარმოება.

3. განემარტოთ მხარეებს, რომ მოცემულ მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა არ შეიძლება.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

#### განჩინება

1ბს-556-527(კ-09)

10 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: კომპენსაციის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 19 აგვისტოს ი. წ-ავამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2001 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ვ. ყ-შვილთან, რომელიც მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტომაგისტრალების მე-... განყოფილების უფროს პატრულ-ინსპექტორად.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 13 თებერვლის 9 საათიდან 14 თებერვლის 9 საათამდე ვ. ყ-შვილი იმყოფებოდა განაწესში პასუხისმგებელ მორიგედ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ვ. ყ-შვილი გახდა ცუდად და პატრულ-ინსპექტორების მიერ გადაყვანილ იქნა ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში. საავადმყოფოში მიყვანამდე ვ. ყ-შვილი გარდაიცვალა. 2005 წლის 22 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა მოითხოვა აწ გარდაცვლილი ვ. ყ-შვილის 10 წლის ხელფასის ოდენობით. 2005 წლის 22 ივლისს მოსარჩელეს ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების შესახებ, რომლითაც დადგინდა, რომ ვ. ყ-შვილი გარდაიცვალა გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის შედეგად, რის გამოც «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია მის ოჯახზე არ გაიცემოდა. მოსარჩელე არ დაეთანხმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის აღნიშნულ დასკვნას და განმარტა, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ხოლო «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი ასეთ შემთხვევაში ით-

ვალისწინებდა გარდაცვლილის ოჯახზე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ერთჯერადი კომპენსაციის გაცემას 10 წლის ხელფასის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის მისი ოჯახის სასარგებლოდ აწ გარდაცვლილი ვ. ყ-შვილის 10 წლის ხელფასის ოდენობით ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. წ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იმერეთის რეგიონალური განყოფილების მიერ გაცემული 12 გარდაცვალების მოწმობით დადგინდა ვ. ყ-შვილის გარდაცვალების მიზეზი – გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლეოდა ერთდროული კომპენსაცია 10 წლის ხელფასის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ყ-შვილი ცუდად გახდა სამუშაო საათების დროს, მაგრამ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რის გამოც მისი სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძველო იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. წ-ავამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ი. წ-ავას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. წ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მის სასარგებლოდ ერთჯერადი კომპენსაციის სახით მისი გარდაცვლილი მეუღლის – ვ. ყ-შვილის 10 წლის ხელფასის ოდენობის თანხის გაცემა დაეკისრა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს, სპეციალისტის მიწვევის შედეგად უნდა დაედგინა, იყო თუ არა ვ. ყ-შვილის გარდაცვალებასა და მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებით ი. წ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოში სპეციალისტად მიწვეულმა პროფესიით ექიმმა (კარდიოლოგმა) განმარტა, რომ ახალგაზრდა, ჯანმრთელი კაცის გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაცვალების მიზეზი, ალბათობით, შესაძლოა, დამაბული სამუშაო გრაფიკი ყოფილიყო, თუმცა კატეგორიული დასკვნის გაკეთებას პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის შესახებ ვერაფერს შეძლებდა, მათ შორის, ვერც ექსპერტი, თუკი ექსპერტიზა ამ მიზნით ჩატარდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო ვ. ყ-შვილის გარდაცვალებასა და მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის დადგენა, სავარაუდო კავშირი კი საკმარისი არ იყო «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. წ-ავამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სპეციალისტის განმარტება იმის თაობაზე, რომ ჯანმრთელი კაცის გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაცვალების მიზეზი, ალბათობით, შესაძლოა, დამაბული სამუშაო გრაფიკი ყოფილიყო, თუმცა კატეგორიული დასკვნის გაკეთე-



ბას პიდაპირი მიზეზობრივი კავშირის შესახებ ვერავინ შეძლებდა, მათ შორის, ვერც ექსპერტი, თუკი ექსპერტიზა ამ მიზნით ჩატარდებოდა.

კასატორის განმარტებით, სპეციალისტმა ვერ გამორიცხა მიზეზობრივი კავშირი ვ. ყ-შვილის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და მის გარდაცვალებას შორის და ვარაუდის დონეზე, თავისი განმარტებით, ისე დაადასტურა ვ. ყ-შვილის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, რომ ვ. ყ-შვილის გვამის გამოკვლევის შესახებ არათუ მტკიცებულება არ წარუდგინა, არამედ ექსპერტიზის დადგენილებაში ასეთი შეკითხვაც კი არ დაუსვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის გასაცემად საჭირო იყო ორი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის არსებობა: პოლიციის თანამშრომლის დაღუპვა და მისი გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ეს უკანასკნელი ადასტურებდა გარდაცვალებასა და სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებას შორის მიზეზობრივ კავშირს და სხვა გარემოებით მისი დადასტურება შეუძლებელი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით ი. წ-ავას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ი. წ-ავას საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით, 2009 წლის 8 ოქტომბერს 12.30 საათზე.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 10 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა შორენა პეტავამ წარმოადგინა ი. წ-ავასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2009 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული მორიგების აქტი. აღნიშნულ მორიგების აქტში აღნიშნულია შემდეგი:

«ერთი მხრივ – მოქალაქე ი. წ-ავა (პირადი 1...; 1...), მისი დამცველი ადვოკატი – ბ. ხ-შვილი (ადვოკატის 1...) და მეორე მხრივ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმომადგენელი – შ. პ-ავა (რწმუნებულება 11/10-2735; 07.07.2009წ.) შეთანხმდნენ 'ბს-556-527(კ-09) ადმინისტრაციული საქმის მორიგებით დამთავრებაზე, კერძოდ:

ი. წ-ავა თანახმაა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 მუხლის შესაბამისად, ერთჯერადი დახმარების სახით 2010 წლის 1 მარტამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიიღოს 15 000 ლარი;

თავის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმაა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 მუხლის შესაბამისად, ი. წ-ავას 2010 წლის 1 მარტამდე აუნაზღაუროს ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის საოქმო განჩინებით ხსენებული მორიგების აქტის დამტკიცება ზეპირი მოსმენის გარეშე დადგინდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო ი. წ-ავასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2009 წლის 26 ნოემბერს გაფორმებულ მორიგების აქტს და მიაჩნია, რომ მხარეთა შორის მორიგება უნდა დამტკიცდეს აღნიშნული აქტის მიხედვით და მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე, ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ი. წავას შორის 2009 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული მორიგების აქტი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხსენებული მორიგების აქტი არ შეიცავს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დებულებას, აღნიშნული მორიგების აქტით არ ილახება სახელმწიფო (საჯარო) ინტერესები და, ამდენად, შესაძლებელია დასახელებული მორიგების აქტის დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლზე და მხარეებს განუმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ი. წავას შორის 2009 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული მორიგების აქტის მიხედვით, მხარეთა მორიგება შემდეგი პირობებით:

«ერთი მხრივ – მოქალაქე ი. წავა (პირადი 1...; 1...), მისი დამცველი ადვოკატი – ბ. ხ-შვილი (ადვოკატის 1...) და მეორე მხრივ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმომადგენელი – შ. პ-ავა (რწმუნებულება 11/10-2735; 07.07.2009წ.) შეთანხმდნენ 18ს-556-527(კ-09) ადმინისტრაციული საქმის მორიგებით დამთავრებაზე, კერძოდ:

1.1. ი. წავა თანახმაა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 მუხლის შესაბამისად, ერთჯერადი დახმარების სახით 2010 წლის 1 მარტამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიიღოს 15 000 ლარი;

1.2 თავის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმაა, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 მუხლის შესაბამისად ი. წავას 2010 წლის 1 მარტამდე აუნაზღაუროს ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 ლარი;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინება;

3. მოცემულ საქმეზე შეწყდეს წარმოება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო;

4. მორიგების აქტი ძალაში შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან და მოქმედებს მხარეების მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

5. მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის – მორიგების აქტის იძულებითი აღსრულებით);

6. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტა**

**კერძო საჩივარი საქმის წარმოების შემწყვეტაზე**

**განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 10 აგვისტოს ე. ხ-აშმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და ი. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის 1529 ბრძანების, მათი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრის იმ ჩანაწერის, მისი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობა, რომელიც ეხებოდა ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე, დაუზუსტებელი მონაცემებით, 50000 კვ.მ-ის 120/12/05/046 მიწის ნაკვეთს, რომლის თანახმადაც, აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და დაუმთავრებელი შენობის მესაკუთრე იყო სახელმწიფო; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 30 ნოემბრის 1625 ბრძანების, მისი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობა, რომლითაც დამტკიცდა ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის დაუმთავრებელი მშენებლობისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართის 2006 წლის 29 ნოემბრის კონკურსის შედეგები; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ი. მ-შვილს შორის 2005 წლის 30 დეკემბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების, მისი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრის იმ ჩანაწერის, მისი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობა, რომელიც ეხებოდა ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე, დაუზუსტებელი მონაცემებით, 50000 კვ.მ ფართობის 120/12/05/046 მიწის ნაკვეთს, რომლის თანახმადაც, აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და დაუმთავრებელი შენობის მესაკუთრე იყო ი. მ-შვილი (თუ ასეთი ჩანაწერი არსებობდა).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 აგვისტოს განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ე. ხ-აშის სასარჩელო განცხადება მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნათა ნაწილში; ე. ხ-აშის სასარჩელო განცხადება მოპასუხეების – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ი. მ-შვილის მიმართ, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის 1529, 2005 წლის 30 ნოემბრის 1625 ბრძანებებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების – 2005 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, განსჯადობის წესის დაცვით, გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – ბათუმის საქალაქო სასამართლოს; ე. ხ-აშის სასარჩელო განცხადება მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე უძრავი ქონების თაობაზე ჩანაწერების ბათილად ცნობის ნაწილში განსჯადობის წესის დაცვით, გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – ქობულეთის რაიონულ სასამართლოს.

საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა შესაგებელი და აღნიშნა, რომ ე. ხ-აშის სარჩელი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სარჩელის დასაშვებობის პირობას – ის ფაქტი, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ჩამოერთვა ქობულეთის რ-ნის სოფ. ...-ში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის მშენებარე ობიექტი მოსარჩელეს ვერ მიაყენებდა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს, რადგან სადავოდ ქცეული ქონების სახელმწიფოს მიერ განკარგვის ფაქტი განხორციელდა სწორედ «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებით, რომელიც მიღებული იყო «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს დასახელებული ბრძანებულების გასაჩივრების უფლება ჰქონდა უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულებით არ შელახულა მოსარჩელის საკუთრების უფლება. აქედან გამომდინარე, შე-

საგებლის ავტორმა მოითხოვა მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის მიმართ ე. ხ-აშის სარჩელთან დაკავშირებული საქმის წარმოების შეწყვეტა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, დაუშვებლობის გამო, შეწყდა ე. ხ-აშის სარჩელის გამო, მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ აღძრული ადმინისტრაციული საქმის წარმოება საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში; დასაშვებად იქნა ცნობილი ე. ხ-აშის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ხ-აშის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის გადასაცემი ქონების ნუსხა და ამ ნუსხაში 81-ე პუნქტად შეტანილ იქნა მეცნიერთა შემოქმედებითი სახლი, მდებარე ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში, მასზე დამაგრებული 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთით. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულებით შეტანილ იქნა ცვლილება «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებაში და ამ ბრძანებულებით დამტკიცებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მფლობელობაში არსებული ქონების ნუსხიდან ამოღებულ იქნა 81-ე პუნქტი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანებით დამტკიცდა 2005-2006 წლების დამატებითი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით, პრივატიზების პროცესის დაჩქარების მიზნით, ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის პრივატიზების ორგანიზება დაევალა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს. ამავე ბრძანების მე-3 პუნქტით, სოფ. ...-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლი განისაზღვრა, როგორც სახელმწიფო ქონება. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 12 ოქტომბრის 1529 ბრძანებით დადგინდა ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში (სოფ. ...-ში) მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის დაუმთავრებელი მშენებლობის და მასზე დამაგრებული მიწის ფართის პრივატიზების განხორციელება კონკურსის ფორმით. ამავე ბრძანებით განისაზღვრა ობიექტის საწყისი ფასი, ბეს ოდენობა, კონკურსის პირობები, კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 30 ნოემბრის 1625 ბრძანებით ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში (სოფ. ...-ში) მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის დაუმთავრებელი მშენებლობისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართის პრივატიზების მიზნით, 2005 წლის 29 ნოემბერს გამართულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ი. მ-შვილი. 2005 წლის 30 დეკემბერს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ი. მ-შვილს შორის დაიდო უძრავი ქონების – ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში (სოფ. ...-ში) მდებარე 50000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 11895,6 კვ.მ-ის შენობა-ნაგებობის ნასყიდობის ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ იმჟამინდელი მდგომარეობით, ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო სახელმწიფო. საჯარო რეესტრში ჩანაწერის საფუძველზე მითითებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულება, აგრეთვე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანება. აღნიშნული ჩანაწერი საჯარო რეესტრში შეტანილ იქნა 2005 წლის 19 ოქტომბერს. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 29 ივნისის განჩინებით ე. ხ-აშისა და სხვათა რესტიტუციური სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო ქობულეთის რ-ნის სოფ. ...-ში, იჯივე ...-ში მდებარე 4,3 ჰექტარ მიწის ნაკვეთს. აღნიშნული ყადაღა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულ იქნა 2005 წლის 8 ივლისს. მოსარჩელე ე. ხ-აში იმ დრომდე ცხოვრობდა სოფ. ...-ში მდებარე 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლში. იმავე მიწის ნაკვეთზე ასევე განთავსებული იყო მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის მშენებარე ობიექტი. ხსენებული ყადაღა მოხსნილ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 ოქტომბრის 13/ბ-297 განჩინებით, რაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა 2005 წლის 19 ოქტომბერს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების გამოცემით სახელმწიფომ განახორციელა ე. ხ-აშისა და სხვათა საკუთრების ექსპროპრიაცია (დე-იურე ექსპროპრიაცია). საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გან-

საზღვრული იყო, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვები იყო კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიდან გამომდინარე, ექსპროპრიაციის საკითხი დეტალურად წესრიგდებოდა «აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ» საქართველოს კანონითა და «საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონით. მოსარჩელე ე. ხ-აშის შემთხვევაში, არ არსებობდა არც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის განხორციელების და არც საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას სათანადო ანაზღაურებით საკუთრების ჩამორთმევის წინაპირობები, ასევე არ არსებობდა ექსპროპრიაციის, როგორც კონკრეტული სახის სამართლებრივი ურთიერთობის, შემადგენელი ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი – სადავო უძრავ ნივთზე ფიზიკური პირის – ე. ხ-აშის საკუთრების უფლება. მოსარჩელე ე. ხ-აში არც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას და არც იმჟამად არ წარმოადგენდა სოფ. ...-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იარსებებდა მოსარჩელე ე. ხ-აშის მხრიდან ქობულეთის რაიონულ სასამართლოში რესტიტუციური სარჩელის აღძვრის აუცილებლობა. ასეთ პირობებში არ არსებობდა არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები იმის დასამტკიცებლად, რომ მოსარჩელე ე. ხ-აში იყო სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და რომ მან აღნიშნულ ნივთზე საკუთრების უფლება დაკარგა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ექსპროპრიაციის შედეგად, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანება არანაირად არ იყო კავშირში ექსპროპრიაციის ინსტიტუტთან და მით უმეტეს – სახელმწიფოს სასარგებლოდ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობასთან. ხსენებული ბრძანება გამოცემული იყო «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძოდ, ამ ბრძანებით დამტკიცდა 2005-2006 წლების დამატებითი საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა, რომელშიც ერთ-ერთ ობიექტად შეტანილი იყო ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლი.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო პერიოდულად ქმნიდა და ამტკიცებდა იმ ქონების ნუსხას, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას და რომელიც პრივატიზაციის პროცესის ხარჯზე უნდა გადასულიყო ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების საკუთრებაში. თუკი საპრივატიზებო ნუსხაში შეტანილი უძრავი ნივთი – ...-ში მდებარე მიწის ნაკვეთი არ ეკუთვნოდა სახელმწიფოს და მასზე საკუთრების სანივთო უფლება გააჩნდა მოსარჩელე ე. ხ-აშს, აღნიშნული გარემოება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უნდა დადასტურებულიყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთითა და შემქმნის რეგისტრაციით საჯარო რეესტრში, ანუ საჯარო რეესტრის ჩანაწერით, რაც არ არსებობდა. მოსარჩელემ ასევე შესაბამისი მტკიცებულებით ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სოფ. ...-ში მდებარე სადავო მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა მოსარჩელის პაპის – თ. მ-შს, რომ ეს ქონება პაპის გარდაცვალების შემდეგ შევიდა მამკვიდრების (თ. მ-შის) სამკვიდრო მასაში და იგი (მიწის ნაკვეთი), ფაქტობრივად დაუფლების გზით მიიღეს მემკვიდრეებმა, მათ შორის, ე. ხ-აშმა. სოფ. ...-ში მდებარე 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას არა იმიტომ და არა იმ მომენტიდან, როცა საჯარო რეესტრში გაკეთდა ასეთი შინაარსის ჩანაწერი, არამედ ამ ჩანაწერის გაკეთებამდეც. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 93-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიწა წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების უფლების ობიექტს. «საკუთრების უფლების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 15 ივლისის კანონის მე-3 მუხლით დადგინდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების სუბიექტები (მესაკუთრეები) იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, იურიდიული პირები და სახელმწიფო. იმავე კანონის მე-2 მუხლით დადგინდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ობიექტი იყო მიწა და მისი წიალი, წყლები, კონტინენტური შელფი და ა.შ., ანუ ამ საკანონმდებლო აქტით, მანამდე არსებული სამართლებრივი წესრიგისაგან განსხვავებით, მიწა შესაძლებელი იყო, ყოფილიყო როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა სუბიექტთა – ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრებაში, თუმცა იმავე – «საკუთრების უფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგინდა, რომ მესაკუთრეს საკუთრების უფლება წარმოემოზოდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით შეძენილ ქონებაზე.

საქალაქო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ 1993 წლის 15 ივლისამდე (ანუ «საკუთრების უფლების შესახებ» საქართველოს კანონის ამოქმედებამდე) მიწა, განურჩევლად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით და ვის ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფებოდა იგი, წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას. მიწის, როგორც სახელმწიფოს საკუთრების უფლების ობიექტის, განკარგვა-გასხვისება განხორციელდა შემდგომ ეტაპზე პრივატიზაციის გზით, სხვადასხვა დროს მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ხოლო 1997 წლის ივნისიდან – «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» საქართველოს კანონით, აგრეთვე, ამ კანონის საფუძველზე გამოცემული, პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების დაცვით. დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე ე. ხ-აშს არ მოუპოვებია, ხოლო სახელმწიფოს არ დაუკარგავს საკუთრების უფლება სადავო უძრავ ნივთზე იმ გზით და იმ ფორ-

მით, რომელიც შემოღებულ იქნა «საკუთრების უფლების შესახებ» საქართველოს 1993 წლის კანონის საფუძველზე და შედეგად. საჯარო რეესტრის ინსტიტუტი, აგრეთვე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის დაკავშირება უფლების დამადასტურებელი საბუთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტთან, შემოღებულ იქნა 1997 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შედეგად. მიწაზე, მათ შორის, სოფ. ...-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სახელმწიფომ თავისი საკუთრების უფლების ლეგიტიმაცია განახორციელა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) მეშვეობით, როცა ამ კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილით დააწესა, რომ მიწა წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრების უფლების ობიექტს და არანაირად არ დაუკავშირა თავისი სანივთო უფლების სამართლებრივი გაფორმება რომელიმე ორგანოში რეგისტრაციის მომენტს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საკუთრების განსხვავებული ფორმების შემოღების პირობებში ითვლებოდა, რომ მიწა ზოგადად წარმოადგენდა საქართველოს საკუთრებას და მისი გასხვისება უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე სუბიექტის, მიერ კანონით დადგენილი წესების დაცვით, ნების გამოხატვის გზით. სახელმწიფოს სოფ. ...-ში მდებარე მიწის განკარგვის მიზნით, ე. ხ-აშის სასარგებლოდ ნება არ გამოუხატავს. არასწორი იყო სოფ. ...-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების წარმოშობის დაკავშირება ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტთან, რადგან სახელმწიფო, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ისედაც მიიჩნეოდა და იმჟამადაც იყო ამ ქონების მესაკუთრე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულების 81-ე პუნქტის თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა 5 ჰა (იგივე 50000 კვ.მ) მიწის ნაკვეთი, რომელიც ასევე მოიცავდა ე. ხ-აშის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ სახლს და მის მიმდებარე მიწის ნაკვეთს. ამდენად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შესაბამისი ბრძანების გამოცემისას იხელმძღვანელა იმ მონაცემებით, რომლებიც უკვე იყო მითითებული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის ნორმატიულ აქტში.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ე. ხ-აშის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი და მიმდებარე მიწის ნაკვეთი არ იმყოფებოდა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში და იგი (ანუ სახლის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი და მიმდებარე მიწის ნაკვეთი), ისევე, როგორც 4,3 ჰა მიწის ნაკვეთი, წარმოადგენდა საქართველოს მეცნიერთა აკადემიისათვის გადაცემულ ერთ მთლიან ობიექტს. თავად მოსარჩელე ე. ხ-აშსაც არ გააჩნდა სანივთე უფლების დამდგენი საბუთი, როგორც სახლსა და მიმდებარე მიწის ნაკვეთზე, ისე მათი გამოკლებით, დანარჩენ 4,3 ჰა მიწის ნაკვეთზე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 63<sup>1</sup> მუხლის დებულებებს და რომ ამის გამო, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი იყო კანონსაწინააღმდეგო, კერძოდ, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 63<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი იყო, რომ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავდა ქონების აღწერას და მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, აპოთეკით, უზუფერუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას. სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დროისათვის სოფ. ...-ში მდებარე მიწის ნაკვეთს ყადაღა ჰქონდა დადებული, რაც არ წარმოადგენდა ისეთ გარემოებას, რომელსაც უნდა შეეფერხებინა საპრივატიზაციო ქონების დამატებითი ნუსხის დამტკიცების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ხსენებული მუხლის ანალიზი ცხადყოფდა, რომ ყადაღის ინსტიტუტი მიმართული იყო დაყადაღებული ნივთის ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაყადაღებული ნივთის გამო, რაიმე ხელშეკრულების დადების, ასეთი ქონების რომელიმე სანივთო უფლებით ან სხვა შინაარსის ვალდებულებით დატვირთვის წინააღმდეგ. 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანებით არ მომხდარა ქონების გასხვისება – უძრავი ნივთის მესაკუთრე სუბიექტის – სახელმწიფოს შეცვლა სხვა სუბიექტით ან უძრავი ნივთის რაიმე სახის სანივთო უფლებით, სხვა რაიმე სახის სახელშეკრულებო ვალდებულებით დატვირთვა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2005 წლის 5 ოქტომბრის 11/1-1036 ბრძანებით საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეიტანა დაყადაღებული ნივთი, რაც არ ნიშნავდა ამ ნივთის გასხვისებას.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მტკიცება იმის შესახებ, რომ 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის დებულებებს და განმარტა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ხსენებული ბრძანების გამოცემისას მოქმედებდა არა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, არამედ «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტიდან – 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულებიდან გამომდინარე, ასრულებდა კანონისმიერ ვალდებულებას, განეხორციელებინა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების – სოფ. ...-ში მდებარე შენობისა და მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია. დასახელებული ბრძა-

ნება იყო დასაბუთებული. სოფ. ...-ში მდებარე შენობისა და მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე, გამოკვლეულ იქნა ის ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებული იყო სადავო მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობასთან, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტმა 2005 წლის 10 სექტემბერს გამოსცა 1750 ბრძანებულება, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა 2005 წლის 5 ოქტომბერს – 11-1/1036 ბრძანება. დადგენილი იყო, რომ ე. ხ-აში, როგორც დაინტერესებული პირი, არ ყოფილა მიწვეული სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის წინმსწრებ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა აღნიშნული არ იყო კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება – უძრავ ნივთზე უფლების დამდგენი საბუთის არქონის პირობებში, ე. ხ-აშის მასში მონაწილეობა გავლენას ვერ მოახდენდა ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კანონისმიერ ვალდებულებაზე, მოეხდინა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების გამოცემისას არ დარღვეულა ზემოხსენებული საკანონმდებლო აქტების მოთხოვნები და ამდენად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მტკიცება სადავო ადმინისტრაციული აქტის უკანონობის შესახებ და მისივე მოთხოვნა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ხ-აშის წარმომადგენელმა ა. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ხ-აშის წარმომადგენელმა ა. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი ე. ხ-აშის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში, აღნიშნულ ნაწილში ე. ხ-აშის სარჩელის დასაშვებლად ცნობა და მისი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე ე. ხ-აშის სააპელაციო საჩივართან ერთად იმ მოტივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულებები იყო არა ნორმატიული, არამედ – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ მხარეს გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის არანაირი იურიდიული ინტერესი ჰქონდა, რადგან მისი ბათილად ცნობის შემთხვევაში ქონება სახელმწიფო საკუთრებად დარჩებოდა და უკვე დამთავრებულ საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ ჩაითვლებოდა, ე. ხ-აშის სარჩელი საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, უკვე განხილულ იქნა და არ დაკმაყოფილდა, სადავო ბრძანება ვერ მიაყენებდა ზიანს ე. ხ-აშის ინტერესს, რის გამოც მისი სარჩელი დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება; შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ ე. ხ-აშის სარჩელზე, სარჩელის დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნია, რომ სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის გადასაცემი ქონების ნუსხა და ამ ნუსხაში 81-ე პუნქტად შეტანილი იქნა მეცნიერთა შემოქმედებითი სახლი, მდებარე ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში, მასზე დამაგრებული 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთით. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულებით შეტანილი იქნა ცვლილება «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებაში და ამ ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მფლობელობაში არსებული ქონების ნუსხიდან ამოღებულ იქნა 81-ე პუნქტი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 სადავო ბრძანებით დამტკიცდა 2005-2006 წლების დამატებითი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით, პრივატიზების პროცესის დაჩქარების მიზნით, ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის პრივატიზების ორგანიზება დაევალა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო იმავე ბრძანების მე-3 პუნქტით, სოფ. ...-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლი განისაზღვრა, როგორც სახელმწიფო ქონება.



სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებს და ნ. ჯ-ს უარი ეთქვათ საკუთრების რესტიტუციის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ქობულეთის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე მიწის ნაკვეთის დაბრუნებასა და თანამესაკუთრებელ ცნობაზე. ხსენებული გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ მოსარჩელე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სოფ. ...-ში მდებარე 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლში, საიდანაც იგი გამოსახლებულ იქნა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ არსებობდა არც მოსარჩელის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი და არც გასაჩივრებული ბრძანებით საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ ქონებაზე მისი რაიმე უფლების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ან უფლების დარღვევა, რაც სარჩელის დაუშვებლობის წინაპირობას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მის მარწმუნებელს გააჩნდა სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი, რადგან სარჩელის დაკმაყოფილება და გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობა იქნებოდა ახლად აღმოჩენილი გარემოება რესტიტუციურ სარჩელზე დასრულებული სამართალწარმოების განახლებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ არსებითად იქნა განხილული მოსარჩელის შესაბამისი უფლების აღიარების საკითხი და ე. ხ-აშს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მისი უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო და არა იმ მოტივით, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი და შემდგომში პრივატიზებულ იქნა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია სადავო აქტით მისი მარწმუნებლის კანონიერი უფლების ან ინტერესისთვის ზიანის მიდგომის შესახებ და გაიზიარა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრება სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი დასაშვები იყო, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავდა მის უფლებას. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადავო ბრძანებით მისი კანონიერი უფლების შეზღუდვა და შესაბამისად, არ იყო დასაბუთებული, ე. ხ-აშის რა უფლება აღდგებოდა გასაჩივრებული ბრძანების გაუქმების შედეგად. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სარჩელი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 26<sup>2</sup> მუხლებით დადგენილ დასაშვებობის პირობებს. ამავე კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მოქმედი რედაქციის მე-5 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, შეეწყვიტა საქმის წარმოება საქმის შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას. ხსენებული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი ნახევრდებოდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლისა და 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა საფუძველზე, ბაჟის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო 75 ლარით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ე. ხ-აშის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ხ-აშის წარმომადგენელმა ა. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ ე. ხ-აშის სარჩელზე, ასევე – ამ ნაწილში საქმის განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსთვის.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა. ხსენებული განჩინება კანონის დარღვევითაა მიღებული, რადგან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ამგვარი შუამდგომლობა საერთოდ არ დაუყენებია საპროცესო კანონმდებლობის დაცვით, მაგრამ აღნიშნული შუამდგომლობა საპროცესო კანონით დადგენილი წესითაც რომ ყოფილიყო დაყენებული, განხილული და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული, მაინც უკანონო და დაუსაბუთებელი იქნებოდა.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, დაირღვა შუამდგომლობის განხილვის საპროცესო წესი. მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვის წესს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერი-



ლობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე, შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს შუამდგომლობა არათუ ზემოაღნიშნული წესით, როგორც სასამართლო სხდომის ოქმიდან ირკვევა, საერთოდ არ დაუყენებია, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ სხდომის დასაწყისში სხდომის თავმჯდომარე შეეკითხა მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა ან წარმოსადგენი, რაზედაც იყო პასუხი, რომ მხარეს რაიმე შუამდგომლობა ან წარმოსადგენი არ ჰქონდა. 12.25 საათზე სასამართლო სხდომაზე დაგვიანებით გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი ქიბიშაური. აშკარაა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა არ დაუყენებია და უფრო მეტიც, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე დაგვიანებით გამოცხადდა და მან გაუშვა შუამდგომლობის დაყენების საპროცესო შესაძლებლობა.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, ზემოთქმულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს, თუნდაც საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით რომ განეხილა არარსებული შუამდგომლობა, მისი გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მაინც უკანონო და დაუსაბუთებელი იქნებოდა. საქმის წარმოების შეწყვეტას სააპელაციო სასამართლომ ის მოსაზრებები დაუდო საფუძველად, რომ მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ მოსარჩელე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სოფ. ...-ში მდებარე 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლში, საიდანაც იგი გამოსახლებულ იქნა და ამდენად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ არსებობდა არც მოსარჩელის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი და არც გასაჩივრებული ბრძანებით საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ ქონებაზე მისი რაიმე უფლების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ან უფლების დარღვევა, რაც სარჩელის დაუშვებლობის წინაპირობას წარმოადგენდა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ ამგვარი მოსაზრება ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს შესაბამის ნორმატიულ აქტებს, ისე სამართლის აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის (რომელიც ეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელეს) თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ამ ნორმიდან აშკარაა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავდეს მის უფლებას, იმ დროისთვის, როდესაც ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, ე. ხ-აშმა გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანება. ე. ხ-აში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სადავო მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლში და ეს ფაქტი არც სააპელაციო სასამართლოს გაუხდია სადავოდ. აქედან გამომდინარე, ამ სახლზე ე. ხ-აშის კანონიერი უფლება და ინტერესი გასაჩივრებული ბრძანებით პირდაპირ და აშკარად შეილახა. სწორედ ამიტომ იქნა სასამართლოს მიერ თავის დროზე ე. ხ-აშის სარჩელი დასაშვებად ცნობილი. ე. ხ-აშის ამ კანონიერ ინტერესსა და უფლებას არაფრით არ ამცირებს ის ფაქტი, რომ მოგვიანებით, იგი სრულიად უკანონოდ იქნა გამოსახლებული თავისი სახლიდან. ასეთი ლოგიკით, ნივთის მფლობელმა ან მესაკუთრემ უნდა დაკარგოს თავის ნივთზე უფლება მარტო იმის გამო, რომ ეს ნივთი მისი მფლობელობიდან გავიდა და არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ნებაყოფლობით გავიდა ეს ნივთი მისი მფლობელობიდან თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ. სასამართლოს მთავარი შეცდომა ის არის, რომ ე. ხ-აშის კანონიერი უფლების ან ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტისათვის, სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს არსებულ ვითარებას და არა იმ ვითარებას, რომელიც არსებობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის გასაჩივრებული ბრძანების მიღების დროისათვის, რასაც ცალსახად მოითხოვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად განმარტა აღნიშნული მუხლი და დაარღვია მისი მოთხოვნა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სრულიად უსაფუძვლოა ასევე სასამართლოს მტკიცება, რომ არ არსებობს სადავო ქონებაზე მოსარჩელის რაიმე უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს შესაბამის სხდომაზე თავმჯდომარის შეკითხვაზე, ვიდრე სადავო უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრება გახდებოდა, თუ ვის ეკუთვნოდა, ა. ბ-მემ განმარტა, რომ იგი ეკუთვნოდა ე. ხ-აშს. 2005 წლამდე ეს ქონება სახელმწიფოს საკუთრება არ იყო და აღნიშნული სახელმწიფომ აღიარა იმით, რომ 2005 წელს მოხდა ამ ქონების რეგისტრაცია. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა

სამართლებრივი საფუძველი არსებობდა იმისა, რომ მისი მარწმუნებელი ფლობდა სადავო მიწას და მასზე არსებულ შენობას, ა. ბ-მემ განმარტა, რომ არსებობდა ტექნიკური ჩაყვანის გეგმა და ნახაზები.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, სასამართლომ უგულვებელიყო, როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებები, ისე მისი განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. სააპელაციო სასამართლოს არათუ არ მოუხდენია მითითებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა და შეფასება, არამედ მან საერთოდ უგულვებელიყო ეს მტკიცებულებები, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები. აღნიშნულის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე არასწორი განჩინება მიიღო და არსებობს ამ კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 394-ე მუხლის «ე» და «ე1» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მისი გაუქმების საფუძველები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინებით ე. ხ-აშის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ე. ხ-აშის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი გარემოებები: «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის გადასაცემი ქონების ნუსხა და ამ ნუსხაში 81-ე პუნქტად შეტანილ იქნა მეცნიერთა შემოქმედებითი სახლი, მდებარე ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში, მასზე დამაგრებული 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთით. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 სექტემბრის 1750 ბრძანებულებით შეტანილ იქნა ცვლილება «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 თებერვლის 130 ბრძანებულებაში და ამ ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მფლობელობაში არსებული ქონების ნუსხიდან ამოღებულ იქნა 81-ე პუნქტი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 სადავო ბრძანებით დამტკიცდა 2005-2006 წლების დამატებითი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით, პრივატიზების პროცესის დაჩქარების მიზნით, ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის პრივატიზების ორგანიზება დაევალა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო იმავე ბრძანების მე-3 პუნქტით, ქ. ქობულეთში, სოფ. ...-ში მდებარე მეცნიერთა შემოქმედებითი სახლი განისაზღვრა, როგორც სახელმწიფო ქონება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ არსებობდა არც მოსარჩელის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი და არც გასაჩივრებული ბრძანებით საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ ქონებაზე მისი რაიმე უფლების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რის გამოც არ დასტურდებოდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ან უფლების დარღვევა, რაც სარჩელის დაუშვებლობის წინაპირობას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უდავოდ არის დადგენილი, რომ თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებმა და ნ. ჯ-მა 2005 წლის 29 ივნისს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – ქობულეთის რაიონის გამგეობისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ და მათთვის ქობულეთის რ-ნის სოფ. ...-ში საკადასტრო რუკებით განსაზღვრული ორი მიწის ნაკვეთის დაბრუნება და აღნიშნული მიწის ნაკვეთების თანამესაკუთრებლად ცნობა მოითხოვეს. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მათ პაპის – თ. ხალვაშს სხვა ქონებასთან ერთად, საკუთრებაში ჰქონდა ორი მიწის ნაკვეთი ქობულეთის რაიონის სოფ. ...-ში, რაც დასტურდებოდა 1993 წლის 26 მაისს გაცემული და

ოფიციალურად დამოწმებული მიწის ნაკვეთების გეგმებით. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებს და ნ. ჯ-ს უარი ეთქვათ საკუთრების რესტიტუციის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ქობულეთის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე ორი მიწის ნაკვეთის დაბრუნებისა და თანამესაკუთრებად ცნობის თაობაზე, უსაფუძვლობისა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებისა და ნ. ჯ-ის წარმომადგენელმა ა. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განჩინებით თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებისა და ნ. ჯ-ის წარმომადგენლის – ა. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებმა და ნ. ჯ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებისა და ნ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ სასამართლოს მიერ არსებითად იქნა განხილული მოსარჩელის შესაბამისი უფლების აღიარების საკითხი და ე. ხ-აშს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მისი უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო და არა იმ მოტივით, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი და შემდგომში პრივატიზებულ იქნა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის დასაშვებობის აუცილებელი პირობაა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავდეს მის უფლებას. აღნიშნული პირობის არსებობის გარეშე – თუ არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან მისი ნაწილით რაიმე პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მიყენება მოსარჩელისათვის, ამ მუხლის მიხედვით აღძრული სარჩელი დაუშვებელია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით, მიჩნეულ იქნა რა დაუშვებლად თ., ე., ჯ., ს., თ. ხ-აშებისა და ნ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი და შესაბამისად, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განჩინება, ე. ხ-აშს უარი ეთქვა ქობულეთის რ-ნის სოფ. ...-ში საკადასტრო რუკებით განსაზღვრული ორი მიწის ნაკვეთის დაბრუნების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისი უფლების აღიარებაზე – კონკრეტული მიწის ნაკვეთების თანამესაკუთრედ ცნობაზე. შესაბამისად, არ არსებობს (არც ადრე ყოფილა) ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე, დაუზუსტებელი მონაცემებ, 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ან მის რაიმე ნაწილზე ე. ხ-აშის საკუთრების უფლება; მოსარჩელე ე. ხ-აში არც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ იყო და არც ამ დროისათვის არ არის სოფ. ...-ში მდებარე რაიმე უძრავი ნივთის მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, სახეზე ვერ იარსებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ ე. ხ-აშის სარჩელის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებული დასაშვებობის აუცილებელი პირობა – გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანებით პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მიყენება მოსარჩელის კანონიერი უფლებისათვის ან ინტერესისათვის, ან მისი უფლების უკანონოდ შეზღუდვა. ამასთან, მართალია, ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 29 ივნისის განჩინებით, ე. ხ-აშისა და სხვათა რესტიტუციური სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო ქობულეთის რ-ნის სოფ. ...-ში (იგივე ...-ში) მდებარე 4,3 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, რომელიც მოხსნილ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 ოქტომბრის 13/ბ-297 განჩინებით, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანებით მხოლოდ დამტკიც-

და 2005-2006 წლების დამატებითი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა. გარდა ამისა, მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრიდან 2005 წლის 19 ოქტომბრის ამონაწერის მიხედვით, ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის – მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო სახელმწიფო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში, სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივრის საფუძვლად იმაზე მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომ ამ სამინისტროს ამგვარი შუამდგომლობა საერთოდ არ დაუყენებია საპროცესო კანონმდებლობის დაცვით – დაირღვა შუამდგომლობის განხილვის საპროცესო წესი, რასაც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი, მაგრამ აღნიშნული შუამდგომლობა საპროცესო კანონით დადგენილი წესითაც რომ ყოფილიყო დაყენებული, განხილული და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული, მაინც უკანონო და დაუსაბუთებელი იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, ამ სხდომას ესწრებოდა მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი გ. ქ-ური. ამ ოქმში სიტყვასიტყვით არის მითითებული გ. ქ-ურის განმარტება იმის შესახებ, რომ მან მოითხოვა ე. ხ-აშის სარჩელის დაუშვებლად მიჩნევა იმ საფუძველით, რომ მხარეს გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის არანაირი იურიდიული ინტერესი არ ჰქონდა, მისი ბათილად ცნობის შემთხვევაში, ქონება სახელმწიფოს საკუთრებად დარჩებოდა და ახლად აღმოჩენილ გარემოებად უკვე დამთავრებულ საქმეზე ვერ ჩაითვლებოდა, ე. ხ-აშის სარჩელი კი საკუთრების უფლების აღიარების შესახებ უკვე განხილულ იქნა და არ დაკმაყოფილდა, რის გამოც სადავო ბრძანება ე. ხ-აშს ზიანს ვერ მიაყენებდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე წერილობით არ წარუდგენია საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ აღნიშნული ვერ იქნება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი. მართალია, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, რომ მან დააკმაყოფილა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეზე მიიღო არსებითად სწორი განჩინება, რადგან სააპელაციო სასამართლო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისა და დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას, არ არის შეზღუდული მხარეთა შუამდგომლობებითა და ინიციატივებით, არ არის დამოკიდებული მათზე და ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია, თავისი ინიციატივითაც მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება. ამდენად, მხარის ზეპირ მოთხოვნასა თუ წერილობით შუამდგომლობას სააპელაციო სასამართლოსთვის გააჩნია ფაქულტატური, ფორმალური მნიშვნელობა და სააპელაციო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა სარჩელის დაუშვებლობის მოტივი და, შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ამასთან, ერთი მხრივ, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე მითითებას მეორე მხარის ხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხსენებულ სარეზოლუციო ნაწილში მთავარია საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს დასკვნის ფორმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მხარის წერილობითი შუამდგომლობის მიუთითებლობაც ვერ მოახდენს გავლენას ხსენებულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილზე და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების მიღებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ სარჩელის დაუშვებლობის მოტივის რეალურად არსებობის ობიექტურ შეფასებასა და დადგენას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივრის საფუძვლად იმაზე მითითებასაც, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმიდან აშკარაა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, ან უკა-

წინააღმდეგობას მის უფლებას იმ დროისთვის, როდესაც ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და კერძო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში, ე. ხ-აშის სარჩელის დასაშვებობის განსაზღვრისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ე. ხ-აში, რომელმაც გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანება, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სადავო მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლში, არამედ – ქ. ქობულეთში, ... ქ. 1102-ში მდებარე, დაუზუსტებელი მონაცემებით, 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ან მის რაიმე ნაწილზე – რაიმე უძრავ ნივთზე ე. ხ-აშის საკუთრების უფლებისა და ამ მიმართებით – მისი მესაკუთრის სტატუსის არარსებობას. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი მხოლოდ ზოგადად ამტკიცებს ე. ხ-აშის კანონიერი უფლებისა და ინტერესის პირდაპირ და აშკარა შელახვას გასაჩივრებული ბრძანებით და იგი საერთოდ არ მიუთითებს ე. ხ-აშის კონკრეტულ კანონიერ უფლებაზე ან ინტერესზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივრის საფუძვლად იმაზე მითითებას, რომ სასამართლოს მთავარი შეცდომა ის არის, რომ ე. ხ-აშის კანონიერი უფლების ან ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტისათვის, სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს არსებულ ვითარებას და არა იმ ვითარებას, რომელიც არსებობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის გასაჩივრებული ბრძანების მიღების დროისათვის, რასაც ცალსახად მოითხოვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც სასამართლომ არასწორად განმარტა აღნიშნული მუხლი და დაარღვია მისი მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ საქმის მასალებით არ დასტურდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის 11-1/1036 ბრძანების გამოცემისასაც კი ამ ბრძანებით ე. ხ-აშის რაიმე კანონიერი უფლებისათვის ან ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მიყენება, ან მოსარჩელის რაიმე უფლების უკანონოდ შეზღუდვა. შესაბამისად, უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორის აპელირება იმაზე, რომ არსებობდა სხვადასხვა ვითარება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სრულიად უსაფუძვლოა სასამართლოს მტკიცება, რომ არ არსებობს სადავო ქონებაზე მოსარჩელის რაიმე უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება, საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს შესაბამის სხდომაზე სადავო ქონების ე. ხ-აშისათვის კუთვნილების შესახებ ა. ბ-ძის განმარტებებით ვერ დამტკიცდება იმავე ქონებაზე ე. ხ-აშის საკუთრების უფლება, რადგან მოცემულ საქმეში არ მოიპოვება მისი ამ უფლების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის ნორმა – სწორად შეწყვიტა ამ საქმის წარმოება და ამავე საქმეზე მიიღო არსებითად სწორი და კანონიერი განჩინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ხ-აშის კერძო საჩივარი არის უსაფუძვლო, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ხ-აშის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები**

#### **განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 10 ოქტომბერს ე. პ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გურჯაანის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1999 წლის 27 ნოემბერს, გურჯაანის რაიონის გამგეობის 1999 წლის 25 ნოემბრის 1104 დადგენილების საფუძველზე, მას იჯარის ხელშეკრულებით, 10 წლის ვადით, სოფ. ....-ში გამოეყო 3 ჰა ტბორი და 6 ჰა საძოვარი, რაზეც წელიწადში უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა – 36 ლარი. 2001 წლის 1 აგვისტოს გურჯაანის რაიონის გამგეობამ 175 დადგენილებით, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, ხსენებული ხელშეკრულებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 660-ე მუხლის მოთხოვნების უგულვებლყოფით, მოსარჩელესთან შეუთანხმებლად, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, მას ნაწილობრივ გაუუქმა საიჯარო ხელშეკრულება, კერძოდ, – 3 ჰა ტბორზე და მოსარჩელეს დაუტოვა 6 ჰა საძოვარი. იმავე დღეს, სანამ მოსარჩელესთან დადებულ ხელშეკრულებას გააუქმებდა, გურჯაანის რაიონის გამგეობამ 174 დადგენილებით აღნიშნული 3 ჰა ტბორი იჯარით გასცა სოფ. ....-ში მცხოვრებ გ. ო-ძეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 და 175 დადგენილებების გაუქმება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით რ. ო-ძე მოცემულ საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. პ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 დადგენილება გ. ო-ძისათვის 3 ჰა ტბორის იჯარით გადაცემის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი განუხილველი დარჩა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გურჯაანის რაიონის გამგეობის 1999 წლის 25 ნოემბრის 1104 დადგენილებით ე. პ-შვილს იჯარით, 10 წლის ვადით გამოეყო სოფ. ....-ში მდებარე 3 ჰა ტბორი და 6 ჰა საძოვარი, რაზეც გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. 2001 წლის 20 ივლისს გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემ კომისიას განცხადებით მიმართა გ. ო-ძემ და მოითხოვა სოფ. ....-ს ტერიტორიაზე 3 ჰა ტბორის გამოყოფა. გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2001 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ო-ძეს სოფ. ....-ში 10 წლის ვადით, იჯარით გამოეყო 3 ჰა ტბორი, ხოლო ე. პ-შვილს შეუწყდა იჯარის ხელშეკრულება სოფ. ....-ში 3 ჰა ტბორით დაკავებულ ფართობზე. გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 დადგენილებით გ. ო-ძეზე 10 წლის ვადით იჯარით გაიცა სოფ. ....-ში 3 ჰა ტბორი, ხოლო გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილებით ე. პ-შვილს შეუწყდა იჯარის ხელშეკრულება 3 ჰა ტბორზე.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს 1446 ბრძანებულებით დამტკიცებული «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ» დებულების მე-5 თავის პირველი პუნქტის თანახმად, კომისიას უნდა გამოექვეყნებინა იჯარით გასაცემი მიწის შესახებ ინფორმაცია და განცხადების მიღებიდან ერთ თვეში წერილობით შეეტყობინებინა განმცხადებლისთვის კონკურსში მონაწილეობის უფლების მინიჭების შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გამცემ კომისიას სოფ. ....-ში მდებარე 3 ჰა ტბორის იჯარით გაცემის შესახებ ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია, აღნიშნული ტბორი იჯარით გასცა გ. ო-ძეზე და მასზე საიჯარო ურთიერთობა შეუწყვიტა ე. პ-შვილს ერთსა და იმავე დღეს – 2001 წლის 1 აგვისტოს, შესაბამისად, 174 და 175 დადგენილებებით, რითაც დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს 1446 ბრძანებულებით დამტკიცებული «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ» დებულების მოთხოვნები, რაც გ. ო-ძეზე 3 ჰა ტბორის იჯარით გაცემის ნაწილში გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 დადგენილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. პ-შვილის სარჩელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, დანარჩენ ნაწილში განუხილველად უნდა დარჩენილიყო, რადგან ე. პ-შვილთან 3 ჰა ტბორზე საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს დადგენილების გაუქმების შესახებ სასამართლომ მისი სარჩელი 2005 წლის 25 სექტემბერს განიხილა და არ დააკმაყოფილა.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა ექვს წელს და ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა გასული არ იყო. რაიონულმა სასამართლომ ასევე არ გაი-

ზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 დადგენილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რადგან მოსარჩელის წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა გაზარდა ამ ნაწილში 2006 წლის 16 სექტემბერს სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რასაც მოპასუხე გურჯაანის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი არ დაეთანხმა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გასაჩივრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გააჩივრა რ. ო-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის საოქმო განჩინებით გურჯაანის რაიონის გამგეობის ნაცვლად, ამ საქმეში ჩაება მისი უფლებამონაცვლე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება; ე. პ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია და აღნიშნა, რომ, როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლოც მიუთითებდა, გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილების გაუქმების თაობაზე არსებობდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ე. პ-შვილის ანალოგიური შინაარსის სარჩელი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიიჩნია რა ხსენებული გარემოება დადგენილად, რაიონულმა სასამართლომ არასწორი იურიდიული შეფასება მისცა მას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელი განუხილველი დატოვა. იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ასევე სასამართლოს დასკვნა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს 1446 ბრძანებულებით დამტკიცებული «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ» დებულების მოთხოვნათა დარღვევის გამო, გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 დადგენილების გაუქმების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამგეობის გასაჩივრებული დადგენილება წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, მისი გაუქმების მოთხოვნით სარჩელის წარდგენის წინაპირობა იყო ამ აქტით მოსარჩელისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება. გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილებით გ. ო-ძეს შეუწყდა სოფ. ...-ში 3 ჰა ტბორზე იჯარის ხელშეკრულება და შესაბამისად, ამ ქონების სხვა პირზე, კერძოდ, ე. პ-შვილზე გადაცემით, მას არ ადგებოდა პირდაპირი და უშუალო ზიანი, რადგანაც იმავე გამგეობის 174 დადგენილების გაუქმებით, ხსენებული ტბორი არა ე. პ-შვილს, არამედ მის მესაკუთრეს უბრუნდებოდა. ქონების მიმართ ინტერესის არსებობა კი თავისთავად იგივე არ იყო, რაც ამ ქონების გასხვისებით პირისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ე. პ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და კერძო საჩივრის დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან მიიჩნია, რომ ამ საკითხზე უკვე არსებობდა 2006 წლის 25 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, მაშინ, როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა, მასთან დაკავშირებული საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაშია და მისი განხილვა დანიშნული იყო 2008 წლის 18 ნოემბერს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, თითქოს 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილებით გ. ო-ძეს შეუწყდა სოფ. ...-ში 3 ჰა ტბორზე იჯარის ხელშეკრულება და იგი ე. პ-შვილს გადაეცა 174 დადგენილებით, მაშინ, როდესაც, ფაქტობრივად, მოხდა პირიქით – ჯერ ე. პ-შვილთან დადებული იჯარის ხელშეკრულება არ იყო გაუქმებული და 174 დადგენილებით გ. ო-ძეს ისე გადაეცა იჯარით ხსენებული ტბორი, ანუ ერთი და იგივე ტბორი იჯარით ჰქონდა ორ პირს. გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია, რომ იჯარის შეწყვეტით, ტბორი გადაეცა მის მესაკუთრეს და არა ე. პ-შვილს, რაც არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს. ე. პ-შვილს 1999 წლის 27 ნოემბერს გადაეცა იჯარით ტბორი, იჯარის გადასახადს იგი იხდიდა ყოველი წლის ნოემბერში, გურჯაანის რაი-



ონის გამგეობამ კი ისე გადასცა იგი სხვა მოიჯარეს – გ. ო-ძეს, რომ აღნიშნული ტბორი ჯერ კიდევ იჯარით ჰქონდა გადაცემული ე. პ-შვილს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ე. პ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ე. პ-შვილის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი გარემოებები: გურჯაანის რაიონის გამგეობის 1999 წლის 25 ნოემბრის 1104 დადგენილებით ე. პ-შვილს იჯარით, 10 წლის ვადით სოფ. ...-ში გამოეყო 3 ჰა ტბორი და 6 ჰა სამოვარი, რაზეც გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. 2001 წლის 20 ივლისს გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემ კომისიას განცხადებით მიმართა გ. ო-ძემ და მოითხოვა თევზის საწარმოებლად სოფ. ...-ს ტერიტორიაზე 3 ჰა ტბორის მისთვის იჯარით გამოყოფა. გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2001 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ო-ძეს სოფ. ...-ში 10 წლის ვადით, იჯარით გამოეყო 3 ჰა ტბორი, ხოლო ე. პ-შვილს, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, შეუწყდა იჯარის ხელშეკრულება სოფ. ...-ში 3 ჰა ტბორით დაკავებულ ფართობზე. გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 დადგენილებით გ. ო-ძეზე 10 წლის ვადით, იჯარით გაიცა სოფ. ...-ში 3 ჰა ტბორი. გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილებით ე. პ-შვილს შეუწყდა იჯარის ხელშეკრულება 3 ჰა ტბორზე საიჯარო ქირის – 89,50 ლარის გადაუხდელობის გამო. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას წარუდგინა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა იმ მოტივით, რომ ე. პ-შვილის სარჩელი იყო დაუშვებელი – არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს, რადგან გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. პ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და კანონიერად მიიჩნია მასთან დადებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა, ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის წარმოების დამთავრების ერთ-ერთი სახეა, რომლის განმსაზღვრელი ნორმები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIX თავში (საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე) შემავალ 272-ე მუხლში (საქმის წარმოების შეწყვეტა). ხსენებული მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი საქმის წარმოების შეწყვეტის დამოუკიდებელი საფუძველია, რომლის შინაარსი გამოიხატება სარჩელების იგივეობასა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობაში.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილების გაუქმების მოთხოვნის თაობაზე არსებობდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ე. პ-შვილის ანალოგიური შინაარსის სარჩელი, რაიონულმა სასამართლომ კი არასწორი იურიდიული შეფასება მისცა მას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელი განუხილველი დატოვა, მაშინ, როდესაც იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი იყო.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოცემული საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. პ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძველობის გამო. აღნიშნული სარჩელით კი მოპასუხე გურჯაანის რაიონის გამგეობის მიმართ ე. პ-შვილი, ისევე,



როგორც ამ საქმეზე წარმოდგენილი სარჩელით, მოითხოვდა 3 ჰა ტბორზე მასთან 1999 წლის 27 ნოემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების გაუქმებისა და მასზე იჯარის ხელშეკრულების გ. ო-ძესთან გაფორმების შესახებ გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 174 დადგენილებისა და ამავე გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილების ბათილად ცნობას. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ კი 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს დადგენილება ე. პ-შვილთან იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, მიღებული იყო კანონიერად და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივრის საფუძველად იმაზე მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა, ხოლო მასთან დაკავშირებული საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაშია და მისი განხილვა დანიშნული იყო 2008 წლის 18 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საქმის განხილვაზე, მაგრამ ამ საქმეში არ არის წარმოდგენილი აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, მით უმეტეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გურჯაანის რაიონის გამგეობის 2001 წლის 1 აგვისტოს 175 დადგენილების გაუქმების თაობაზე გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას, სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის ნორმა – სწორად შეწყვიტა ამ საქმის წარმოება და ამავე საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული განჩინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. პ-შვილის კერძო საჩივარი არის უსაფუძვლო, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. პ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

#### **განჩინება**

1ბს-1368-1326(კ-კს-08)

29 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე,**

**მ. ცისკაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა ი. შ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველების არსებობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 16 მარტს ი. შ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა აბაშის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე აბაშის რაიონის გამგეობის მიმართ და შრომის წიგნაკში ცვლილებების შეტანა და სამუშაოზე აღდგენა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1990 წლიდან მუშაობდა აბაშის რაიონის გამგეობის საფინანსო განყოფილებაში. 2007 წლის 26 თებერვალს გადაეცა შრომის წიგნაკი, საიდანაც შეიტყო, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2006 წლის 18 დეკემბრის 138 ბრძანებით იგი გათავისუფლებული იყო სამუშაოდან. შრომის წიგნაკში არასწორად იყო მითითებული ი. შ-მის თანამდებობა და მისი დანიშვნა-გათავისუფლების საფუძველი.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტა და მოითხოვა შრომის წიგნაკის 18 და 19 ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა, თანამდებობის – უფროსი სპეციალისტის მითითება, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2006 წლის 18 დეკემბრის 138 ბრძანების ბათილად ცნობა და საფინანსო სამსახურში აღდგენა მის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობის შესაბამისი რანგის თანამდებობაზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შრომის წიგნაკის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის ნაწილში ცნო სარჩელი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში კი სარჩელი უსაფუძვლოდ და ხანდაზმულად მიიჩნია. მოპასუხემ განმარტა, რომ ი. შ-მე ერთი თვით ადრე იყო წერილობით გაფრთხილებული მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით ი. შ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ცვლილება შევიდა ი. შ-მის სახელზე გაცემულ შრომის წიგნაკის 18 და 19 ჩანაწერებში და ი. შ-მე მითითებულ იქნა უფროსი სპეციალისტად; აბაშის რაიონის გამგებლის 2006 წლის 18 დეკემბრის 138 ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ი. შ-მის პრეტენზია, რომ მისი შრომის წიგნაკში 18 და 19 ჩანაწერები იყო არასრული და არ ასახავდა ცნობებს მის მიერ დაკავებული თანამდებობის შესახებ, რის გამოც, მოსარჩელის სახელზე გაცემულ შრომის წიგნაკში, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 126-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ცვლილებები უნდა შესულიყო 18 და 19 ჩანაწერებში და მითითებულიყო ი. შ-მის მიერ დაკავებული თანამდებობა – უფროსი სპეციალისტი.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ არ მომხდარა საფინანსო სამსახურის ლიკვიდაცია, რადგან დადგენილი იყო, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 139 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებაში, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის 1115 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, რაიონების საფინანსო სამსახურები 2005 წლის 1 იანვრიდან აღარ განეკუთვნებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალ დაწესებულებებს და აღნიშნული თარიღიდან ექვემდებარებოდა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებს.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 69<sup>1</sup> მუხლით დადგენილი იყო, რომ ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებული იყო «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 65<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა აბაშის რაიონის გამგეობის საფინანსო სამსახურის ლიკვიდაცია, რაც გახდა სამუშაოდან თანამშრომელთა გათავისუფლების საფუძველი.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. შ-მემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და სამსახურში უფროსი სპეციალისტის შესაბამის თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ი. შ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა აბაშის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2006 წლის 18 დეკემბრის 138 ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინებაზე დაუშვა კერძო საჩივარი, ხოლო რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში – საკასაციო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით და კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. შ-მემ და აღნიშნული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. შ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 29 იანვრამდე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. შ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. შ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა უშუალო და პირდაპირი ზიანის არარსებობის გამო**

**განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2003 წლის 25 დეკემბერს ო. ფ-შვილმა სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის, თელავის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს, თელავის ტექნიკურ ინჟინერების ბიუროს მიმართ, მესამე პირად მიუთითა შ. გ-შვილი და მოითხოვა 1999 წლის 18 იანვარს განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობა, რომლის თანახმად, ქ. თელავში, ... ტერიტორიაზე მდებარე 625 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი აღირცხა შ. გ-შვილის სახელზე, ასევე, შ. გ-შვილის სახელზე გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, თელავის რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 25 ივნისის 1193 გადაწყვეტილებით თელავის «ქალაქვაჭრობასთან» შექმნილ კოოპერატივ «...» თელავის 12 საგზაო საექსპლუატაციო უბნის ყოფილი ტერიტორიიდან გამოეყო 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი საზოგადოებრივი კვების ობიექტის ასაშენებლად.

კოოპერატივი «...» ჩამოყალიბდა 1987 წლის 17 მაისს, ხოლო თელავის რაისაბჭოს აღმასკომის 1156 გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გატარდა 1987 წლის 22 მაისს. კოოპერატივის დამფუძნებლები იყვნენ შ. გ-შვილი, ო. ფ-შვილი და ს. ვ-ოვი. თავმჯდომარედ დანიშნა ნ. გ-ძე, რომელიც შესატანის გადაუხდელობის გამო გავიდა კოოპერატივიდან. კოოპერატივის წევრებმა გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე პირადი სახსრებით, წილობრივი მონაწილეობით ააშენეს სასადილო «...», მოგვიანებით კოოპერატივიდან გავიდა ს. ვ-ოვი. 1993 წლის 23 ივნისს შ. გ-შვილმა თელავის რაიონის საკრებულოში ხელახლა რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივი «...», როგორც ერთი პირის საწარმო და კოოპერატივ «...» სამართალმემკვიდრე. 1996 წლის 31 აგვისტოს თელავის რაიონის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა შპს «...», როგორც ერთი პირის საწარმო «...» უფლებამონაცვლე, შ. გ-შვილისა და ო. ფ-შვილის პარტნიორობით, თითოეულის 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით. «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის შესაბამისად, შპს «...» მიწის საკუთრებაში გადაცემისათვის გადაიხადა მიწის ერთჯერადი გადასახადი შ. გ-შვილის მეშვეობით, მაგრამ მიწის ნაკვეთი რეგისტრაციაში გატარდა არა შპს «...», არამედ შ. გ-შვილის საკუთრებად. აღნიშნული შეცდომა, მოსარჩელის მითითებით, გამოსწორებულ იქნა თელავის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიერ 2001 წლის 31 ოქტომბერს და მიწის ნაკვეთი აღირცხა შპს «...» სახელზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, შ. გ-შვილის სახელზე მიწის რეგისტრირების საფუძველი არ არსებობდა, რადგან მიწა მისთვის არავის გამოუყვია და შ. გ-შვილი მიწის ნაკვეთს კანონიერად არასოდეს ფლობდა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის საოქმო განჩინებით მოპასუხედ მიჩნეულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახური.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ო. ფ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი თელავის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს 1999 წლის 18 იანვარს განხორციელებული ჩანაწერი 625 კვ.მ მიწის მესაკუთრედ შ. გ-შვილის აღრიცხვის შესახებ და მის საფუძველზე გაცემული მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა.

თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-შვილის უფლებამონაცვლემ — ე. გ-შვილმა და მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე, სარჩელის დასაშვებად ცნობის შესახებ თელავის რაიონული სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინებით შ. გ-შვილის უფლებამონაცვლე ე. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყდა წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ თელავის რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 22 მაისის 1156 გადაწყვეტილებით რეგისტრირებულ იქნა კოოპერატივ «...» წესდება, რომელიც დამტკიცდა კოოპერატივის წევრთა საერთო კრებაზე 1987 წლის 17 მაისს. თელავის რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 25 ივნისის 1193 გადაწყვეტილებით თელავის «ქალაქვაჭრობასთან» შექმნილ კოოპერატივ «...» თელავის 12 საგზაო საექსპლუატაციო უბნის ყოფილი ტერიტორიიდან გამოეყო 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი საზოგადოებრივი კვების ობიექტის ასაშენებლად, რომელზეც აშენდა სასადილო «...». 1993 წლის 23 ივნისს შ. გ-შვილმა თელავის

რაიონის საკრებულოს 1330 გადაწყვეტილებით განმეორებით რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივი «...», როგორც ერთი პირის საწარმო და კოოპერატივი «...» სამართალმემკვიდრე. 1996 წლის 31 აგვისტოს თელავის რაიონის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა შპს «...», როგორც ერთი პირის საწარმო «...» უფლებამონაცვლე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 თებერვლის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შ. გ-შვილის სარჩელი, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 31 აგვისტოს სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული შპს «...» რეგისტრაცია. შპს «...» რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ მხარეებს საწარმოს სათანადო წესით რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არ მიუმართავთ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ დავის განხილვის დროისათვის შპს «...» აღარ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, რის გამოც ო. ფ-შვილს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირდაპირი და უშუალო ზიანი უნდა მისდგომოდა არა როგორც შპს «...» ერთ-ერთ დამფუძნებელს, არამედ როგორც კოოპერატივის წევრს, რადგან სადავო მიწა თელავის რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 25 ივნისის 1993 გადაწყვეტილებით გამოეყო თელავის «ქალაქვაჭრობასთან» შექმნილ კოოპერატივ «...».

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შ. გ-შვილის მიერ წარმოდგენილმა ქონებრივმა შენატანმა შეადგინა 1600 ლარი, იგი მითითებულია მიწის მესაკუთრედ, საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში 1999 წლის 18 იანვარს განცხადება წარდგენილია მის მიერ და მიწის შესყიდვის მიზნით გადახდილი აქვს გადასახადი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულად არ მიიჩნია, რომ ო. ფ-შვილი წარმოადგენდა კოოპერატივის წევრს. თელავის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის 2000 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა შ. გ-შვილის მიერ კოოპერატივის თავდაპირველი საბუთების განადგურების ფაქტზე დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც შპს «...» რეგისტრაცია გაუქმებულია, თელავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 12074/13 ცნობით წარდგენილი ბალანსების მიხედვით შპს «...» არ ერიცხება ძირითადი საშუალებები, ხოლო ო. ფ-შვილის კოოპერატივის წევრობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება, შ. გ-შვილის მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის ბათილად ცნობის შემთხვევაში, სადავო მიწის ნაკვეთი დაბრუნდება სახელმწიფოს საკუთრებაში, რითაც ვერ აღდგება ო. ფ-შვილის, როგორც მიწის მოსარგებლის, უფლება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ო. ფ-შვილს გაშვებული აქვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3 მუხლით დადგენილი სარჩელის ხანდაზმულობის ვადა, რადგან საქმეში წარმოდგენილი, თელავის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს რეგისტრატორის პასუხის თანახმად, ო. ფ-შვილისათვის ჯერ კიდევ 2001 წლის 16 ოქტომბრისათვის იყო ცნობილი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ფ-შვილმა ვერ დაასაბუთა, რა პირდაპირი და რა უშუალო ზიანი ადგება მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან რატომ ზღუდავს უკანონოდ მის უფლებას გასაჩივრებული აქტი და ამასთან, მის მიერ გაშვებულ იქნა აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. ფ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორმა უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, დადგენილია, რომ თელავის რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 25 ივნისის 1993 გადაწყვეტილებით თელავის «ქალაქვაჭრობასთან» შექმნილ კოოპერატივ «...», რომლის დირექტორიც შემდგომ გახდა შ. გ-შვილი, გამოეყო 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი საზოგადოებრივი კვების ობიექტის ასაშენებლად, რომელზეც აშენდა სასადილო «...». 1993 წლის 23 ივნისს შ. გ-შვილმა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, კოოპერატივის ლიკვიდაციის გარეშე მოახდინა ერთი პირის საწარმო კოოპერატივ «...» რეგისტრაცია. 1997 წლის 31 აგვისტოს თელავის რაიონის სასამართლოს რეგისტრაციაში გატარდა შპს «...», როგორც ერთი პირის საწარმო კოოპერატივ «...» უფლებამონაცვლე. შპს-ს პარტნიორებს წარმოადგენდნენ შ. გ-შვილი და ო. ფ-შვილი. ამდენად, მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენებული იყო სასადილო «...», მფლობელობაში გადაეცა შპს «...», რომლის თანამფლობელიც იყო ო. ფ-შვილი.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის 2.2 მუხლის შესაბამისად, სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ენიჭებოდა შპს «...». შ. გ-შვილმა კი თავის სახელზე საკუთრების უფლებით დაარეგისტრირა იგი. მიწის ნაკვეთი შ. გ-

შვილის სახელზე აღირიცხა მაშინ, როდესაც შპს «...» წარმოადგენდა იურიდიულ პირს და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო ო. ფ-შვილი.

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ შ. გ-შვილმა თავისი სახელით მიმართა მიწის მართვის სამმართველოს მიწის შესყიდვის მიზნით, რადგან ამ უკანასკნელმა შპს «...» სახელზე მოითხოვა მიწის რეგისტრაცია და ფულიც შპს-ს სახელზე გადაიხადა.

კერძო საჩივრის ავტორმა ასევე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ო. ფ-შვილი არ იყო კოოპერატივის მეპაიე.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სადავო აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მას უფლება ექნება, მიმართოს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მიწის ნაკვეთის ნახევრის თავის სახელზე რეგისტრირების შესახებ, რადგან შპს «...» ლიკვიდაციის შემდეგ მიწის ნაკვეთი რეალურად სახელმწიფოს საკუთრებაში არ გადასულა და იგი შ. გ-შვილისა და ო. ფ-შვილის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო.

ო. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ ცნეს მოწინააღმდეგე მხარისა და მესამე პირის წარმომადგენლებმა და მოითხოვეს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინების უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების, მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ო. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევები არ მომხდარა, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც კერძო საჩივრის ავტორს არ წამოუყენებია დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1987 წელს შეიქმნა კოოპერატივი «...» ხუთი წევრის შემადგენლობით, თელავის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 22 მაისის 1156 გადაწყვეტილებით დამტკიცდა თელავის «ქალაქვაჭრობასთან» შექმნილი საზოგადოებრივი კვების კოოპერატივ «...» წესდება. თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 25 ივნისის 1193 გადაწყვეტილებით თელავის «ქალაქვაჭრობასთან» შექმნილ საზოგადოებრივი კვების კოოპერატივ «...» ობიექტის მშენებლობისათვის გადაეცა 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენდა სასადილო «...». 1993 წლის 23 ივნისის შ. გ-შვილმა რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივი ოცნება, როგორც ერთი პირის საწარმო და კოოპერატივ «...» სამართალმემკვიდრე. 1996 წლის 31 აგვისტოს ტელავის რაიონულმა სასამართლომ დაარეგისტრირა შპს «...», როგორც ერთი პირის საწარმო ოცნების უფლებამონაცვლე, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ შ. გ-შვილი და ო. ფ-შვილი. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 1996 წლის 31 აგვისტოს სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული შპს «...» რეგისტრაცია. 1999 წლის 18 იანვარს საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურმა შ. გ-შვილის განცხადების საფუძველზე თელავის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე 625 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებული იყო სასადილო «...», დაარეგისტრირა შ. გ-შვილის სახელზე. 2001 წლის 31 ოქტომბერს მიწის მართვის სამმართველომ განახორციელა ცვლილება რეესტრის ჩანაწერში და სადავო მიწის ნაკვეთი აღირიცხა შპს «...» სახელზე. თელავის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაუქმდა მიწის მართვის 2001 წლის 31 ოქტომბრის 158/99 ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ დასაშვებია, თუ აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

კონკრეტულ შემთხვევაში ო. ფ-შვილის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული მოსარჩელის სუბიექტური უფლების დარღვევა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეწყვიტა სარჩელზე წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

კერძო საჩივრის ავტორი თავისი სუბიექტური უფლების დარღვევას ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთი იყო შპს «...» სარგებლობაში, შესაბამისად, საწარმოს ლიკვიდაციის შემ-

დეგ იგი დამფუძნებლების – შ. გ-შვილისა და ო. ფ-შვილის მფლობელობაში დარჩებოდა, რითაც ო. ფ-შვილს მიეცემოდა შესაძლებლობა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის 2.2 მუხლის შესაბამისად, თავის სახელზე აღერიცხა სადავო უძრავი ქონება, შ. გ-შვილის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთის აღრიცხვით კი დაირღვა მოსარჩელის უფლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი უსაფუძვლოდ გამო არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან სადავო მიწის ნაკვეთი ირიცხებოდა შპს «...» სარგებლობაში, შესაბამისად, მიწაზე საკუთრების მოპოვების უფლება მითითებული კანონის საფუძველზე შეიძლებოდა წარმოშობოდა საწარმოს და არა მის დამფუძნებლებს, როგორც ფიზიკურ პირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შ. გ-შვილმა, როგორც ფიზიკურმა პირმა, მოახდინა რა მიწის თავის სახელზე რეგისტრაცია, შესაძლო უფლების მოპოვების უფლებამოსილება წაერთვა საწარმოს. ამდენად, საწარმოს ერთ-ერთი პარტნიორის ქმედება ემსახურებოდა თუ არა საზოგადოების მიზნებს, მის სამართლებრივ შედეგებსა და მის კანონიერება-უკანონობაზე და საწარმოსათვის ზიანის მიყენების თაობაზე დავის უფლება ექნებოდათ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მხოლოდ პარტნიორებს საწარმოს სახელით და არა როგორც ფიზიკურ პირებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ო. ფ-შვილს უფლებების დარღვევაზე შეეძლო ედავა არა როგორც ფიზიკურ პირს, არამედ – საწარმოს ერთ-ერთი დამფუძნებელს პარტნიორის შ. გ-შვილის მიმართ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული მისი, როგორც ფიზიკური პირის, უფლების არსებობა სადავო ქონებაზე, რადგან თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 25 ივნისის<sup>1</sup> 193 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდა თელავის «ქალაქვაჭრობასთან» შექმნილ საზოგადოებრივი კვების კოოპერატივ «...», მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული, რომ ო. ფ-შვილი იყო კოოპერატივ «...» წევრი. კოოპერატივის ბაზაზე, როგორც მისი უფლებამონაცვლე, დაფუძნდა შპს «...», შესაბამისად, კოოპერატივის სარგებლობაში არსებული ქონება გადავიდა შპს-ს სარგებლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შ. გ-შვილის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთის აღრიცხვის კანონიერების შემოწმების მიმართ ო. ფ-შვილის კანონიერი ინტერესის არსებობა ვერ იქნა დასაბუთებული მოსარჩელის მიერ, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ადინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>.5 მუხლით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში იმსჯელა რა მოსარჩელის დასაშვებობაზე, მართებულად შეწყვიტა მასზე საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დასაშვებობის წინაპირობის არარსებობის გამო.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის მოტივები დაუსაბუთებელია, არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე და არ არსებობის მისი გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ო. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

#### **განჩინება**

18ს-326-316(კს-09)

16 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**2006 წლის 22 სექტემბერს** ა. ბ-იანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე თ. ა-ძის მიმართ, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის, უკანონო მშენებლობისა და საზიარო საკუთრების გაყოფის თაობაზე.

**2006 წლის 25 ოქტომბერს** თ. ა-ძემ შეგებულ სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ამონაწერში **'2567/06 1707.06** სარეგისტრაციო ზონა **'62-ში**, კვარტალი **'40, '040** ნაკვეთის, ფართობი - **327 კვ.მ**, ჩასწორდეს - **311 მ.კვ**-ით, ტექნიკურ ნახაზებში «საერთო ეზოს» ნაცვლად მიეთითოს «თ. ა-ძის საკუთრება»; ა. ბ-იანს დაევალოს, მოშალოს უკანონოდ აშენებული კიბე, რომელიც გადმოდგმულია მის ეზოში სახლის საპირისპიროდ.

ახალციხის რაიონული სასამართლოს **2006 წლის 2 ნოემბრის** საოქმო განჩინებით თ. ა-ძის შეგებულ სარჩელი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

**2007 წლის 3 აპრილს** ა. ბ-იანმა კვლავ სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეებად მიუთითა თ. ა-ძე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური და მოითხოვა საჯარო რეესტრში თ. ა-ძის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან საერთო სარგებლობის ეზოს ამორიცხვა, ტექნიკურ ნახაზში საერთო სარგებლობის ეზოს შეფარდება დადგენილი წესით და წარდგენილი სარჩელის გაერთიანება სასამართლოს წარმომებაში არსებულ სამოქალაქო საქმესთან. შემდგომში აღნიშნული სარჩელი დაზუსტდა და ა. ბ-იანმა ითხოვა დავალებოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს, თ. ა-ძის საკუთრებად რეგისტრირებული საერთო სარგებლობის ეზოს ჩანაწერში ცვლილების შეტანა და მისი საერთო საკუთრებად დარეგისტრირება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს **2007 წლის 3 აპრილის** განჩინებით ა. ბ-იანის სარჩელი თ. ა-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და ა. ბ-იანის სამოქალაქო სარჩელი თ. ა-ძის მიმართ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის, უკანონო მშენებლობისა და საზიარო უფლების შემცირების თაობაზე გაერთიანდა ერთ წარმომებად.

ახალციხის რაიონული სასამართლოს **2007 წლის 5 სექტემბრის** განჩინებით ა. ბ-იანის სარჩელზე საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის, უკანონო მშენებლობისა და საზიარო უფლების შემცირების ნაწილში შეჩერდა საქმის წარმოება ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტამდე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს **2007 წლის 15 ნოემბრის** საოქმო განჩინებით ასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება ნ. ტ-ძე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს **2008 წლის 8 იანვრის** გადაწყვეტილებით მოსარჩელე ა. ბ-იანის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, სადავო ეზოს, მდებარეს ქ. ახალციხეში, ... ქ. **'20-სა** და **'22-ს** შორის, ა. ბ-იანის საერთო საკუთრებად თ. ა-ძისა და ნ. ტ-ძის თანაბარ წილად რეგისტრაციის თაობაზე, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულებაზე, გამოეცა ადმინისტრაციული აქტი და ცვლილება შეეტანა თ. ა-ძის საკუთრების რეგისტრაციაში, ეთქვა უარი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-ძემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ახალციხის რაიონული სასამართლოს **2008 წლის 8 იანვრის** გადაწყვეტილების გაუქმებასა და მოსარჩელისათვის სარჩელის დამაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008 წლის 21 ნოემბრის** განჩინებით თ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს **2008 წლის 8 იანვრის** გადაწყვეტილება; ა. ბ-იანის სასარჩელო განცხადებაზე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ბ-იანმა ადმინისტრაციული ორგანოსგან მოითხოვა თ. ა-ძის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ნივთის ჩანაწერში ცვლილების შეტანა. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა მის ნაცვლად მოითხოვა ნ. ს-ძემ, რომელსაც სარეგისტრაციო სამსახურში არ წარუდგინა სათანადო რწმუნებულება. ამასთან, განცხადებას არ ერთვოდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი. ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის **2007 წლის 30 აპრილს** გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი, თავისი შინაარსით შუალედური პასუხია, რომლითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებელს აცნობა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზები (რწმუნებულის გარეშე წარმომადგენლობა და მესაკუთრესთან შეთანხმებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის არარსებობა), რასაც, თავის მხრივ, ვერ მოყვებოდა რაიმე სამართლებრივი შედეგი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **5.1** მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **312.1** მუხლის თანახმად, «რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა».



«უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდება უფლების დამადასტურებელი საბუთებისა და საკადასტრო ინფორმაციის საფუძველზე.

«უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 2007 წლის 18 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 24.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის საფუძველია არსებითი წინააღმდეგობა სარეგისტრაციოდ წარდგენილ უფლებასა და საჯარო რეესტრში უკვე რეგისტრირებულ უფლებრივ მდგომარეობას შორის, რაც შეუძლებელს ხდის რეგისტრაციას. ამავ კანონის თანახმად, თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია, იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილებით, ანუ «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული რამდენიმე გადაწყვეტილებიდან უნდა განსაზღვროს, რომელი გადაწყვეტილებაა მისაღები, უნდა განხორციელდეს ცვლილება რეგისტრირებულ მონაცემებში თუ უარი უნდა ეთქვას სარეგისტრაციო წარმოების დაწყებაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, «ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება». სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა უფლებამოსილება, მოსარჩელესთან მიმართებით მიეღო სხვა გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184.2 მუხლის შესაბამისად, სარჩელის სასამართლოს წარმოებაში მიღების შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, გადაეწყვიტა ა. ბ-ანის განცხადება, რამდენადაც მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით მიმართა 2007 წლის 24 აპრილს, ანუ მას შემდეგ, რაც ახალციხის რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო მისი სარჩელი საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის, უკანონო მშენებლობისა და საზიარო საკუთრების გაყოფის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა და გადაეწყვიტა საერთო სარგებლობის ეზოს სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის საკითხი, ვინაიდან იმავე საკითხზე დავას იხილავდა სასამართლო.

აღნიშნულ მოტივაციაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე პუნქტით და განჩინებით შეწყვიტა საქმის წარმოება.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ბ-იანმა.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ნოემბრის განჩინების გაუქმებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-იანის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ შემდეგ გარემოებებზე: ა. ბ-იანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: თ. ა-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრში თ. ა-ძის საკუთრებად დარეგისტრირებული საერთო სარგებლობის ეზოს ჩანაწერში ცვლილების შეტანა და საჯარო რეესტრის დავალდებულება, ეზო დაერეგისტრირებინა საერთო საკუთრებად.

სარჩელის აღძვრამდე ა. ბ-იანმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა თ. ა-ძის საკუთრებად დარეგისტრირებული უძრავი ნივთის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 30 აპრილის 122/62-11/191 შეტყობინებით განმცხადებელს ეცნობა წარმოების შეჩერების თაობაზე იმ მოტივით, რომ განცხადება შეტანილი იყო წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც თან არ ახლდა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმოდგენილი არ იყო თ. ა-ძესთან შეთანხმებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზემოაღნიშნული აქტის შეფასების ნაწილში და თავის მხრივ აღნიშნავს შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 30 აპრილის 122/62-11/191 წერილი თავისი შინაარსით აკმაყოფილებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს და «უძრავ ნივ-

თებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 28<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ექვემდებარება გასაჩივრებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დაინტერესებულ პირს აქვს სრული შესაძლებლობა, გაასაჩივროს წარმოების შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს აქტი, თუ თვლის, რომ შეჩერების საფუძველები არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილ მოტივაციას, თვლის, რომ ა. ბ-იანის სარჩელზე არსებითად სწორად იქნა საქმის წარმოება შეწყვეტილი, რის გამოც საჭიროდ არ მიიჩნევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ა. ბ-იანი ადმინისტრაციული ორგანოს აქტს სადავოდ ხდის არა იმ მოტივით, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების საფუძველი, რის გამოც აქტი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, არამედ ის ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებას, მოახდინოს მე-3 პირის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა იმ პირობებში, როდესაც მას აღნიშნულზე არ გააჩნია ადმინისტრაციული ორგანოს უარი, კერძოდ, დადგენილება ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ ან უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ხოლო ამავე კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში როდესაც სახეზე არ არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის დადგენილება რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, ა. ბ-იანის სარჩელზე საქმის წარმოება ექვემდებარება შეწყვეტას.

რაც შეეხება კერძო საჩივარში წარმოდგენილ მოტივაციას იმის თაობაზე, რომ თ. ა-ძესთან შეთანხმებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარმოდგენა იყო შეუძლებელი, რამაც განაპირობა სარჩელის სასამართლოში აღძვრა, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ვერ იქნება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მხარეს სასამართლოსათვის უნდა მიემართა სხვა სახის სარჩელით, რომელიც ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასამართლო განსჯის საგანს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივარში წარმოდგენილი მოტივაცია არ ეყრდნობა საპროცესო თუ მატერიალური სამართლის ნორმებს, სამართლებრივი თვალსაზრისით კერძო საჩივარი არის სრულიად დაუსაბუთებელი, რის გამოც არ არსებობს მისი გაზიარებისა თუ დაკმაყოფილების საფუძველი

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ბ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

#### **განჩინება**

18ს-350-335 (კს-09)

22 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილის ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...-ას» დირექტორმა 2004 წლის სექტემბერში სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილის მოქმედების შეჩერება და ბათილად ცნობა.

ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «...-ას» დირექტორის კ. დ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილი.

ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს «...-ას» დირექტორის შუამდგომლობა; შეჩერდა სადავო ადმინისტრაციული აქტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 128/1724 წერილის მოქმედება, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 22 აპრილის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი.

მოცემული დავა არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და ბოლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება და სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილი თავისი იურიდიული ბუნებით არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. იგი არ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტით ადმინისტრაციულ აქტისათვის დადგენილ ძირითად კრიტერიუმებს: არ აწესებს და არ ადასტურებს შპს «...-ას» მიერ 40000 ლარის ოდენობით დღგ-ში გაუქმებულ გადასახადის გადახდის მოვალეობას. წერილი ინფორმაციული ხასიათისა და მასში დასახელებულია ის აქტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/740 წერილი, რომლითაც მოსარჩელეს გაუქმდა აქტივი. სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეს გადასახადის დარიცხვის პირველწყარო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/740 წერილი არ გაუსაჩივრებია.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა: ის გარემოება, რომ აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილი არ ადგენს და არ ადასტურებს მოსარჩელისათვის რაიმე მოვალეობის დაკისრებას და, შესაბამისად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, დასტურდება იმითაც, რომ მისი ბათილობის შემთხვევაში მოსარჩელის საგადასახადო ვალდებულება არ ბათილდება, რადგანაც ძალაშია მოვალეობის დამდგენი აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «...-ას» დირექტორმა და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება ან გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/740 წერილი არის მხოლოდ მიმოწერა აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციისადმი, რომლის ადრესატი საერთოდ არ ყოფილა შპს «...», ხოლო აღნიშნულ წერილში მითითებულია დასკვნა, რომლითაც განხორციელდა გადასახადის დარიცხვა. ადმინისტრაციული ორგანო მიერ კი აღნიშნული დასკვნა ვერ იქნა წარმოდგენილი.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს სადავო პერიოდისათვის მოქმედ საგადასახადო კოდექსის 235-ე და 236-ე მუხლის შესაბამისად საგადასახადო შეტყობინებას, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტით შპს «...-ას» გაუქმდა დღგ-ში 40 000 ლარის აქტივი, რომელიც 2002 წლის 24 იანვრის 11-01-02 ხელშეკრულებით გადაეცა შპს «...». კერძო საჩივარში მითითებულია, რომ შპს «...» იყო იმჟამინდელი აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინ-

სპექციის გადამხდელი, ხოლო აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია კი იყო საგადასახადო ორგანო-დამოუკიდებელი იურიდიული პირი. ამდენად აღნიშნული საგადასახადო ორგანო საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე ანხორციელებს უშუალოდ საგადასახადო ურთიერთობას თავის გადამხდელებთან მშ შპს «...-თან». აღნიშნული ადმინისტრაციული აქტით, /რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი — საგადასახადო ინსპექციის უფროსი/ გადამხდელს შეატყობინეს, დაუწესეს და დაუდგინეს საგადასახადოს გადახდის ვალდებულება, მას შეეზღუდა უფლებები, რაც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მის პირად ბარათზე დღგ-ს ვალდებულებების გაზრდასა და საურავების დარიცხვაში, ასევე, უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების გატარებაში – ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებაში. რაც შეეხება სადავო ადმინისტრაციულ აქტში მოხსენიებულ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/7460 წერილს, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, იგი სამსახურებრივი ანუ მიმოწერის ხასიათისაა – საგადასახადო დეპარტამენტისა და აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას შორის, გადამხდელისათვის შპს «...-თვის» იგი არ გაუზღავნიათ. აღნიშნული წერილი სამართლებრივად წარმოადგენს სადავო ადმინისტრაციული აქტის საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა ადმინისტრაციული აქტის დასაბუთებასთან დაკავშირებით; კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ 2004 წლის 24 იანვრის 11-01-02 ხელშეკრულება, რომელიც საფუძველად დაედო დღგ-ს ვალდებულების წარმოშობას, შედგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე, 203-ე, 204-ე, 349-ე, 442-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს «...-ას» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/7460 წერილით საგადასახადო დეპარტამენტში საგადასახადო ანგარიშფაქტურების კანონდარღვევით გამოყენების და ყალბი აქტივების გამოვლენის კუთხით გატარებული მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ შპს «...-ს» ფიქტიური ოპერაციების განხორციელების გზით დამატებული ღირებულების გადასახადში წარმოექმნა ზედმეტობა. მან წარმოქმნილი ყალბი აქტივიდან აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში რეგისტრირებულ შპს «...-ას» 2002 წლის 4 თებერვალს დღგ-ის სახით გადასცა აქტივი 40000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა 2002 წლის 4 თებერვალს გატარებულია შპს «...-ას» დღგ-ის გადამხდელის პირად ბარათზე და შესაბამისად დაფარულია მისი საგადასახადო ვალდებულება. აღნიშნულის გასწორების მიზნით აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას დაევალა შპს «...-თვის» გაუქმებინა ზემოაღნიშნული ოპერაცია და საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლის შესაბამისად მოეხდინათ სავარაუდო დარიცხვა 40000 ლარის ოდენობით.

დადგენილია, რომ დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილი, რომლითაც შპს «...-ას» ეცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/7460 წერილის შესაბამისად გაუქმდა დღგ-ში 40000 ლარის აქტივი, რომელიც გადმოეცა შპს «...-გან» 2002 წლის 4 თებერვალს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი წინამძღვრის თაობაზე მითითებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილში; ამ ნორმის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ სარჩელის დასაშვებად მიჩნევსათვის აუცილებელია რომ სარჩელი აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის ერთ-ერთ მოთხოვნას, კერძოდ, სასამართლოში სარჩელის შეტანის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნის უფლებამოსილება პირს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომლის უფლებასა და ინტერესს უშუალოდ და ინდივიდუალურად ადგება ზიანი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით.

დადგენილია, რომ შპს «...-ას» სადავოდ არ გაუხდია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/7460 წერილი, რომელმაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიაყენა მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესს, რის გამოც საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 24 აგვისტოს 128/1724 წერილი არ ადგენს და არ ადასტურებს მოსარჩელისათვის რაიმე მოვალეობის დაკისრებას და, შესაბამისად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, აღნიშნული გარემოება კი დასტურდება იმითაც, რომ მისი ბათილობის შემთხვევაში მოსარჩელის საგადასახადო ვალდებულება არ ბა-

თილდება, რადგან ძალაშია მოვალეობის დამდგენი აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 5 აგვისტოს 11-11/7460 წერილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილით, რომლის თანახმად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია კანონის მოთხოვნები, რის გამოც შპს «...-ას» კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. არ დაკმაყოფილდეს შპს «...-ას» კერძო საჩივარი;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები**

#### **განჩინება**

18ს-284-274(კს-09)

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** სარჩელის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 25 თებერვალს რ. ბ-შვილმა და გ. წ-ურმა სარჩელით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ მუშაობდნენ კასპის რაიკოოპერატივში და წარმოადგენდნენ კოოპერატივის მეპაიეებს. კასპის რაიკოოპერატივის ბალანსზე რიცხული ქონება, კერძოდ: ... ლიმონათის ქარხანა, სურსათის მაღაზია, რესტორანი «...», ... მაღაზიის შენობა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ აუქციონზე დაბალ ფასებში და კანონის უხეში დარღვევით გაიყიდა.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული განყოფილების უფროსის მიერ შედგენილი განცხადება ზემოაღნიშნული ქონების აუქციონზე გაყიდვის შესახებ არ იყო გამოქვეყნებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, ამ ქონების გაყიდვის შესახებ კასპის რაიკოოპერატივის მეპაიეებისთვის არ უცნობებიათ. ამის მიუხედავად, რაიკოოპერატივის მეპაიეებმა აუქციონის ჩატარებამდე ათი დღით ადრე მიმართეს გორის საგადასახადო ინსპექციას და მოითხოვეს აუქციონის შეჩერება იმ მოტივით, რომ კასპის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე გ. დ-ძის მიმართ რაიკოოპერატივში გამოვლენილ დარღვევებზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, თუმცა 2003 წლის 29 მაისს ქ. გორში აუქციონი მაინც ჩატარდა. აუქციონზე შედგა ოქმი, რომელიც უკანონო იყო, ვინაიდან მასში არ იყო აღნიშნული, თუ ვინ ესწრებოდა აუქციონს, არ იყო აღნიშნული კომისიის წევ-

რები, პრესის, ტელევიზიისა და სხვა წარმომადგენლები და დამსწრეები. აღნიშნულის მიუხედავად, 2003 წლის 29 მაისით დათარიღებული 1000376 სერტიფიკატის თანახმად, 2003 წლის 29 მაისს აუქციონზე ქ. კასპის ... სურსათის მაღაზიის შენობა 500 ლარად გ. ჩ-ელმა შეიძინა. 2003 წლის 6 ივნისს გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული განყოფილების უფროსმა ა. მ-შვილმა ტელეკომპანია «...» განცხადება გამოაქვეყნა იმის შესახებ. რომ 2003 წლის 30 ივნისს, 11 საათზე, ქ. გორში, ... 129-ში კასპის რაიკოოპერატივის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე ატარებდა აუქციონს. განცხადებაში ჩამოთვლილი იყო ოცი დასახელების ობიექტი, მათ შორის, ... ლიმონათის საამქრო, ღირებულებით 1500 ლარი. მაშინ, როდესაც ამ ობიექტების საბალანსო ღირებულება 3316 ლარს შეადგენდა. 2003 წლის 30 ივნისს გამართულ აუქციონზე მოცემული ობიექტი 900 ლარად გაიყიდა, ამასთან, გამოსყიდული არ იყო შენობის ქვეშ მდებარე მიწის ფართი.

მოსარჩელეთა განმარტებით, აგრეთვე უკანონოდ გაიყიდა ქ. კასპში მდებარე რაიკოოპერატივის სამეურნეო მაღაზია, რომლის საბალანსო ღირებულება 1400 ლარს შესადგენდა, ხოლო გაიყიდა 800 ლარად. არსებობდა ტელეკომპანია «...» დირექტორის სახელზე 2003 წლის 19 სექტემბერს გაგზავნილი მიმართვა, რომლის თანახმად, 2003 წლის 21 ოქტომბერს 12 საათზე, ქ. გორში, ... 129-ში გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული განყოფილების უფროსი ა. მ-შვილი განმეორებით აუქციონს ატარებდა. გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში იყო ... მაღაზია «ყველაფერი ოჯახისათვის». ამ ობიექტის საბალანსო ღირებულება 60663 ლარს შეადგენდა, ხოლო გაიყიდა 10000 ლარად.

მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ უკანონოდ გაიყიდა რესტორანი «...», რომლის საბალანსო ღირებულება 35600 ლარს შესადგენდა, ხოლო აუდიტორული დასკვნის თანახმად 3500 ლარად შეფასდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ კასპის რაიკოოპერატივის ბალანსზე რიცხული ქონების: კასპის ... სურსათის მაღაზიის შენობის, ... ლიმონათის საამქროს შენობის, ... მაღაზიის შენობის «ყველაფერი ოჯახისათვის», კასპში მდებარე რესტორანი «...» შენობის გასხვისების მიზნით მოწყობილი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 აპრილის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ დ. ბ-შვილი, დ. შ-შვილი, გ. ჩ-ელი და რ. თ-შვილი.

ამავე სასამართლოს 2004 წლის 18 მაისის განჩინებით კი საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ გ. ქ-ელი და გ. ც-ავი.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით რ. ბ-შვილისა და გ. წ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს რ. ბ-შვილმა და გ. წ-ურმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 23 თებერვლის განჩინებით რ. ბ-შვილისა და გ. წ-ურის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა გორის საგადასახადო ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელების: თ. ლ-ძის, გ. ს-ძის, ა. მ-შვილის და სხვათა მიმართ შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს რ. ბ-შვილმა და გ. წ-ურმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 28 აპრილის განჩინებით რ. ბ-შვილისა და გ. წ-ურის საკასაციო საჩივარი თავისი არსით კერძო საჩივრად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს დაუბრუნდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 17 ივნისის განჩინებით რ. ბ-შვილისა და გ. წ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზანდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 14 სექტემბრის განჩინებით რ. ბ-შვილისა და გ. წ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 23 თებერვლისა და 17 ივნისის განჩინებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 თებერვლის განჩინებით საქმის წარმოება განაზღვრა რ. ბ-შვილისა და გ. წ-ურის სააპელაციო საჩივარზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის სასამართლო სხდომაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე რ. თ-შვილის გარდაცვალების გამო მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მ. ფ-შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გ. წ-ურისა და რ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება (განჩინება); გ. წ-ურისა და რ. ბ-შვილის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავდა, რომ სარჩელის დასაშვებად ცნობისათვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლის თანახმად, გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ უნდა ზღუდავდეს მის უფლებებს.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გ. წ-ური და რ. ბ-შვილი როგორც კასპის რაიკოოპერატივის მეპაიეები არ შეიძლება განხილულ იქნან დაინტერესებულ პირებად, რადგან კოოპერატივის ქონების გასხვისებით მათ პირდაპირი და უშუალო ზიანი არ მიადგათ. კოოპერატივის ქონების უკანონო გასხვისებასთან დაკავშირებით კოოპერატივის ინტერესების დასაცავად და მისი სახელით სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლება მოქმედი კანონმდებლობით გააჩნდა კოოპერატივის გამგეობას. «სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სამომხმარებლო კოოპერატივის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა გამგეობა, რომელიც ახორციელებს კოოპერატივის სამეურნეო და სხვა საქმიანობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. წ-ურის წარმომადგენელმა – გ. ზ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა გ. წ-ურისა და რ. ბ-შვილის, როგორც კასპის რაიკოოპერატივის მეპაიეების საპროცესო უფლებრივი სტატუსის საკითხი მოცემულ საქმეში. კოოპერატივის ქონების უკანონო გასხვისებით, ცხადია მის მეპაიეებს მიადგათ ძალიან დიდი ზიანი და ამით უკანონოდ შეიზღუდა მათი უფლებები და ინტერესი. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, გ. წ-ურსა და რ. ბ-შვილს სრული კანონიერი უფლება ჰქონდათ აღედრათ სარჩელი კოოპერატივის ინტერესების დასაცავად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. წ-ურის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გ. წ-ურის წარმომადგენლის მოსაზრებას სარჩელის დასაშვებობის თაობაზე და თვლის, რომ გ. წ-ურისა და რ. ბ-შვილის სარჩელზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მართებულად იქნა შეწყვეტილი საქმის წარმოება.

საკითხის არსებითად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს შემდეგი მოსაზრებების წარმოდგენას: საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს მეპაიეებმა, აქციონერებმა და ა. შ. კორპორაციების მოთხოვნები საკუთარი სახელით წარადგინონ სასამართლოში, თუ ამ მოთხოვნებს თვითონ კორპორაცია სხვადასხვა მიზეზით არ იყენებს. ასეთი ტიპის დერივატიული სარჩელები, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციის მმართველობითი ორგანოები არღვევენ საკუთარ მოვალეობებს და ამით ზიანი ადგება კორპორაციის ინტერესებს.

ასეთი ტიპის სარჩელის აღძვრის უფლება უკავშირდება რიგ პროცესუალურ ნორმებს, კერძოდ, დერივატიული სარჩელის აღძვრამდე სავალდებულოა პირმა წერილობით მიმართოს კორპორაციის მმართველ ორგანოს, რათა ამ უკანასკნელმა თავადვე წარადგინოს მოთხოვნა სასამართლოში და მხოლოდ უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, მას ეძლევა პროცესუალური შესაძლებლობა აღძვრას სარჩელი.

საყურადღებოა, რომ ქართული კანონმდებლობა არ იძლევა მსგავსი ტიპის რეგულაციების ჩამონათვალს და დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ე.წ. პირდაპირი სარჩელების აღძვრის შესაძლებლობას. რომელიც პირს ანიჭებს უფლებას საკუთარი სახელით განახორციელოს ისეთი პირადული ხასიათის მოთხოვნები, როგორიცაა დივიდენდის მოთხოვნა, ინფორმაციის მიღების უფლება, კრების მოწვევის უფლება და ა. შ.

განსახილველ შემთხვევაში არსებობს კოოპერატივის მეპაიეთა (ორი მეპაიის) მიერ აღძრული სარჩელი, რომელიც მიმართულია კასპის რაიკოოპერატივის ბალანსზე რიცხული ქონების აუქციონის გზით გასხვისების ბათილად ცნობისაკენ. ამდენად, სარჩელი ცალსახად მიეკუთვნება ე. წ. არაპირდაპირი სარჩელების კატეგორიას და საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა კოოპერატივის მეპაიეს ასეთი ტიპის სარჩელის აღძვრის უფლება, მოდიებულ უნდა იქნეს «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონსა და «სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ» კანონში.

«მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

ამავე კანონის 63.1 მუხლის თანახმად, კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. კანონის 64.1 მუხლის

შესაბამისად, თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენლობითი კრება.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის 65-ე მუხლი განსაზღვრავს კოოპერატივებში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შესაძლებლობას, რომელიც კონტროლს უწევს კოოპერატივების მმართველობით ორგანოს – გამგეობას.

კოოპერატივის, როგორც საწარმოს, რთული კორპორაციული მოწყობა ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პირადი უფლების გარდა არცერთი სხვა უფლება უშუალოდ არ დადის ცალკეულ მეპაიემდე, რაც მიმართულია მე-3 პირებთან ურთიერთობაში სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ.

საგულისხმოა, რომ ანალოგიური შინაარსის დებულებებია ჩადებული «სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ» კანონში, რომლის 5.1 მუხლის შესაბამისად, სამომხმარებლო კოოპერატივის მართვის უმაღლეს ორგანოდ მიჩნეულია მეპაიეთა საერთო კრება, რომელიც ირჩევს აღმასრულებელ – განმკარგულებელ და მკონტროლებელ ორგანოს – გამგეობას და სარევიზიო კომისიას.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნისა, რომ კოოპერატივის ორი წევრის მიერ აღძრული სარჩელი არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრულ დასაშვებობის მოთხოვნებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მითითებულ მუხლებზე დაყრდნობით მართებულად იქნა საქმის წარმოება შეწყვეტილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. წ-ურის წარმომადგენლის გ. ზ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

## **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

### **განჩინება**

1ბს-337-324(კს-09)

19 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წიკვაძემე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 11 ოქტომბერს ზ. კ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ქ. ბათუმის მერიის, ნ. გ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის 1241 გადაწყვეტილების, 2000 წლის 13 იანვრის ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტის არარად აღიარება, ასევე, საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა, ზ. კ-ძის საკუთრებაში არსებული ბინის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა და ბინის თავზე არსებული შენობის მოშლა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, ზ. კ-მე რამოდენიმე ათეული წელია, ცხოვრობს ქ. ბათუმში, ... ქ. 147-ში მდებარე სახლში. 1990 წელს მან სახელმწიფოსაგან შეისყიდა მის მფლობელობაში არსებული ბინა. 1998 წლის მარტში ზ. კ-მემ თანხმობა განაცხადა, მ. ქ-მეს განეხორციელებინა მის საცხოვრებელ სახლზე მიშენება. აღნიშნული შეთანხმება გულისხმობდა ზ. კ-ძის ორი ოთახისა და დამხმარე სათავსის დანგრევას, ოთხი ფანჯრის ამოშენებას. მ. ქ-მე იღებდა ვალდებულებას, ხელახლა აემშენებინა დანგრეული ოთახები, ჩაესვა კარ-ფანჯრები, დაეგო იატაკი, გაეღეს კედლები და აღედგინა ის კომუნიკაციები, რომელიც გაუქმდებოდა მშენებლობის დაწყებისას. ასევე, უნდა გაგანიერებულიყო ოთახებიც, მისი ოთახების ქვემოთ, პირველ სართულზე ზ. კ-ძისათვის უნდა მიეცა 15 კვ.მ, ხოლო ბინის ზემოთ მანსარდი არ უნდა დაშენებულიყო. ზ. კ-მემ თანხმობა განაცხადა იმ პროექტით საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე, რომელიც არ ითვალისწინებდა თავისი ბინის ზემოთ მანსარდის მშენებლობას.



მ. ქ-მემ მშენებლობა განახორციელა პროექტის დარღვევით – ბინას დააშენა მესამე სართული ზ. კ-ის ბინის სიმაღლის შემცირების ხარჯზე. 1999 წელს მშენებარე სახლი მ. ქ-მისაგან შეიძინეს მ. ქ-მემ და რ. ნ-უამ, რომლებმაც მშენებლობა გააგრძელეს პროექტის დარღვევით.

მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის 1241 გადაწყვეტილებისა და 2000 წლის 13 იანვრის ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტის საფუძველზე, რ. ნ-უას მეუღლის – ნ. გ-მის საკუთრებად დარეგისტრირდა სახლი, რომლის ნახევარი 2002 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა მ. ქ-მეს.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის 1241 გადაწყვეტილება და 2000 წლის 13 იანვრის ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტი არარა ადმინისტრაციულ აქტებს წარმოადგენს, რადგან გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. უფრო მეტიც, ექსპლუატაციაში მიღების აქტის შინაარსიდან შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა.

ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ... 147-ში აშენებული სახლის ნ. გ-მის სახელზე ექსპლუატაციაში მიღებისას დაცული უნდა ყოფილიყო «მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ» საქართველოს კანონის 6.2 მუხლის, მე-3 მუხლის «ა» პუნქტზე დაყრდნობით, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 1999 წლის 7 დეკემბრის 166 ბრძანებით დამტკიცებული «მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობების (სამშენებლო პროდუქციის) ექსპლუატაციაში მიღების წესის» მოთხოვნები.

აღნიშნული წესის შესაბამისად, გადაწყვეტილებას შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით იღებს ექსპლუატაციაში მიმღები კომისია და არა კომისიის დამნიშნელი ორგანო, კონკრეტულ შემთხვევაში, კომისიის დამნიშნელ ორგანოს წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერია. აღნიშნულის შესაბამისად, ქ. ბათუმის მერიის 1241 გადაწყვეტილება გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

რაც შეეხება ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტს, იგი მითითებული წესის მიხედვით, უნდა შეედგინა ექსპლუატაციაში მიმღებ კომისიას, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის სხდომა არ გამართულა, აქტში არ არის მითითებული მისი შემდგენი პირი და არ არის კომისიის წევრების ხელმოწერა. ამასთან, დამტკიცებულია არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის ბეჭდით, მაგრამ გაურკვეველია, ვის მიერაა ხელმოწერილი.

ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს არარა აქტებს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ზ. კ-მის სარჩელი ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის 1241 გადაწყვეტილებისა და 2000 წლის 13 იანვრის ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტის არარად აღიარების ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. კ-მემ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნება საქალაქო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 იანვრის განჩინებით ზ. კ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არარად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის 1241 გადაწყვეტილება და 2000 წლის 13 იანვრის ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტი, ხოლო დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. კ-მემ და ნ. გ-მემ.

ზ. კ-მემ მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ზ. კ-მის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ნ. გ-მემ მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარების ნაწილში და ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ზ. კ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, ზ. კ-მის სარჩელი ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის 1241 გადაწყვეტილებისა და 2000 წლის 13 იანვრის ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტის არარად აღიარების, საჯარო რეესტრში ნ. გ-მისა და მ. ჭ-მის საკუთრების უფლების შესახებ რეგისტრაციის გაუქმების, ზ. კ-მის საკუთრებაში არსებული ბინის ზემოთ განლაგებული შენობის მოშლისა და მოპასუხეების კუთვნილი ფართის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი და შეწყდა საქმის წარმოება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 8 ნოემბერს წარმოებაში იქნა მიღებული ზ. კ-ძის სარჩელი ქ. ბათუმის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის, ნ. გ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის '241 გადაწყვეტილებისა და ნ. გ-ძის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების 2000 წლის 13 იანვრის 11 აქტის ბათილად ცნობის შესახებ. 2007 წლის 11 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა ზ. კ-ძის სარჩელის გამო ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის '241 გადაწყვეტილები-სა და 2000 წლის 13 იანვრის ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტის არარად აღიარების, საჯარო რეესტრში ნ. გ-ძისა და მ. ჭ-ძის საკუთრების უფლების შესახებ რეგისტრაციის გაუქმების, ზ. კ-ძის საკუთრებაში არსებული ბინის ზემოთ განლაგებული შენობის მოშლისა და მოპასუხეების კუთვნილი ფართის პროექტთან შესაბამი-სობაში მოყვანის შესახებ ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტამდე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.1 მუხლი დაუშ-ვებლად მიიჩნევს აღიარებითი სარჩელის აღძვრას, თუ პირს შეუძლია აღძვრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების, ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის გამოცემისა და ქმედების განხორციელების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნორმა უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს და აღი-არებითი სარჩელის დაშვება უნდა გამოირიცხოს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-ე-24-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობისას, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი სხვა სახის სარჩელებისა და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უფლების დაცვის მიზნით სარჩელის შეტანის შესაძლებლობის შემთხვევაშიც.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში ზ. კ-ძეს ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოში აღძრული აქვს სარჩელი იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათი-ლად ცნობის თაობაზე, რომელთა არარად აღიარებაც ითხოვს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელი აღიძვრება იმ უფლების დასაცავად, რომელსაც მომავალში შესაძლოა დაემუქროს საფრთხე. ამდენად, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას სახე-ზე უნდა იყოს პირის უფლების დარღვევის რეალური საშიშროება და სარჩელის აღძვრის კანონიერი ინტე-რესიც დასაბუთდება სწორედ უფლების ან კანონიერი ინტერესისადმი მოსალოდნელი საფრთხის არსებო-ბით. უკვე დარღვეული უფლების აღსადგენად კი უნდა აღიძვრას შეცილების ან მავალდებულებელი სარჩე-ლი. ზ. კ-ძე აღიარებითი სარჩელით ითხოვს 1999 წელს დარღვეული უფლების აღდგენას, რისი დაცვაც აღი-არებითი სარჩელის წარდგენით დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზ. კ-ძეს უფლებები მ. ქ-ძის მიერ სადავო მშენებლობის წარმოე-ბით 1999 წლიდან დარღვეულია. პროცესის ეკონომიურობის თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელი დაუშ-ვებელია, თუ შესაძლებელია ვალდებულების შესრულების თაობაზე სარჩელის აღძვრა. კონკრეტულ შემ-თხვევაში მოსარჩელის განმარტებით, 1998 წელს მ. ქ-ძესთან შეთანხმდა მშენებლობის გარკვეული პირობე-ბით წარმოებაზე. ამგვარი შეთანხმება თავისი არსით არის მხარეთა გარიგება გარკვეულ ვალდებულებებზე, რაც მ. ქ-ძემ დაარღვია. აღნიშნული ვალდებულების დარღვევით წარმოებული მშენებლობის მესაკუთრე მოგვიანებით გახდა ნ. გ-ძე, რომლის სახელზეც გაცა სადავო ექსპლუატაციაში მიღების აქტი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. კ-ძის რეალური ინტერესის დაცვა შესაძლებელია სხვა სახის ადმინისტრაციული ან სამოქალაქო წესით ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე სარჩელის შეტანის გზით და არა აღიარებითი სარჩელით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განჩი-ნებაზე (საქმე 'ზს-740-706(კ-07), რომელშიც განვითარებულ იქნა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აღიარები-თი სარჩელი არ უნდა გახდეს სარჩელის სხვა სახეების დასაშვებობის წინაპირობებისაგან თავის დაღწევის საშუალება. აღიარებითი სარჩელი არ მოიცავს მოპასუხის მიმართ შესრულების მოთხოვნას ან ამ შესრულე-ბის იძულებითი წესით განხორციელებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ზ. კ-ძის წარმომადგენელმა ვ. გ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემ-ბრის განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად დაბრუნება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობისათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, მიიჩნია, რომ სასამარ-თლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მას შემდეგ, რაც ზ. კ-ძისათვის ცნობილი გახდა სადავო ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტების თაობაზე, აღიძრა აღიარებითი სარჩელი. სასამართლომ სარჩელი აღ-ნიშნული აქტების არარად აღიარების ნაწილში დაუშვებლად ცნო, რაც ზ. კ-ძის მიერ გასაჩივრდა კერძო სა-ჩივრით, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით, ამ უკანასკნელმა ასევე აღძრა სარჩელი სადავო ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე. ამდენად, ახალი სარჩელის ერთადერთი მიზანი იყო კერძო საჩივრის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აქტების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების გაშვების თავიდან აცილება.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლოს არ უნდა განეხილა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.2 მუხლი, რასაც არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა შედეგად.

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ზ. კ-ძის უფლებები დაირღვა მ. ქ-ძესთან დადებული შეთანხმების შეუსრულებლობით, რადგან მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარება, რისი ინტერესის დასასაბუთებლადც მოსარჩელემ მიუთითა იმ ფაქტებზე, რომ არარა აქტებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული პროექტის დარღვევით აშენებული საცხოვრებელი სახლი, რითაც დაირღვა ზ. კ-ძის უფლება, შემცირდა მისი ბინის ერთ-ერთი ოთახის სიმაღლე, ოთახის თავზე განთავსდა ნ. გ-ძის მიერ აშენებული სახლის ნაწილი.

გარდა აღნიშნულისა, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა სარჩელზე, თუმცა იმსჯელა მხოლოდ მოთხოვნათა ნაწილზე – აქტების არარად აღიარებაზე, ხოლო დანარჩენ მოთხოვნებზე არ უმსჯელა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრების მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზ. კ-ძის წარმომადგენლის – ვ. გ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე ზ. კ-ძისა და ნ. გ-ძის სააპელაციო საჩივრებით განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არასწორი განჩინება დაადგინა, დასაბუთებულია კერძო საჩივრის მოტივები საპროცესო დარღვევების შესახებ, რაც სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი, რის გამოც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დასკვნას აღიარებითი სარჩელის დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უფლების პროცესუალური დაცვის სამართლებრივ საშუალებას, სარჩელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს აღიარებითი სარჩელი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.1 მუხლის შესაბამისად, აღიძვრება აქტის არარად აღიარების, ან უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, კერძოდ, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძვრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია ადმრას სარჩელი ამ კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, ზ. კ-ძე სარჩელით ითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარებას, ასევე საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებას, შენობის მოშლასა და პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.2 მუხლის დანაწესი არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, თუ არსებობს მავალდებულებელი სარჩელის აღძვრის წინაპირობა, რადგან მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო აქტს აქვს კანონსაწინააღმდეგო აქტის ნიშნები, უპირობოდ არ გამორიცხავს მისი არარად აღიარების მოთხოვნას, თუ მხარეს აქვს ვარაუდი, რომ აქტი გამოცემულია მაგალითად, არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში, რა სახის სარჩელი უნდა იქნეს აღძრული, მხარის ნებაზეა დამოკიდებული და სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას უნდა დადგინდეს, არსებობს აქტის ბათილად ცნობის, თუ მისი არარად აღიარების საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტება არ შეესაბამება ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის – აქტის არარად აღიარების სამართლებრივ ბუნებას, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ამდენად, არარა აქტის გამოცემა ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი მავალდებულებელ სარჩელთან შედარებით, სამართლებრივი შედეგის მნიშვნელობის თვალსაზრისით, უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დად-

გენა; გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად კი ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონის ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და არარად აღიარება ემყარება სრულიად სხვადასხვა სამართლებრივ საფუძვლებს, ამგვარი აქტი გამოცემისთანავე არარაა, ვერ ახდენს იურიდიულ ზემოქმედებას, ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი მდგომარეობა. შესაბამისად, თუ არსებობს აქტის არარად მიჩნევის სამართლებრივი საფუძველი, რაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპზე, აღარ არსებობს მისი კანონსაწინააღმდეგობის მტკიცების საჭიროება. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღიარებითი სარჩელი აქტის არარად აღიარების შესახებ დასაშვებია, თუ უფლების დაცვის მიზნით შეუძლებელია სხვა სახის სარჩელის აღძვრა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძველად არ უნდა მიეჩნია ის გარემოება, რომ ზ. კ-მეს ასევე აღძრული ჰქონდა სარჩელი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ზ. კ-მის სარჩელი ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 30 დეკემბრის 1241 გადაწყვეტილებისა და ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს ექსპლუატაციაში მიღების 11 აქტის არარად აღიარების შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი და ამ ნაწილში სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, შესაბამისად, იმის გამო, რომ მოსარჩელეს არ წართმეოდა უფლების პროცესუალური დაცვის სამართლებრივი საშუალება, მან აღძრა სარჩელი სადავო აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ საშუალებას წარმოადგენს და აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი შეზღუდულია ხანდაზმულობის ვადით, განსხვავებით აღიარებითი სარჩელისა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოსათვის განმსაზღვრელი არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ აქტების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის ფაქტი, მას უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე თუ 25-ე მუხლებით განსაზღვრული სარჩელის წარდგენის წინაპირობა, ანუ იკვეთებოდა აქტის არარად აღიარების თუ მისი კანონსაწინააღმდეგობის საფუძვლები და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინა დასკვნა სარჩელის დასაშვებობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელე ზ. კ-მის უფლებები დაირღვა 1999 წლიდან, მ. ქ-მის მიერ სადავო მშენებლობის წარმოებით, რის გამოც მას უფლების დაცვა შეუძლია შეცილების სარჩელით. ასევე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. კ-მეს რეალური ინტერესის დაცვა შესაძლებელი იყო სხვა სახის ადმინისტრაციული ან სამოქალაქო წესით ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე სარჩელის შეტანის გზით და არა აღიარებითი სარჩელით.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს არა მ. ქ-მისაგან დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ნ. გ-მის სახელზე ექსპლუატაციაში მიღების აქტის არარად აღიარებას, რითაც, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ზიანი მიადგა მის კანონიერ უფლებასა და ინტერესს. სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სადავო აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნები საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების, შენობის მოშლისა და პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ გამორიცხავს წარმოდგენილი სარჩელის აღიარებით სარჩელად წარდგენის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ სადავო აქტის თანამდევი შედეგების გაუქმების შესახებ მოთხოვნა არ შეესაბამება აღძრული სარჩელის სახეს, ან ამგვარი მოთხოვნები წარმოადგენს სხვა სახის სარჩელს, თავისთავად ვერ გახდება სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სარჩელი კომბინირებული მოთხოვნების ხასიათს ატარებს, რამდენადაც იგი ადმინისტრაციული სარჩელის რამოდენიმე სახეს მოიცავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მოთხოვნების ერთი სახის სარჩელის ფორმატში წარდგენა, რომელთა ერთობლივად განხილვა დასაშვებია, თუ სახეზე არ არის სსსკ-ის 182.2 მუხლის მიხედვით, საქმის წარმოებით გამოყოფის პროცესუალური საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის მოთხოვნა პრევალირებს სხვა სახის მოთხოვნებზე, რამდენადაც სწორედ ამ სარჩელის გადაწყვეტა განაპირობებს სხვა

მოთხოვნების გადაწყვეტას, როგორც აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების თანამდევ იურიდიულ შედეგს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, თუ სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს მოთხოვნების ერთი სახის სარჩელით (კომბინირებული ფორმით) განხილვას, სასამართლოს გააჩნია პროცესუალური უფლებამოსილება სსსკ-ის 182.2 მუხლის გამოყენებისა და ეს ვერცერთ შემთხვევაში ვერ გახდება სარჩელის დაუშვებლად ცნობის წინაპირობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არასწორი განჩინება დაადგინა; კერძო საჩივარი შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, რის გამოც კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე ზ. კ-ძისა და ნ. გ-ძის სააპელაციო საჩივრებით განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. კ-ძის წარმომადგენლის – ვ. გ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;
3. საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

#### **განჩინება**

18ს-1152-1114(კს-08)

20 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს «...» კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.07.08წ. განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

21.08.06წ. შპს «...» დირექტორმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. მოსარჩელემ შპს «...» თანხის დაკისრების ნაწილში ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 10.01.03წ. კამერალური შემოწმების აქტის, ფოთის საგადასახადო ინსპექციის 24.11.05წ. 1122 საგადასახადო მოთხოვნის, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ამავე ინსპექციის 14.12.05წ. 1122 შეტყობინებისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ 13.12.05წ. 1122 შეტყობინების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 21.02.06წ. გადაეცა ფოთის საგადასახადო ინსპექციის 22.11.05წ. 1122 საგადასახადო მოთხოვნა, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ 13.12.05წ. 1122 და ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 14.12.05წ. შეტყობინებები. კანონით დადგენილ ვადაში შესაგებელით მიმართა ფოთის საგადასახადო ინსპექციას. 13.06.06წ. გადაეცა ფოთის საგადასახადო ინსპექციის პასუხი შესაგებელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოსარჩელის აზრით, უსაფუძვლოდ დაეკისრა 7564.95 ლარის ძირითადი თანხისა და 8320 ლარის საურავის გადახდა. დაუსაბუთებელია საგადასახადო მოთხოვნის საფუძვლად მიჩნეული 10.01.03წ. კამერალური შემოწმების აქტი. აქტში არ არის მითითებული შესამოწმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, არ შექმნილა პურის საცხობის ფართის ამზომველი ჯგუფი, გადასახადის დარიცხვის შესახებ არ უცნობებიათ გადასახადის გადამხდელისათვის და აქტს ხელს არ აწერს საწარმოს წარმომადგენელი. მოსარჩელის განცხადებით,

შპს «...» საცხოვრებელი იმუშავა მხოლოდ 2002 წლის თებერვალში, რის შემდეგაც შეწყვიტა მუშაობა და ფუნქციონირება მხოლოდ 2003 წლის მარტში განაახლა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.01.07წ. განჩინებით შპს «...» სარჩელი მიჩნეული იქნა დასაშვებად.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.04.07წ. განჩინებით შპს «...» სარჩელი მიჩნეული იქნა დაუშვებლად და საქმის წარმოება შეწყდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ «შპს «...» შესაგებლის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ» საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 142 ბრძანება შპს «...» 13.03.06წ. გადაეცა, ხოლო სარჩელი სასამართლოს ერთი თვის გასვლის შემდეგ წარედგინა.

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.04.07წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «...». კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 142 ბრძანებით სრულყოფილად არ განემარტა ბრძანების გასაჩივრების წესი. მასში მიეთითა, რომ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელი იყო საგადასახადო კოდექსის VIII თავით დადგებილი წესით. საგადასახადო ინსპექციის გადამხდელს არ მიუთითეს იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 142 ბრძანების გასაჩივრება, ასევე, არ განუმარტეს გასაჩივრების ვადა. კერძო საჩივრის ავტორმა ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.04.07წ. განჩინების გაუქმება და სასარჩელო განცხადების დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.07წ. განჩინებით შპს «...» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა შპს «...» სარჩელის დასაშვებად ცნობის შესახებ ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.01.07წ. და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.04.07წ. განჩინებები და შპს «...» სარჩელი დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.04.07წ. განჩინებით შპს «...» სარჩელი მიჩნეული იქნა დაუშვებლად და საქმის წარმოება შეწყდა იმ მოტივით, რომ მხარეს გაცდენილი ჰქონდა «შპს «...» შესაგებლის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ» საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 142 ბრძანების გასაჩივრების 1-თვიანი ვადა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხსენებული ბრძანების ბათილად ცნობა შპს «...» სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენდა. მოსარჩელე ითხოვდა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 10.01.03წ. კამერალური შემოწმების აქტის, ფოთის საგადასახადო ინსპექციის 24.11.05წ. 122 საგადასახადო მოთხოვნის, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ამავე ინსპექციის 14.12.05წ. 122 შეტყობინებისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ 13.12.05წ. 122 შეტყობინების ბათილად ცნობას. აღნიშნული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის დასაშვებობაზე ფოთის საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს «...» სარჩელის დასაშვებად ცნობის შესახებ ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.01.07წ. საოქმო განჩინებას ხელს არ აწერდა სხდომის მდივანი, რაც სსკ-ის 289.4 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 04.12.07წ. განჩინებით შპს «...» სარჩელი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 11.12.07წ. გადაწყვეტილებით შპს «...» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 10.01.03წ. კამერალური შემოწმების აქტი შპს «...» თანხის დარიცხვის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ფოთის საგადასახადო ინსპექციის 24.12.05წ. 122 და 13.12.05წ. შეტყობინებები. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 10.01.03წ. კამერალური შემოწმების აქტი შპს «...» თანხის დარიცხვის ნაწილში არ შეიცავდა საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებს, აქტს ხელს არ აწერდა მეწარმე და საგადასახადო ინსპექციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ის დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა სადავო კამერალური შემოწმების აქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფოთის საგადასახადო ინსპექციამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.07.08წ. განჩინებით ფოთის საგადასახადო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის საგანს შპს «...» თანხის დაკისრების ნაწილში ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 10.01.03წ. კამერალური შემოწმების აქტის, ფოთის საგადასახადო ინსპექციის 24.11.05წ. 122 საგადასახადო მოთხოვნის, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ამავე ინსპექციის 14.12.05წ. 122 შეტყობინებისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ 13.12.05წ. 122 შეტყობინების ბათილად ცნობა შეადგენდა. მოსარჩელე აღიარებდა, რომ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი ჰქონდა სადავო აქტების ჩაბარებიდან გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «...».

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საგადასახადო ინსპექციას არ წარუდგენია 2005 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეტყობინება და 2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო მოთხოვნა. საგადასახადო ინსპექცია ვალდებული იყო საგადასახადო ინსპექციის გადამხდელისათვის გაეგზავნა შეტყობინება, რომელშიც სხვა ინფორმაციასთან ერთად ასახული უნდა ყოფილიყო დარიცხვის საფუძველი და გასაჩივრების წესი. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სა-

ქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 1142 ბრძანება არ არის დასაბუთებული და მასში მითითებული არ არის გასაჩივრების წესი. თუ ვალდებული პირისათვის ჯეროვნად და ოფიციალურად არ არის გაცნობილი საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების უფლება, ვადები და წესი, მაშინ გასაჩივრების ვადის გასვლა უნდა ჩაითვალოს ვადის გაშვებად ადმინისტრაციული(საგადასახადო) ორგანოს მიზეზით და აღდგეს გაშვებული ვადა ანუ არ იქნეს დაწყებული გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის ათვლა. საგადასახადო ორგანოს მიერ თავისი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ დაცული იქნებოდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები. კერძო საჩივრის ავტორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16.07.08წ. განჩინების გაუქმება და სასარჩელო განცხადების დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს «...» საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 24.11.05წ. 1122 საგადასახადო მოთხოვნით გადასახდელად დაეკისრა 7 564.95 ლარის ძირითადი გადასახადი, ხოლო 8217.07 ლარის საურავი. ამავე ინსპექციის 13.12.05წ. 1122 საგადასახადო შეტყობინებით გადასახადის გადამხდელს ეცნობა 15 885.15 ლარის საგადასახადო ვალდებულების საფუძველზე საწარმოს ქონების მიმართ სახელმწიფოს სასარგებლოდ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ. ფოთის საგადასახადო ინსპექციის 14.12.05წ. 1122 საგადასახადო შეტყობინებით შპს «...» ეცნობა, რომ საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ინსპექციის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, საწარმოს ქონებას ყადაღა დაედებოდა ქონების შემდგომი რეალიზაციის მიზნით. გადასახადის გადამხდელი არ დაეთანხმა დარიცხულ გადასახადს და ზემოაღნიშნული აქტები გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით ფოთის საგადასახადო ინსპექციაში. საგადასახადო კოდექსის 149.3 მუხლის თანახმად, შესაგებლის წარუდგენლობას უთანაბრდება ისეთი შესაგებლის წარდგენა, რომელშიც მითითებული არ არის დავის გაგრძელების ფორმა. შპს «...» შესაგებელში აღნიშნული იქნა, რომ დავის გაგრძელების შემთხვევაში დავის ფორმად ირჩევს სასამართლოს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 1142 ბრძანებით შპს «...» შესაგებელი არ დაკმაყოფილდა. სასარჩელო განცხადების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 1142 ბრძანება შპს «...» გადაეცა 13.03.06წ., ხოლო სარჩელი სასამართლოს მხოლოდ 21.08.06წ. წარედგინა. საგადასახადო კოდექსის 155.1 მუხლის განსახილველი სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქციის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის/მისი მოადგილის ბრძანების გასაჩივრება დაიშვებოდა ამ ბრძანებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დადგენილ ვადაში ბრძანების გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში საგადასახადო მოთხოვნა აღიარებულად ჩაითვლებოდა და მიექცეოდა აღსასრულებლად, ხოლო გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა ჩაითვლებოდა გაუქმებულად. განსახილველ შემთხვევასი შპს «...» სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, რაც სასარჩელო განცხადების დაუშვებლად ცნობის საფუძველს ქმნის. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შპს «...» მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო აქტით არ განემარტა ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების წესი, რაც, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის საფუძველია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ფოთის საგადასახადო ინსპექციის 28.02.06წ. 1142 ბრძანებით შპს «...» მიეთითა ბრძანების გასაჩივრების შესახებ, კერძოდ, ბრძანებაში აღინიშნა, რომ მისი გასაჩივრება შეიძლებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის VIII კარით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის შესაბამისადაა მიღებული განჩინება შპს «...» სასარჩელო განცხადების დაუშვებლად ცნობის შესახებ და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს «...» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დაეჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.07.08წ. განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «...» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.07.08წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები

### განჩინება

18ს-42-42(კ-კს-09)

25 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გაუქმება

**საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:**

მ. ლ-მემ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისა და გ. ზ-ძის მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

გ. ზ-მემ შეგებებული სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის და მ. ლ-ძის მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 აპრილის განჩინებით გ. ზ-ძის შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის 2007 წლის 27 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილება, რითაც აღიარებულ იქნა გ. ზ-ძის საკუთრების უფლება 2800 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების მოწმობა, გაცემული 2007 წლის 27 დეკემბერს გ. ზ-ძის სახელზე; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული ჩანაწერი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 2800 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გ. ზ-ძის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ზ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ლ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2008 წლის 30 აპრილს გ. ზ-მემ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის და მ. ლ-ძის მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ზ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 17 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერი მ. ლ-ძის მიმართ სოფელ ... 0,28 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ლ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. ზ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ერთ წარმოებად გაერთიანდა გ. ზ-ძისა და მ. ლ-ძის სააპელაციო საჩივრები.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოწინააღმდეგე მხარეების ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები და არც წერილობითი შეპასუხება იქნა წადრგენილი მათ მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით მ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს



თლოს 2008 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება; ადმინისტრაციულ საქმეზე გ. ზ-ძის სარჩელისა გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისა და მ. ლ-ძის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება, სარჩელის დაუშვებლობის გამო; გ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; შესაბამისად, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

გ. ზ-მემ 2007 წლის 23 დეკემბერს განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მართლზომიერი მფლობელობის საფუძველით მოითხოვა სოფელ ... 2800 მ<sup>2</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. საკრებულოს კომისიის 2007 წლის 27 დეკემბრის 114 საოქმო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. ზ-ძის განცხადება 0,28 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ და გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა 13452. 0,28 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლების 13453 მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში აღირიცხა გ. ზ-ძის სახელზე 2008 წლის 16 იანვარს. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გ. ზ-მემ და მისმა წარმომადგენელმა, ადვოკატმა შ. ჯ-მემ დაადასტურეს, რომ მ. ლ-ძის სახელზე გაცემული, ამჟამად სადავო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მათთვის ცნობილი გახდა 2008 წლის თებერვალში, რაც სარჩელით გაასაჩივრეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში.

საქმის მასალების თანახმად, გ. ზ-მემ 2008 წლის 15 თებერვალს შეიტანა სარჩელი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წინააღმდეგ მ. ლ-ძისა და რ. ვ-ძის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების 17005 და 10715 მოწმობების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით გ. ზ-ძეს დაუდგინდა ხარვეზი. 2008 წლის 13 მარტის განჩინებით გ. ზ-ძეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება გ. ზ-ძეს არ გაუსაჩივრებია. მის მიერ ხელახლა სარჩელი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შეტანილ იქნა 2008 წლის 30 აპრილს. აღნიშნულით მოსარჩელემ კვლავ მოითხოვა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 17 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილების, საკუთრების უფლების 10715 მოწმობისა და ამ მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა 2007 წლის 11 ივლისის «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტი და განმარტა, რომ გ. ზ-ძის მიერ აღძრულ სარჩელზე დავის საგანს წარმოადგენდა საკუთრების უფლების მოწმობა, რომელიც გაიცემა საკრებულოს კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლოს დასკვნით, რამდენადაც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება რეგისტრირდება კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობის საფუძველზე, კომისიის გადაწყვეტილება და საკუთრების მოწმობა ერთობლიობაში წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც საჩივრდება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გ. ზ-ძის მიერ 2008 წლის 15 თებერვალს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში აღძრულ სარჩელს დაერთო მ. ლ-ძის სახელზე გაცემული, ამჟამინდელ საქმეზე სადავო 10715 საკუთრების მოწმობა, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვდა მოსარჩელე. ხარვეზის შეუვსებლობის გამო სარჩელის მიღებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი. ხელახლა სარჩელი შეტანილ იქნა 2008 წლის 30 აპრილს. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის სასარგებლოდ, მისთვის სადავო აქტის შესახებ შეტყობინების თარიღად 2008 წლის 29 თებერვლიც რომ ჩაითვალოს (თუმცა 2008 წლის 15 თებერვლისათვის მას უდავოდ ხელთ გააჩნდა მ. ლ-ძის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა), მოსარჩელეს მაინც გაშვებული ჰქონდა მისი გასაჩივრებისათვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3. მუხლით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 277-ე მუხლები და განმარტა, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინებით არ შეწყვეტილა გ. ზ-ძისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, შესაბამისად,

გ. ზ-ძის სარჩელი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მეასამე წილის მოთხოვნას, რამდენადაც არ იყო აღძრული აღნიშნული ნორმით დადგენილ ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ზ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში საერთოდ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ გ. ზ-ძის მიერ 2008 წლის 15 თებერვალს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის სახელზე შეტანილ იქნა საჩივარი, რომლითაც გასაჩივრდა ინდივიდუალური ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტი მ. ლ-მეზე მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ, ანუ ის აქტი, რომლის გასაჩივრების ვადის გაშვების გამო, სააპელაციო სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ გ. ზ-მემ 2008 წლის 15 თებერვალს საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში გასაჩივრა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღება, ანუ გ. ზ-მემ დადგენილ ვადაში გასაჩივრა ადმინისტრაციული აქტი და ელოდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს, ამ შემთხვევაში კომისიის, გადაწყვეტილებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანო იღებს 1 თვის ვადაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანილი საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის ვადის მაქსიმალური დრო განისაზღვრება 3 თვით, გ. ზ-მემ კი 15 თებერვალს შეტანილი საჩივრის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოდან პასუხის მიუღებლობის შემდეგ, 30 აპრილს, სასამართლოს მიმართა სარჩელით აღიარების კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, ე.ი. ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებიდან 2,5 თვის შემდეგ. ამდენად, მის მიერ დაცულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რამდენადაც ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 13 მარტს მიღებული განჩინებით განუხილველად კი არ დატოვა სარჩელი, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, არამედ წარმოებაში არ მიიღო ამავე კოდექსის 186-ე მუხლის «თ» ქვეპუნქტით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ თავის განჩინებაში არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლი.

კერძო საჩივართან დაკავშირებით მხარეებს შეპასუხება საკასაციო სასამართლოში არ წარმოუდგენიათ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ზ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, საქმის მასალები სასამართლოს მიერ გამოკვლეულია სრულყოფილად და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს მიეცა ობიექტური სამართლებრივი შეფასება, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაცულია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გ. ზ-მემ 2007 წლის 23 დეკემბერს განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მართლზომიერი მფლობელობის საფუძვლით მოითხოვა სოფელ ... 2800 მ<sup>2</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. საკრებულოს კომისიის 2007 წლის 27 დეკემბრის 114 საოქმო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. ზ-მის განცხადება 0,28 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ და გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა 13452. 0,28 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლების 13453 მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში აღირიცხა გ. ზ-მის სახელზე 2008 წლის 16 იანვარს. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გ. ზ-მემ და მისმა წარმომადგენელმა შ. ჯ-მემ დაადასტურეს, რომ მოწინააღმდეგე მხარის – მ. ლ-მის სახელზე გაცემული, ამჟამად სადავო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მათთვის ცნობილი გახდა 2008 წლის თებერვალში, რაც სარჩელით გასაჩივრეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში.

საქმის მასალების თანახმად, გ. ზ-მემ 2008 წლის 15 თებერვალს სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მ. ლ-მისა და რ. ვ-მის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების 17005 და 10715 მოწმობების ბათილად ცნობა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით გ. ზ-მეს დაუდგინდა ხარვეზი. 2008 წლის 13 მარტის განჩინებით გ. ზ-მეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება გ. ზ-მეს არ გაუსაჩივრებია. მის მიერ ხელახლა სარჩელი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შეტანილ იქნა 2008 წლის 30 აპრილს. აღნიშნულით მოსარჩელემ კვლავ მოითხოვა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 17 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილების, საკუთრების უფლების 10715 მოწმობისა და ამ მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო 2007 წლის 11 ივლისის «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესა-

ხებ» საქართველოს კანონის 4.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით. კომისია თავის ფუნქციას ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისა და ამ კანონით განსაზღვრული წესით. კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კომისიის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველები განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებით «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ».

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულების «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ» 10.1. მუხლის თანახმად, კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით თავის უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ამავე ბრძანებულების 10.3. პუნქტის თანახმად, კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულების «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ» საფუძველზე გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ კომისიის გადაწყვეტილება და საკუთრების მოწმობა ერთობლიობაში წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც გასაჩივრდება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის» 17.1. მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე კომისია გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას და დამოწმებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, რომელზედაც სხვა საკადასტრო მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს საკუთრების უფლებააღიარებული მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების საზღვრები და ფართობი, რომელთა საფუძველზეც საკუთრების უფლებააღიარებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში გ. ზ-ძის მიერ გაშვებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი საპროცესო ვადა, რამდენადაც, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გ. ზ-ძეს თავდაპირველად სარჩელი აღძრული ჰქონდა 2008 წლის 15 თებერვალს, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, იმავე მოპასუხეების მიმართ იმავე დავის საგანთან დაკავშირებით, ანუ მოსარჩელისათვის სადავო აქტის თაობაზე ცნობილი იყო 2008 წლის 15 თებერვალს თავდაპირველი სარჩელის აღძვრის მომენტისთვის, რამდენადაც სადავო აქტის ასლი თან ერთვის სარჩელს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით გ. ზ-ძეს დაუდგინდა ხარვეზი. 2008 წლის 13 მარტის განჩინებით გ. ზ-ძეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება გ. ზ-ძეს არ გაუსაჩივრებია. მის მიერ ხელახლა სარჩელი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შეტანილი იქნა 2008 წლის 30 აპრილს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მის მიერ დაცულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3. მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ვადა, დაუსაბუთებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27 «ბ» მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საკუთრების აღიარების კომისია წარმოადგენს კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოს, რამდენა-

დაც კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს. საკუთრების აღიარების კომისია, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის **525** ბრძანებულების «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ» თანახმად, გადაწყვეტილებას იღებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების /წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში/ წესების გათვალისწინებით, ხოლო ამავე ბრძანებულების **6.1.** მუხლის თანახმად კომისია შედგება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არა უმეტეს **2** წევრისგან, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ხოლო აჭარის ა/რ-ში – დამატებით აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებისგან. ბრძანებულების **6.2.** მუხლის თანახმად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სულ მცირე **5** წევრით; კომისიის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **11**-ს და უნდა იყოს კენტი, ანუ საკუთრების აღიარების კომისიაში გადაწყვეტილების მიღება ხდება რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად, რაც მას ანიჭებს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **27** «ბ» მუხლის საფუძველზე. ამასთან, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის გზით, რამდენადაც სამართლებრივ სახელმწიფოში რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად, მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება გადამოწმებას, გადასინჯვას დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ ორგანოში ერთპიროვნულ ხელმძღვანელთან, მმართველთან, არამედ ამგვარი გადაწყვეტილებები, როგორც სპეციფიკური წარმოების პროცედურით მიღებული, მხოლოდ სასამართლო კონტროლს ექვემდებარება. ამდენად, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა გათვალისწინებული არ არის. ზემოაღნიშნული ბრძანებულებითაც /**10.3.** პუნქტი/ კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ გაზიარებული იქნება გ. ზ-მის მოსაზრება რომ, რადგან მოსარჩელემ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციულ ორგანოში გაასაჩივრა საჩივრის შეტანის გზით, მის მიერ დაცულია აქტის გასაჩივრებისათვის განსაზღვრული ვადა, ამგვარ პირობებშიც მოსარჩელეს დარღვეული აქვს აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადა, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **183.1.** მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის **183.4.** მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-**100** მუხლით რეგლამენტირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადები, რამდენადაც საჩივრის განხილვის მაქსიმალური ვადები ცალკე არის განსაზღვრული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თავში, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **100.4.** მუხლით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამთვლიანი ვადაში გამოცემის უფლება არ გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ყველა შემთხვევაში უფლებამოსილია, აქტი გამოსცეს ამ ვადაში, რამდენადაც დათქმა – სამთვლიანი ვადაზე გულისხმობს, რომ თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეებს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო თუ აქტი არ ეხება მესამე პირის ინტერესებს, განცხადების წარდგენიდან **15** დღის ვადაში /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **100.1.** და **100.2.** მუხლები/.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სარჩელის წარმოებაში არ მიღება და სარჩელის განუხილველად დატოვება იდენტურ საპროცესო აქტებს წარმოადგენს, რამდენადაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავდაპირველ სარჩელ-

თან მიღებული განჩინება – სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულია სსსკ-ის 186-ე მუხლის საფუძველზე, გ. ზ-ძის სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში იმ საფუძველით, რომ განმცხადებელმა არ შეავსო სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლში რეგლამენტირებულია სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველები, ხოლო ზემოაღნიშნულ განჩინებაში მითითებული საფუძველით სარჩელის განუხილველად დატოვებას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მით უფრო, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმას და სარჩელის განუხილველად დატოვებას სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი უკავშირდება, რამდენადაც სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს საერთო წესით, რაც რაიონული სასამართლოს განჩინებაშიც იქნა მითითებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძველით შეწყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ზ-ძის სარჩელი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნას, რამდენადაც არ იყო აღძრული აღნიშნული ნორმით დადგენილ ერთთვიან ვადაში, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სწორად შეწყვიტა დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოება გ. ზ-ძის სარჩელზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ზ-ძის კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რამდენადაც სახეზე არ არის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 408.3, 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ზ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

#### **განჩინება**

18ს-596-565 (კს-09)

17 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს «...» დირექტორმა მ. ჯ-ძემ 2005 წლის მაისში განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა გადახდის ბრძანების მიღება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სს «...» სასარგებლოდ 55650 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ და გადახდის ბრძანების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 13 ივნისს გადახდის ბრძანებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა სს «...» დირექტორის მ. ჯ-ძის სასარგებლოდ 55650 ლარისა და სახელმწიფო ბაჟი –, 836.09 ლარის გადახდა.

სს «...» დირექტორმა 2005 წლის 11 ივლისს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა 2005 წლის 13 ივნისს მიღებულ გადახდის ბრძანებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2005 წლის 1 დეკემბერს გასცა სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2007 წლის 28 თებერვლის განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა 2005 წლის 13 ივნისის გადახდის ბრძანების ბათილად ცნობა და საქმის არსებითად განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 მარტის განჩინებით გაუქმდა ამავე კოლეგიის 2005 წლის 13 ივნისის 13/1567 გადახდის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული 2005 წლის 18 ნოემბრის სააღსრულებო ფურცელი; განისაზღვრა, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს სასარჩელო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით სს «...» სარჩელი მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და მესამე პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაეკისრა სს «...» მიმართ 2004 წლის 1 იანვრისათვის არსებული დავალიანების 46624 ლარის ოდენობით გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ საქმეზე 13ბ/1471-08 შეწყდა წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებიდან გამომდინარე უდავოდ დადგენილად ჩათვალა, რომ სს «...» სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის 55650 ლარის გადახდის დაკისრება. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაეკისრა სს «...» მიმართ 2004 წლის 1 იანვრისათვის არსებული დავალიანების – 46624 ლარის გადახდა. სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს პროცესზე წარმოდგენილი მასალებით გაირკვა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2005 წლის 1 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე 2008 წლის 5 სექტემბერს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს სპეციალურმა ჯგუფმა, სს «...» ბანკის თელავის ფილიალში, სს «...» მიმდინარე სალარო ანგარიშზე, გადარიცხა კრედიტორის – სს «...» კუთვნილი თანხა – 56486.09 ლარი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როცა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან ამოღებულია სადავო თანხა, ამ ეტაპზე აღარ არსებობს განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე დავის საგანი, რაც წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის უპირობო საფუძველს.

სააპელაციო პალატის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო პალატაში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის მოტივები ემყარება შემდეგ გარემოებებს: სს «...» სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა კანონის მოთხოვნათა დარღვევით; იგი განუხილველად უნდა დაეტოვებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად. კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 მარტის განჩინებით გაუქმდა იმავე სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის 13/1567 გადახდის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული 2005 წლის 18 ნოემბრის სააღსრულებო ფურცელი. იმავე განჩინებით დადგინდა, რომ დავალიანების გადახდის შესახებ მოთხოვნა განხილული უნდა ყოფილიყო საერთო სასარჩელო წარმოების წესით; სს «...» დირექტორს სარჩელის წარმოსადგენად განესაზღვრა 10 დღე ამ განჩინების ჩაბარებიდან. ეს განჩინება სს «...» ჩაბარდა 2007 წლის 5 ივნისს; მოსარჩელემ კი იმის ნაცვლად, რომ სასამართლოს მიერ დათქმულ ვადაში წარედგინა შესაბამისი სარჩელი, ეს განჩინება გაასაჩივრა 2007 წლის 18 ივნისს კერძო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განჩინებით მოსარჩელის კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსარჩელემ სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ ვადაში არ წარადგინა სარჩელი, რის გამოც სასამართლოს მისი სარჩელი განუხილველად უნდა დაეტოვებინა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის II ნაწილის II წინადადების თანახმად საქმის წარმოება შეეწყვიტა.

კერძო საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მხარეებს შორის 2006 წლამდე არ გაფორმებულა ხელშეკრულება შესყიდვების შესახებ და შესაბამისად, იგი არც სასამართლოსათვის არ

ყოფილა წარდგენილი. «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს 1998 წლის 9 დეკემბრის კანონით სავალდებულოდ არის მიჩნეული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება მხარეებს შორის.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გაუქმებული, ფაქტობრივად არარსებული სააღსრულებო ფურცლის ე.ი. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოხდა საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვა. ამიტომ კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» პუნქტი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, სააპელაციო სასამართლომ დავის საგნის არარსებობის გამო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 272-ე მუხლის «1» პუნქტის საფუძველზე შეწყვიტა მოცემული საქმის წარმოება იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ სააპელაციო პალატის სხდომაზე წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2005 წლის 1 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე 2008 წლის 5 სექტემბერს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს სპეციალურმა ჯგუფმა, სს «...» ბანკის თელავის ფილიალში, სს «...» მიმდინარე სალარო ანგარიშზე, გადარიცხა კრედიტორის – სს «...» კუთვნილი თანხა – 56486,09 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია აღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტა, რადგან სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 დეკემბრის 13/1567 სააღსრულებო ფურცელი გაცემულია იმავე სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადახდის ბრძანების საფუძველზე; საქმეში წარმოდგენილი მასალებით სს «...» დირექტორის რწმუნებული ხელმოწერით ადასტურებს, რომ 2005 წლის 1 დეკემბერს ჩაიბარა გადახდის ბრძანება და სააღსრულებო ფურცელი. ხოლო იმავე სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის განჩინებით კი გაუქმდა ამავე კოლეგიის 2005 წლის 13 ივნისის 13/1567 გადახდის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი; განისაზღვრა, რომ დავალიანების გადახდის შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილული უნდა ყოფილიყო სასარჩელო წესით.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად ისე მიიჩნია, რომ არც იმ გარემოებას მისცა სწორი შეფასება, პირველი ინსტანციის სასამართლომ 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით სს «...» სარჩელი მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და მესამე პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ რომ დააკმაყოფილა, მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სს «...» მიმართ 2004 წლის 1 იანვრისათვის არსებული დავალიანების 46624 ლარის ოდენობით გადახდა რომ დააკისრა ნაცვლად 56486,09 ლარისა და ეს გადაწყვეტილება სს «...» არ გაუსაჩივრებია სააპელაციო წესით; სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მხოლოდ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მან სადავოდ გახადა მთლიანი თანხის დაკისრება. ამიტომ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ იმ პირობებში, როცა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან ამოღებულია 56486,09 ლარი, ამ ეტაპზე აღარ არსებობს განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე დავის საგანი, რადგან როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ეს თანხა ამოღებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2005 წლის 13 ივნისის (საქმის 13/1567) მიღებული იმ გადახდის ბრძანების საფუძველზე გამოწერილი სააღსრულებო ფურცლით, რომელიც 2008 წლის 5 სექტემბრისათვის უკვე გაუქმებული იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კერძო საჩივარი;

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები

### განჩინება

1ბს-894-856 (კს-09)

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლამე,

პ. სილაგამე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 15 დეკემბერს დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ე. ბ-შვილმა, მოპასუხეების – დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ლ. ბ-შვილის მიმართ. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა ასევე ლ. ბ-შვილის სარჩელი, მოპასუხეების დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის და დედოფლისწყაროს რაიონის მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ.

საქმის განხილვისას ლ. ბ-შვილმა უარი თქვა სარჩელის განხილვაზე და სასარჩელო მოთხოვნებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით შესაბამისად მასთან მიმართებაში შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, ხოლო მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით ე. ბ-შვილის სარჩელი და ე. ბ-შვილის 2005 წლის 15 დეკემბრის სარჩელი გაერთიანდა ერთ წარმოებად.

2006 წლის 05 აპრილის მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ წარმოადგენილ იქნა დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მან მოითხოვა: დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის 2005 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი 119) და დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის 2005 წლის 2 ნოემბრის 1158 დადგენილების ლ. ბ-შვილისათვის კონტურ 1420 იჯარით გაცემული საიჯარო ფართობის ნაცვლად 1419 კონტურის ჩაწერის ნაწილში ბათილად ცნობა; ასევე ლ. ბ-შვილისა და დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის შორის 2003 წლის 14 თებერვალს გაფორმებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების 1136/03 კონტური 1420-ის კონტურ 1419-ით განხორციელებული ცვლილების და სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ხელშეკრულების ცვლილებების რეგისტრაციის გაუქმება; ლ. ბ-შვილისათვის კონტურ 1419-ში ე. ბ-შვილის სახელზე გაცემული სახნავი საიჯარო მიწის ფართობით სარგებლობის აკრძალვა და კახეთის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეთველოსათვის ე. ბ-შვილის სასოფლო-სამეურნეო 1419 კონტურზე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დავალეზა.

საქმის განხილვის დროს მოპასუხე დედოფლისწყაროს გამგეობა და იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის ნაცვლად ჩაება სათანადო მოპასუხე კახეთის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეთველო.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ე. ბ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ ე. ბ-შვილმა სასარჩელო მოთხოვნით მიმართა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გამგეობის დადგენილების გაუქმება და კონკურსის შედეგების ბათილობა, რაც დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს 2003 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-შვილმა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილება.

სასამართლომ აგრეთვე დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ მოსარჩელე ე. ბ-შვილისა და გამგეობას შორის საიჯარო ურთიერთობა არ გაფორმებულა, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობით დადასტურდა.



სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული გარიგება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ამასთან, «მიწის რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წარმოშობილი უფლებები იურიდიულ ძალას იძენს სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ.

სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები და მიიჩნია, რომ მოპასუხე დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის მოქმედება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს და შესაბამისად არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ე. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და ე. ბ-შვილის სარჩელზე შეწყდა საქმის-წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» პუნქტების და 394-ე მუხლის «ე» პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» პუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა, პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს და დასკვნებს და განმარტა:

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» პუნქტი შესაბამისად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ამავ კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალოდ (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამგევი მუდმივმოქმედი კომისიის 2000 წლის 15 სექტემბრის 136 ოქმით ე. ბ-შვილს გამოეყო 19,4 ჰა სახნავი 1419-ე კონტურსა და 11,48 ჰა სახნავი 1418-ე კონტურში, ხოლო დედოფლისწყაროს გამგეობის 2000 წლის 8 დეკემბრის 166 დადგენილებით დამტკიცდა კომისიის სხდომის ოქმი და მოიჯარეებს მიეცათ ერთი თვის ვადა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცემული ფართობი დაექვემდებარებოდა ხელახალ გადაწყვეტილებას. აღნიშნული ე. ბ-შვილს კანონით დადგენილ ვადაში არ განუხორციელებია, რასაც ადასტურებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის წერილი, რომლის თანახმად, ე. ბ-შვილის სახელზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება საერთოდ არ ყოფილა რეგისტრირებული. დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის 2002 წლის 16 სექტემბრის 1110 დადგენილებით მოსარჩელე ე. ბ-შვილს 30,9 ჰა მიწის ფართობზე შეუწყდა საიჯარო ურთიერთობა საიჯარო ქირის (მიწის გადასახადის) გადაუხდელობის გამო.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ბ-შვილმა მიმართა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს და მოითხოვა საჯარო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გამგეობის 2002 წლის 16 სექტემბრის 1110 დადგენილების გაუქმება და კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა, აღნიშნული მოთხოვნა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა, რაც ძალაში დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 8 ივნისის განჩინებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. ბ-შვილი არ წარმოადგენს სადავო მიწის ნაკვეთზე რაიმე უფლების მქონე პირს, ვინაიდან საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა სადავო ნაკვეთზე მოსარჩელე ე. ბ-შვილის რაიმე უფლებას. შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა თუ რა პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი მიადგა მოსარჩელეს კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან რითი შეიზღუდა მისი უფლება სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, სააპელაციო პალატამ მიიღო განჩინება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ შეწყვიტა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი სრულიად უსაფუძვლოდ განუხილველად იქნა დატოვებული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ე. ბ-შვილის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი გარემოებები:

დედოფლისწყაროს გამგეობის 2000 წლის 8 დეკემბრის 166 დადგენილებით დამტკიცდა კომისიის სხდომის ოქმი და მოიჯარეებს მიეცათ ერთი თვის ვადა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცემული ფართობი დაექვემდებარებოდა ხელახალ გადანაწილებას. აღნიშნული ვალდებულება ე. ბ-შვილს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის 2000 წლის 15 სექტემბრის 136 ოქმით გამოყოფილი 19,4 ჰა სახნავი 1419-ე კონტურში და 11,48 ჰა სახნავი 1418-ე კონტურში, მიწის მიმართ კანონით დადგენილ ვადაში არ განუხორციელებია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის წერილის თანახმად, ე. ბ-შვილის სახელზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება საერთოდ არ ყოფილა რეგისტრირებული. დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის 2002 წლის 16 სექტემბრის 1110 დადგენილებით მოსარჩელე ე. ბ-შვილს 30,9 ჰა მიწის ნაკვეთზე შეუწყდა საიჯარო ურთიერთობა საიჯარო ქირის (მიწის გადასახადის) გადაუხდელობის გამო. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ე. ბ-შვილმა მიმართა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს და მოითხოვა საჯარო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გამგეობის 2002 წლის 16 სექტემბრის 1110 დადგენილების გაუქმება და კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა, აღნიშნული მოთხოვნა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა, რაც ძალაში დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 8 ივნისის განჩინებით.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ბ-შვილმა ვერ შეძლო დაედასტურებია წარმოშევა თუ არა რაიმე უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის 2002 წლის 16 სექტემბრის 1110 დადგენილებით საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელემ საქმის წარმოების ვერცერთ ეტაპზე და ვერც კერძო საჩივრით ვერ დაასაბუთა, თუ რა პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი მიადგა მოსარჩელეს კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან რითი შეიზღუდა მისი უფლება სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია. რაც შეეხება კერძო საჩივარში ე. ბ-შვილის მიერ მითითებულ გარემოებებს, მათ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან მათ გააჩნიათ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისათვის მამტკიცებელი ხასიათი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრით ვერ იქნა დადასტურებული სადავო მიწის ნაკვეთის მიმართ ე. ბ-შვილის რაიმე უფლების არსებობა და გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით მისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი, რაც გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ბ-შვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე

#### განჩინება

1ბს-849-813(კს-09)

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სარჩელის დასაშვებად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა 2008 წლის 4 აპრილს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქ. თბილისის 110 საჯარო სკოლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის 110 საჯარო სკოლაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დასწრების უფლებისა და ამავე სკოლის დირექტორის ქმედების შედეგად, პროფკავშირის უფლების დარღვევის დადგენილად ცნობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 მარტის 1242 ბრძანების ბათილად ცნობა მისი ძალაში შესვლის მომენტიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის განჩინებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შეიცვალა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება; გაუქმდა გადაწყვეტილება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სასარჩელო მოთხოვნაზე – სასამართლომ დადგენილად სცნოს 110 საჯარო სკოლის დირექტორის ქმედებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის უფლება, მისი წარმომადგენლები დასწრებოდნენ ქ. თბილისში, 110 საჯარო სკოლაში, გამართულ შეხვედრას, დარღვევის ფაქტი – უარის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

აღნიშნულ განჩინება სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივარში მიუთითებდა, რომ არ არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მოთხოვნა გამომდინარეობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არასწორად განმარტა და შეაფასა ნორმა, რამაც გამოიწვია სარჩელზე საქმის წარმოების უკანონოდ შეწყვეტა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მოთხოვნას წარმოადგენს ქ. თბილისის 110 საჯარო სკოლაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დასწრების უფლებისა და ამავე სკოლის დირექტორის ქმედების შედეგად, პროფკავშირის უფლების დარღვევის ფაქტის დადგენილად ცნო-

ბა, ანუ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს 110 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ პროფკავშირის უფლებების დარღვევის ფაქტის აღიარება.

საკასაციო სასამართლო, მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მართებულობას და თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარე ცდილობს დარღვეული უფლების სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე დაცვას.

სასკ-ის 25-ე მუხლის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე შემთხვევაში წარმოდგენილია ზოგადი ხასიათის აღიარებითი სარჩელი, რომლის დაშვებისათვის აუცილებელია, სარჩელი აკმაყოფილებდეს დასაშვებობის წინაპირობებს.

აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობაა – მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი კატეგორიის სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესი – სუბიექტური ხასიათი.

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: ზოგადი ხასიათის აღიარებითი სარჩელის დავის საგანს წარმოადგენს უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. აღიარების ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია აშკარა, თუ სარჩელის აღმგზის მომენტისათვის სამართლებრივი ურთიერთობა კვლავ საზიანო ზემოქმედებას ახდენს მოსარჩელეზე.

აღიარებითი სარჩელი ემსახურება მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის სარჩელის დაკმაყოფილება არ იწვევს უშუალოდ დავის გადაწყვეტას, მაგრამ ამ სარჩელით მიღწეული შედეგი შესაძლოა საფუძველად დაედოს მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე შემთხვევაში მოსარჩელე აღიარებითი სარჩელის საფუძველზე ითხოვს არა იმ სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტის აღიარებას, რომელიც საზიანო მოქმედებას ახდენს მოსარჩელეზე, არამედ მოპასუხის მხრიდან სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის დადასტურებას, რაც, თავის მხრივ, სცილდება აღიარებითი სარჩელის პრინციპებსა და მიზანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 25-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

#### **განჩინება**

18ს-1217-1161-(კს-09)

16 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საქმისწარმოების განახლება, სააპელაციო საჩივრის განხილვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 10 აგვისტოს მ. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ლ. პ-იას და ნ. ც-ანის მიმართ, ლ. პ-იასათვის მატერიალური ზიანის – 1600 აშშ დოლარის და მორალური ზიანის – 1000 აშშ დოლარის, ხოლო ნ. ც-ანისათვის მორალური ზიანის – 5000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებით ლ. პ-იას მიმართ საქმის წარმოება შეწყდა მოპასუხის გარდაცვალების გამო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის გამო.

ნ. ც-ანის მიმართ დაყენებულ სასარჩელო მოთხოვნას მოსარჩელე ამყარებდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნ. ც-ანის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის პერიოდში, მის წარმოებაში იყო სამოქალაქო საქმე ლ. პ-იას სარჩელისა გამო, მოპასუხე ფრიდონ საჯიას მიმართ, ბინის ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. აღნიშნულ საქმეში იგი მონაწილეობდა როგორც ლ. პ-იას რწმუნებული. მოპასუხის – ნ. ც-ანის მხრიდან საქმის განხილვისას დაშვებული საპროცესო დარღვევების გამო მიადგა მორალური და მატერიალური ზიანი, ვინაიდან აღნიშნული საპროცესო დარღვევები შემდგომში გახდა მ. მ-ძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძველი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ძის სარჩელი ნ. ც-ანის მიმართ, მორალური ზიანის – 5000 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის განჩინებით საქმე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეგზავნა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ვინაიდან მიიჩნია, რომ დავა განკუთვნილია ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინებით მ. მ-ძის სარჩელისა გამო აღძრულ დავაზე, მოპასუხის – ნ. ც-ანის მიმართ, მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის მოტივით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე – მ. მ-მე სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიიჩნევდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 თავით განსაზღვრულ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავა არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დავის სახეობას, რადგან ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, გარდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ თავისა, არ ვრცელდებოდა საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლო ხელისუფლებაში მოიაზრება მოსამართლე, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას და იგი საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაც შეეხება მართლმსაჯულების განხორციელებისას მიყენებულ ზიანს, სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოსამართლის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით ზიანის ანაზღაურებისას სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტი საჭიროებდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა ასევე გაეროს კონგრესის მიერ 1985 წელს მიღებული «სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების» მე-16 პუნქტზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმით აღიარებული სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო აქტები არ ითვალისწინებდა მოცემულ შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის მიმართ რაიმე პასუხისმგებლობას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. მ-ძის სარჩელი არ პასუხობდა დასაშვებობის პირობებს, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, წარმოადგენდა საქმის წარმოებით შეწყვეტის საფუძველს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-მემ და საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. 2009 წლის 25 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული კერძო საჩივარი, რომლითაც მ. მ-მემ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მისი სააპელაციო საჩივარი და არასწორად განმარტა როგორც კანონი, ისე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით სააპელაციო პალატამ მიუთითა რა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლზე, არ დაადგინა, რომ მოსამართლის მიერ კანონის დარღვევის გამო მიადგა მას მორალური ზიანი. მ. მ-მე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის იურიდიულად დასაბუთებული, ვინაიდან საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ თავისი პოზი-

ციის დასაბუთების მიზნით მითითებული სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად ვერ ამართლებს საქმეზე საბოლოოდ განჩინების სახით მიღებულ დასკვნას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ძის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაიწინა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მ. მ-ძის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, მართალია, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «გ» პუნქტის თანახმად, სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული დავაა, მაგრამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის «დ» პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, «ინფორმაციის თავისუფლების» შესახებ მესამე თავის გარდა, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე არ ვრცელდება. აღნიშნული სასამართლოთა მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოტანილი გადაწყვეტილებების გამო აღძრულ სასარჩელო დავებში მოპასუხის სტატუსით ისევე სასამართლოს მონაწილეობას გამორიცხავს.

რაც შეეხება მართლმსაჯულების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის მოსამართლის პასუხისმგებლობას, იგი მოქმედი კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი სახელმწიფოსთან ერთად მოსამართლის სოლიდარულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მხოლოდ მოსამართლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით სხვა პირის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისათვის, რაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით უნდა იყოს დადასტურებული.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა, გარდა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეთა პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, რაც საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 84-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულ სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიას წარმოადგენს და უშუალოდ გამომდინარეობს გაეროს კონგრესის მიერ 1985 წელს მიღებული «სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების» მე-16 პუნქტიდან, რომელიც ადგენს, რომ დისციპლინური პროცედურის ან აპელაციის უფლების ან სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლების დაცვით, ქვეყნის შიდა კანონის შესაბამისად, მოსამართლეები სასამართლოში თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ფინანსური ზიანის მიყენების ან არასწორი ქმედების, ან დაუდევრობის გამო, სამოქალაქო საჩივრებისაგან პიროვნული იმუნიტეტით უნდა სარგებლობდნენ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან განსახილველ დავაში სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევას არ არსებობს, მ. მ-ძის სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26<sup>2</sup> მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

#### საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერების შემოწმება

##### განჩინება

1ბს-1297-1257(კს-08)

22 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. გ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.06.08წ. განჩინებაზე.

##### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-შვილმა 15.09.03წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე თელავის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიმართ, რომლითაც 1997 წელს მოპასუხის მიერ ს. ჩ-შვილის სახელზე გაცემული მიწის საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა და აღნიშნული მიწის ნაკვეთის მისთვის დაბრუნება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1992 წელს სოფ. ...-ში განაწილდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. მას შეხვდა 0,75 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ე.წ. «...» და სოფლიდან საკმაოდ შორსაა, რის გამოც მოსარჩელე სისტემატიურად ითხოვდა საკრებულოსგან მისთვის სოფელთან ახლოს, სხვა ადგილის გამოყოფას; თავის სახელზე აღრიცხული 0,75 ჰა მიწის ნაკვეთის გადასახადს იხდიდა დროულად, რაც დასტურდება საგადასახადო დეპარტამენტის მიერ გაცემული ქვითრებით. 2003 წელს მოსარჩელემ მიმართა მიწათმოწყობის სამსახურს, სადაც აცნობეს, რომ მისი კუთვნილი მიწის ფართი 1997 წელს გადაეცა ს. ჩ-შვილს და მასზე გაცა საკუთრების მოწმობა. მოსარჩელის მითითებით, მას კუთვნილ მიწაზე საკუთრების უფლება არ მიუტოვებია, როგორც ამას აღნიშნავს მიწის მართვის სამსახური თავის 21.08.03წ. პასუხში. მიწის მართვის სამსახურმა შელახა მისი უფლება, რადგან მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი გადასცა ს. ჩ-შვილს, რისი უფლებაც არ ჰქონდა, რადგან მიწა იყო მის სახელზე აღრიცხული და იგი იხდიდა გადასახადებს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე.

საქმე არაერთგზის იქნა განხილული რაიონული და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ და ბოლოს თელავის რაიონული სასამართლოს 07.12.06წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა თელავის რაიონის სოფელ იყალთოს საკრებულოს მიერ ს. ჩ-შვილის სახელზე გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობის ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღდგენა. მოსარჩელის მიერ რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთს წარმოადგენდა და გაცემული ჰქონდა კანონიერი საფუძვლით, საქმეში არ არის წარმოდგენილი (მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის განაწილების სია). საქმეში ასევე არ არის წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის ს. ჩ-შვილის სახელზე გადაცემის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული ვ. გ-შვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი, თელავის რაიონის სოფ. ...-ს საკრებულოს მიერ გაცემული ცნობით და საქმეში წარმოდგენილი გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით დასტურდება სადავო ფართის მის საკუთრებაში ყოფნა. საქართველოს პრეზიდენტის 16.05.99წ. 1327 ბრძანებულების თანახმად, მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა მიწის ნაკვეთზე გაიცემოდა შემდეგი პირობების არსებობისას, კერძოდ, პირს უნდა ჰქონოდა მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის ყრილობაზე (კრებაზე) დამტკიცებული მიწის განაწილების სია, რომელსაც თან უნდა ჰქონოდა დართული მიწის გამოყოფის გეგმა, საგადასახადო სია. აღნიშნული ბრძანების თანახმად, საკუთრების უფლების გადაცემა მიწის ნაკვეთზე უნდა მომხდარიყო არა ავტომატურად, არამედ მსურველის ინიციატივით, რაც ვ. გ-შვილს 1999 წლამდე არ გამოუვლენია. საქმეში არსებულ, თელავის რაიონის სოფ. ...-ს საკრებულოს თავმჯდომარის – ზ. დ-შვილის 02.09.03წ. 1266 ცნობა და საქმის განხილვის დროს სოფ. ...-ს საკრებულოს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო სია არ შეიცავს მითითებას მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის შესახებ და აღნიშნულით არ დასტურდება სადავო ნაკვეთის ვ. გ-შვილის საკუთრებაში გადაცემა. სადავო მიწის ფართის საკუთრებაში ყოფნას არ ადასტურებს აგრეთვე მიწის გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები, რითაც არ დასტურდება, სახელდობრ,

სადავო ნაკვეთზე გადასახადის გადახდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ვ. გ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

თელავის რაიონული სასამართლოს 07.12.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-შვილმა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.06.08წ. განჩინებით გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 07.12.06წ. გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყდა სამართალწარმოება დავის საგნის არარსებობის გამო.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ს. ჩ-შვილის სახელზე გაცემული მიწის საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთის მოსარჩელისათვის დაბრუნება. მოსარჩელის მიერ, სადავო მიწის საკუთრების მოწმობა წარმოდგენილი არ ყოფილა. საქმე განხილულ იქნა სააპელაციო და რაიონული სასამართლოების მიერ. საქმის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში, სასამართლოების მიერ არაერთხელ იქნა გამოთხოვილი სადავო დოკუმენტი სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან, მაგრამ უშედეგოდ. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა მესამე პირმა – ს. ჩ-შვილმა ვერ დაადასტურა, თუ რა წარმოადგენდა სადავო მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად რეგისტრაციის საფუძველს, ანუ გადაეცა იგი მას საკუთრების მოწმობის, გარიგების თუ რაიმე სხვა სამართლებრივი საფუძველით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო აქტის არარსებობის გამო, სახეზეა სსკ-ის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევა, რის გამოც სამართალწარმოება საქმეზე შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.06.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-შვილმა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს 0,75 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს თელავის რაიონის სოფ. ...-ში, ე.წ. «...», რომელიც პრივატიზაციით გადაეცა მას. აღნიშნული მიწის ნაკვეთი არის მესამე პირის – ს. ჩ-შვილის არაკანონიერ მფლობელობასა და საკუთრებაში, ხოლო სადავო მიწის ნაკვეთის კანონიერი ფლობისა და საკუთრების საფუძველი გააჩნია მას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით – მიწის ნაკვეთის კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებებითა და გადასახადის ქვითრებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. გ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. 22-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მიერ სადავო მიწაზე საკუთრების მოწმობის წარმოადგენლობის საფუძველით, დავის საგნის არარსებობის გამო (სსკ-ის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი), საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტა დაუსაბუთებელია, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს თელავის რაიონის სოფელ იყალთოს საკრებულოს მიერ ს. ჩ-შვილის სახელზე გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობის ბათილად ცნობა და სოფელ იყალთოში, ე.წ. «...» მდებარე 0,75 ჰა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღდგენა. სადავო მიწის ნაკვეთის მოსარჩელისათვის გამოყოფის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობა არ წარმოადგენს დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს იმ საბაზით, რომ აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ვინაიდან სადავო მიწის ნაკვეთის მოსარჩელისათვის გამოყოფის არარსებობა გამორიცხავს ნაკვეთზე მოსარჩელის უფლებას და არა მის ინტერესს, რომელიც შესაძლოა მდგომარეობდეს პრივატიზაციის ფონდის ნაკვეთის არამართლზომიერი განკარგვის გაუქმებაში და მომავალში მოსარჩელეზე, როგორც სოფლის მაცხოვრებელზე, ნაკვეთის გამოყოფაში.

ვ. გ-შვილი სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა 1992 წელს მიწის რეფორმის შედეგად მისთვის გამოყოფილი 0,75 ჰა მიწის ნაკვეთის დაბრუნებას. მოსარჩელის განმარტებით, 2003 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცა ს. ჩ-შვილს, მაგრამ სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც სადავო მიწის ნაკვეთის გადაცემაც განხორციელდა ს. ჩ-შვილზე, მის მიერ ვერ იქნა მოძიებული და სასამართლოსათვის წარდგენილი. ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად სასამართლოს დასკვნას დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ წინ არ უძღოდა სასამართლოს მიერ სსკ-ის მე-4, მე-19 მუხლების საფუძველზე დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების



გამოთხოვა. მოსარჩელის ვ. გ-შვილის მიერ სასამართლოს წარედგინა სანოტარო წესით დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის ასლი, რომლის თანახმად, ვ. გ-შვილს სოფ. ...-ში გადაეცა სახლთან მიმდებარე 0,33 ჰა ნაკვეთი და მიწის ნაკვეთი (ვენახი) მდებარე ... – 0,42 ჰა, სულ 0,75 ჰა. მიწის ნაკვეთი. მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათის მიხედვით ს. ჩ-შვილის სახელზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის მიღება-ჩაბარების 1884 აქტის საფუძველზე, 27.10.99წ. საკუთრებაში რეგისტრირებულია ('5504/99) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთის ფართი 1553, 19 კვ.მ-ს შეადგენს. დავის საგნის არარსებობის საფუძველზე სამართალწარმოების შეწყვეტას უნდა უსწრებდეს ს. ჩ-შვილის სახელზე რეგისტრირებული და ვ. გ-შვილის სახელზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მიწის ნაკვეთების იდენტურობის გარკვევა, სადავო ნაკვეთის მესაკუთრის დადგენა, რაც დავის საგნის დაზუსტების საფუძველს შექმნიდა. საქმეში ჩაბმული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლების მიერ დასტურდება სადავო ნაკვეთის ს. ჩ-შვილისათვის გამოყოფა. ს. ჩ-შვილის განმარტებით მისთვის საკუთრებაში გადაცემული სადავო ნაკვეთი გაყიდულია, საქმეზე არ არის დადგენილი ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრე, მის მიერ ნაკვეთის შეძენის საფუძველი, ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რაც მისცემდა სასამართლოს ს. ჩ-შვილის საკუთრებაში სადავო ნაკვეთის გადაცემის საფუძვლის და მაშასადამე დავის საგნის დადგენის შესაძლებლობას. ამდენად დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა დავის საგნის არარსებობის შესახებ. დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა (სსკ-ის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი) მოითხოვდა სასამართლოსაგან სადავო მიწის ნაკვეთის ვინმეს საკუთრებაში გაუცემლობის დადგენას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან სასამართლოს არ დაუდგენია სადავო ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრე. სადავო ნაკვეთის უკანონო მფლობელობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაარკვიოს სსკ-ის 281 მუხლის საფუძველზე მოთხოვნის ტრანსფორმირების საკითხის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც, სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს შეადგენს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. გ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.06.08წ. განჩინება;
2. საქმე ვ. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-1035-998 (კ-08)

29 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი.ს. «...» გ. ა-აკმა, სს «...», შპს «...» და შპს «...» 2006 წლის სექტემბერში სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს 177 ბრძანებით დამტკიცებული «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს '77 ბრძანებით დამტკიცებული «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 17 მარტის '26 ბრძანების თანახმად დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» ენერგეტიკის მინისტრის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. ამავე ბრძანებით განისაზღვრა, რომ «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» ბრძანების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოცხადდეს საჯაროდ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ცნობა «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და დაინტერესებულ პირებს მიეცათ წინადადება, გამოქვეყნებულ პროექტთან დაკავშირებით 20 დღის განმავლობაში წარედგნათ მათი მოსაზრებები სამინისტროსათვის. ამავე ცნობით განიმარტა, რომ «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა განხორციელდებოდა 2006 წლის 1 სექტემბრამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მითითებული გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით და მოსაზრებებით:

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 210-ე და 211-ე მუხლის პირველი ნაწილი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის კანონით არ იყო განსაზღვრული ვადა «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების გამოსაცემად. ამიტომ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 217-ე მუხლის შესაბამისად და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა განესაზღვრა ვადა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის მიერ დარღვეულია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წარდგენის წესი. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, 2006 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ცნობაში მითითა, რომ «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანების ამოქმედებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში. სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ვადა კი ფაქტობრივად ამ დროისათვის გასული იყო, ვინაიდან «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 17 მარტის ბრძანების თანახმად, ბრძანება ძალაში შევიდა მისი ხელმოწერის დღიდან, ხოლო სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მიღებული არ ყოფილა. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, წერილობითი მოსაზრების წარდგენისათვის განსაზღვრულია 20 დღის ვადა შესაბამისი აქტის პროექტის გამოქვეყნების დღიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დარღვეულ იქნა ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირთა მოწვევის წესი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» მიღებისა და განაწილების მინიმალური ზღვარის დადგენისას ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა «საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები და ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტებს უფლება მისცემოდათ გაეგრძელებინათ მათი საქმიანობა კანონმდებლობით მინიჭებული ათწლიანი საგარანტიო პერიოდით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის

**30** აგვისტოს **177** ბრძანებით დამტკიცებული «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ძალადაკარგულად გამოაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2007** წლის **11** დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008** წლის **3** ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2007** წლის **11** დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს «...», სს «...» და ინდ/მეწარმე გ. ა-აკის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ «ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე **2006** წლის **9** ივნისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს დავალა **2006** წლის **1** სექტემბრამდე უზრუნველყო «ელექტროენერჯის ბაზრის წესების» დამტკიცება, ამიტომ სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საქართველოს საკანონმდებლო აქტით წარმოექმნა «ელექტროენერჯის ბაზრის წესების» დამტკიცების ვალდებულება მითითებული საკანონმდებლო ცვლილების გამოქვეყნების დღიდან. ნორმატიული აქტის გამოცემის ვადა კი განსაზღვრა საკანონმდებლო აქტმა.

სააპელაციო პალატამ ვერ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **217**-ე მუხლის შესაბამისად და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა განესაზღვრა ვადა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული ნორმა იმაზე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის ვადა იმ შემთხვევაში განისაზღვრებოდა გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, თუკი კანონით სხვა რამ არ იქნებოდა დადგენილი. კანონმა კი სადავო ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა ცალსახად განსაზღვრა **2006** წლის **1** სექტემბრამდე და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **217**-ე მუხლის მოთხოვნები, საფუძველს მოკლებულია.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ **2006** წლის **17** აგვისტოს გამოცემულ **126** ბრძანებასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული ბრძანება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **177**-ე მუხლით რეგლამენტირებულ ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, რომელიც ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება. აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობა მოსარჩელის დავის საგანს წარმოადგენდა, თუმცა შემდგომ ამ ნაწილში მოსარჩელემ შეამცირა თავისი მოთხოვნა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ **2006** წლის **17** მარტის ბრძანება ატარებდა ინფორმაციულ ხასიათს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, რომლითაც არ განსაზღვრულა მოსაზრებების წარდგენის ვადა. სააპელაციო პალატამ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **213**-ე მუხლის მე-2 ნაწილის «დ» პუნქტი, რომლის თანახმად, მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვრა ცნობით-ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად, შესაბამისად მოსაზრებების წარდგენის **20**-დღიანი ვადის ათვლა კანონით დადგენილი წესით უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან. პროექტი საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდა **2006** წლის **10** აგვისტოს, «ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე **2006** წლის **9** ივნისის საქართველოს კანონის მიღებისა და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის საჯარო წარმოების დაწყების დღიდან, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **118**-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნები არ დაურღვევია.

სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ დარღვეულა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესი, კერძოდ, ხსენებული კოდექსის **55**-ე-**56**-ე მუხლები, **210**-ე მუხლის II ნაწილი და **213**-ე მუხლი.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ **2006** წლის **10** აგვისტოს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ცნობა «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების გამოსაცემად» საჯარო წარმოების დაწყების თაობაზე

და დაინტერესებულ პირებს მიეცათ წინადადება გამოქვეყნებულ პროექტთან დაკავშირებით 20 დღის განმავლობაში წარედგინათ მოსაზრებები. ასეთივე ცნობა გაიკრა სამინისტროს შესასვლელში.

სააპელაციო პალატამ ზეპირი მოსმენისა და დაინტერესებული პირების მოწვევის საკითხთან დაკავშირებით ჩათვალა, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ნორმატიული აქტის მიღება არ მომხდარა კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით იმ საფუძველით, რომ «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» მე-7 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიისათვის ახალი პირობების დამდგენი ნორმა, ეწინააღმდეგება «საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს «...», სს «...» და «გ. ა-აკის ი.ს. ....» და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორებმა განმარტეს, რომ «ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი, რომ «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» გამოცემა უნდა განხორციელდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, მათ შორის კომისიის და დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

კასატორები არ ეთანხმებიან სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 213-ე მუხლი და დაინტერესებული პირის მოწვევა საჯარო განხილვაზე სავალდებულო არ არის. კასატორები თვლიან, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კანონი «საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ», ვინაიდან სადავო ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა დაადგინა რა საქმიანობის განხორციელების არსებითად ახალი წესები, უკანონოდ შეზღუდა მოსარჩელეთა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება, რაც პირდაპირ და უშუალო წინააღმდეგობაშია კანონთან, აღნიშნული კი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმა, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველად მიიჩნია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ შპს «...», სს «...» და გ. ა-აკის ი.ს. ....» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოცემულ საქმეზე მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს 177 ბრძანებით დამტკიცებული «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ბათილად ცნობა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს 177 ბრძანებით დამტკიცებული «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის 11/2/411 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კონსტიტუციური სარჩელი 1411 (შპს «...», შპს «...», სს «...» და გ. ა-აკის ინდივიდუალური საწარმო «...» საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ); არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტი (იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ელექტროენერჯის საცალო მომხმარებელზე «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით» დადგენილ მოცულობაზე მეტი ელექტროენერჯის (სიმძლავრის) რეალიზაციას და «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» საქართველოს ენერგეტიკის მინისტროს 2006 წლის 30 აგვისტოს 177 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. ძალადაკარგულად იქნა ცნობილი «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტი (იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ელექტროენერჯის საცალო მომხმარებელზე «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით» დადგენილ მოცულობაზე მეტი ელექტროენერჯის (სიმძლავრის რეალიზაციას) და «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ»

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს 177 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი.

იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით უკვე ძალადაკარგულადაა ცნობილი მოცემულ საქმეზე სადავო «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ» საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს 177 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე მოსარჩლეებს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ დავაზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე დავის საგნის არარსებობის გამო.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» პუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და შეწყდეს საქმის წარმოება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე**

#### **განჩინება**

18ს-1327-1286(კს-08)

4 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. ქადაგიძე,**  
**ლ. მურუსიძე**

**გასაჩივრებული განჩინება:** თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 24.09.08წ. განჩინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ «...» 23.03.04წ. რეგიონალურ საბაჟო «აღმოსავლეთის» წინააღმდეგ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს. მოსარჩელემ საწარმოს სახელზე საქართველოს საზღვრის გარედან შემოსული სპირტის საბანკო გარანტიის დატოვებით გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევა მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მიღებული საქონელი ექვემდებარებოდა საბაჟო რეჟიმში მოქცევას საბანკო გარანტიის დატოვებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ «...» მიმართა რეგიონალურ საბაჟო «აღმოსავლეთს» გადასამუშავებლად შემოსული სპირტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად. საბაჟო გადასახადი, აქციზი და დამატებითი ღირებულების გადასახადი უნდა დაფარულიყო საბანკო გარანტიის მეშვეობით, თუმცა რეგიონალური საბაჟო «აღმოსავლეთის» 15.03.04წ. 111-614 წერილით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 13.04.04წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რეგიონალურ საბაჟო «აღმოსავლეთს» დაევალა მოსარჩელის სახელზე შემოსული სპირტის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევა საბანკო გარანტიის დატოვებით. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 14.04.04წ. განჩინებით ამავე სასამართლოს 13.04.04წ. გადაწყვეტილება მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღ-

სასრულებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურმა საბაჟო «აღმოსავლეთმა». აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს **24.09.08წ.** საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «აღმოსავლეთის» უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **24.09.08წ.** განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს **13.04.04წ.** გადაწყვეტილება და საპელაციო წარმოება შეწყდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის საგანი არ არსებობდა, აპელანტი მოითხოვდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ სააპელაციო საჩივარი შეეხებოდა აქციზის გადასახადისგან საწარმოს გათავისუფლების დაუშვებლობას. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილი იყო მოსარჩელის სახელზე შემოსული სპირტის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევის თაობაზე.

თბილისის საპელაციო სასამართლოს **24.09.08წ.** განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია), რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ითხოვდა მის გაუქმებას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის არარსებობის გამო სააპელაციო წარმოების შეწყვეტა უსაფუძვლო იყო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება დავის საგნის არარსებობის თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს «...» ითხოვდა რეგიონალურ საბაჟო «აღმოსავლეთს» დავალებოდა მის სახელზე შემოსული სპირტის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევას საბანკო გარანტიის დატოვებით, რაზეც უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ «აქციზის შესახებ» კანონის **128-ე** მუხლი აქციზის გადახდევინებაში შეღავათს არ ითვალისწინებდა და საქონლის საბაჟო რეჟიმში ჩაყენებამდე აქციზის თანხა ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარებოდა. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს **13.04.04წ.** გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და რეგიონალურ საბაჟო «აღმოსავლეთს» დაევალა შპს «...»-ის სახელზე შემოსული სპირტის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევა საბანკო გარანტიის დატოვებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სახელზე შემოტანილი სპირტი გადამუშავების საბაჟო რეჟიმში უნდა მოქცეულიყო ყოველგვარი გადასახადის გადახდის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ აპელანტი მხოლოდ მეწარმის აქციზის გადახდისაგან გათავისუფლების დაუშვებლობაზე უთითებდა და სადავოდ არ ხდიდა საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცევას, არ ადასტურებს დავის საგნის არარსებობას. დავის საგანს სწორედ აქციზის გადასახადის გადახდის გარეშე საქონლის გადამუშავების რეჟიმში ჩაყენება შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სსკ-ის **272-ე** მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი და სააპელაციო სასამართლოს არსებითად უნდა ემსჯელა რეგიონალური საბაჟო «აღმოსავლეთის» სააპელაციო საჩივარზე.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს **13.04.04წ.** გადაწყვეტილება და სააპელაციო წარმოება შეწყდა. სააპელაციო სასამართლოს მიერ, ერთის მხრივ, დავის საგანის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა და მეორეს მხრივ, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება არ ემყარება პროცესუალურ კანონმდებლობას. დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაუშვებელია იმავდროულად სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღება, ვინაიდან აღნიშნული ადასტურებს სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვას და გამორიცხავს დავის საგნის არარსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **24.09.08წ.** განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დაადგინა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.09.08წ. განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-48-48(3კ-09)

21 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

შპს «...» წარმომადგენელმა ჯ. დ-ემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხე - ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

**საქმის გარემოებები:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2006 წლის 7 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, ბათუმის საგადასახადო ინსპექციის იმავე წლის 27 ნოემბრის 12965 ბრძანების შესაბამისად, ბათუმის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა მიერ შპს «...» ჩატარდა საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე, რომელმაც მოიცვა 2006 წლის 24 იანვრიდან 2006 წლის 1 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდი. შემოწმების შედეგებზე შედგა შესაბამისი აქტი, რომლის ნაწილს მოსარჩელე არ დაეთანხმა, რის გამოც მან აქტს ხელი არ მოაწერა. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ, 2006 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249.1. «ა» მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ინსპექციაში შპს «...» წარადგინა 2006 წლის აგვისტოს დეკლარაცია, რომელშიც მექანიკური შეცდომით დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვის გრაფაში დასაბეგრი ბრუნვად დაფიქსირდა 2006 წლის 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით მთლიანი რეალიზაცია – 90652,54 ლარი, ნაცვლად დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგი პერიოდის რეალიზაციისა – 30452,54 ლარისა, შესაბამისად, ბიუჯეტის სასარგებლოდ დასარიცხი 5486,16 ლარი დღგ-ს ნაცვლად შეცდომით დაერიცხა 16317,74 ლარი. შეცდომა გამოვლინდა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ გასვლითი საკონტროლო საგადასახადო შემოწმების პროცესში და, შესაბამისად, შპს «...» ველარ მოახდინა სსკ-ის 97-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ დეკლარაციაში ცვლილების შეტანა (დაზუსტება). შემოწმების დროს საგადასახადო ორგანომ არ გაიზიარა აღნიშნული შეცდომა და შემოწმების აქტში 2006 წლის აგვისტოს თვის დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვად დაფიქსირდა სრული თვის (1-31 აგვისტო) შემოსავალი – 90652,54 ლარი და არა ის, რაც ფაქტობრივად (16-31 აგვისტოში) ექვემდებარებოდა დაბეგვრას – 30714,95 ლარი, ე.ი. ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი თანხაც აქტით უნდა გაზრდილიყო 10836,00 ლარით.

მოსარჩელე ასევე არ დაეთანხმა აქტის მიხედვით დამატებით დარიცხულ თანხებს სოციალური და საშემოსავლო გადასახადების ნაწილში, რამდენადაც შპს «...» და ფიზიკურ პირს შორის ტრანსპორტით მომსახურების თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს «...» მძღოლს უზრუნველყოფდა ტრანსპორტის საწვავით, რომელიც მიეკუთვნებოდა საწარმოო ხარჯებს, ხოლო გაწეული მომსახურებისათვის მას ეძლეოდა ხელფასი.

2007 წლის 17 იანვარს ბათუმის საგადასახადო ინსპექციიდან საზოგადოებამ მიიღო «საგადასახადო მოთხოვნა»<sup>1</sup> 123 შემოწმების შედეგად დარიცხული თანხების თაობაზე, რაზეც 2007 წლის 24 იანვარს ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში განმეორებით იქნა შეტანილი წერილობითი შესაგებელი, რომელიც ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 31 იანვრის<sup>1</sup> 375 ბრძანებით, არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც შპს «...» განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საგადასახადო დავების საბჭოს, რომელმაც სსკ-ის 159.2. «გ» მუხლის შესაბამისად, 20 სამუშაო დღის ვადით შეაჩერა დავის საგნის განხილვის წარმოება დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ხოლო მ/წ 17 მაისის<sup>1</sup> 05-04/4996 გადაწყვეტილებით – საზოგადოების განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების შედეგებზე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შედგენილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით, იგი არ ემყარებოდა საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შესწავლას და არ გამომდინარეობდა ფაქტობრივი, რეალური მდგომარეობიდან, რამაც შპს «...» მიაყენა პირდაპირი და უშუალო ზიანი. რაც შეეხება დამატებით დარიცხულ თანხებს სოციალური და საშემოსავლო გადასახადების ნაწილში, მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნულ საკითხსაც მიეცა არამართებული ინტერპრეტაცია და საზოგადოებას არასწორად დაერიცხა დამატებით საშემოსავლო გადასახადის – 2145,51 ლარის, ხოლო სოციალური დაზღვევისთვის – 214,41 ლარის გადახდა.

**სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:**

სადავო აქტის მიღებისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.4 მუხლის მოთხოვნები, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ შპს «...» ჩატარებული საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შედგენილი 2006 წლის 11 დეკემბრის აქტის ბათილად ცნობა, ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 9 იანვრის<sup>1</sup> 123 «საგადასახადო მოთხოვნის» ნაწილი, კერძოდ, 2006 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ-ს თანხა, ნაცვლად აქტით დაფიქსირებული 16714,95 ლარისა, განსაზღვრულიყო 5878,95 ლარით, ასევე დამატებითი გადასახადის სახით საშემოსავლო და სოციალური გადასახადების გაუქმება.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის უფროსმა არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტები კანონიერი იყო და არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი საგადასახადო ინსპექციის მიერ შპს «...» ჩატარებული საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შედგენილი 2006 წლის 11 დეკემბრის აქტი და 2007 წლის 9 იანვრის<sup>1</sup> 123 საგადასახადო მოთხოვნა; მოპასუხეს დაევალა ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

**საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:**

შპს «...» ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში დარეგისტრირდა 2006 წლის 24 იანვარს და ჩაერთო სამეწარმეო რეესტრში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2006 წლის 7 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე ბათუმის საგადასახადო ინსპექციის იმავე წლის 27 ნოემბრის<sup>1</sup> 2965 ბრძანების შესაბამისად, ბათუმის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა მიერ შპს «...» ჩატარდა საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე, რომელმაც მოიცვა 2006 წლის 24 იანვრიდან 2006 წლის 1 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდი. შპს «...» დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ, 2006 წლის 14 სექტემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249.1. «ა» მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ინსპექციაში მის მიერ წარდგენილ იქნა 2006 წლის აგვისტოს თვის დეკლარაცია. აღნიშნულ დეკლარაციაში დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვის გრაფაში დასაბეგრ ბრუნვად დაფიქსირებულ იქნა 2006 წლის 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით მთლიანი რეალიზაცია - 90652,54 ლარი, ნაცვლად დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ პერიოდის რეალიზაციისა – 30452,54 ლარისა, შესაბამისად, ბიუჯეტის სასარგებლოდ დასარიცხი 5486,16 ლარი დღგ-ს ნაცვლად შეცდომით დარიცხულ იქნა 16317,74 ლარი, ანუ 10836,00 ლარით მეტი. საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ აღნიშნული შეცდომა აღმოჩენილ იქნა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ გასვლითი საკონტროლო საგადასახადო შემოწმების პროცესში და შესაბამისად, შპს «...» მიერ ვეღარ მოხდებოდა სსკ-ის 97-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ დეკლარაციაში ცვლილების შეტანა, ვინაიდან ამ მუხლის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენდა შეცდომებს, რომლებიც იწვევდა საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებული იყო, საგადასახადო დეკლარაციაში შეეტანა შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე მუხლები და განმარტა, რომ მითითებულ ნორმათა გათვალისწინებით, საგადასახადო ინსპექციას სადავო ბრძანებების მიღების დროს უნდა მოეხდინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა და შეფა-



სება. ამასთან, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების მიღების დროს დაირღვა მისი მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც წარმოადგენდა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით არაკანონიერი იყო და ექვემდებარებოდა გაუქმებას. საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178.1. «გ» მუხლის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოთხოვნა. მოსარჩელემ 2006 წლის 1 ივნისს მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საწარმოში ჩატარებული საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შედგენილი 2006 წლის 11 დეკემბრის შემოწმების აქტისა და 2007 წლის 9 იანვრის 1123 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა. სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლაზე მოპასუხე ბათუმის საგადასახადო ინსპექციას თანხმობა არ მიუცია. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საგადასახადო შემოწმების აქტი და 1123 საგადასახადო მოთხოვნა. სადავო საკითხზე არსებობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 105-04/4996 გადაწყვეტილება, რომელიც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია და საგადასახადო კოდექსის 160.2 მუხლით დადგენილ ვადაში და წესით არ გაუსაჩივრებია. შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო საკითხზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 105-04/4996 გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში და იგი დავის საგანს არ წარმოადგენდა, ხოლო, რაც შეეხება 1123 საგადასახადო მოთხოვნას, მისი გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა სარჩელის შეტანის დროისათვის – 2006 წლის 1 ივნისისათვის, უკვე გასული იყო.

აპელანტის განმარტებით, გადამხდელის მიერ საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არ აჩერებდა საგადასახადო მოთხოვნის სასამართლოში გასაჩივრების ვადას, ანუ სადავო აქტების გასაჩივრების დროს სასამართლოშიც და ფინანსთა სამინისტროს სისტემაშიც იმ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლით დადგენილი იყო 15 კალენდარული დღე და ამ ვადაში გადამხდელს შეეძლო დაეწყო დავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში. საქალაქო სასამართლოს აღნიშნული უნდა გაეთვალისწინებინა და სარჩელის დაუშვებლობის გამო, შეეწყვიტა მოცემული საქმის წარმოება.

საგადასახადო კოდექსის 97.1 მუხლის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციებში აღმოაჩენდა შეცდომებს, რომლებიც იწვევდა საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებული იყო, საგადასახადო დეკლარაციაში შეეტანა შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება. სარჩელის თანახმად, მოსარჩელემ აღიარა, რომ მის მიერ დეკლარაციაში დაშვებულ იქნა შეცდომა, თუმცა შპს «...» საგადასახადო ინსპექციისათვის გასწორებული საგადასახადო დეკლარაცია არ წარუდგენია. ამდენად, დარიცხვა განხორციელდა კანონის შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის 174.1 მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» პუნქტის თანახმად, სარგებლის ღირებულებად ითვლება დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა, რომელიც ამავე კოდექსის 218-ე და 269-ე მუხლების მიხედვით ექვემდებარებოდა დაბეგვრას საშემოსავლო და სოციალური გადასახადებით. ამავე კოდექსის 132.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებებში გადასახადის ოდენობის 15000 ლარამდე შემცირება – იწვევდა დაჯარიმებას შემცირებული თანხის 25%-ის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევაში, შემცირდა შპს «...» მიერ დღგ-ს დეკლარაციაში გადასახადის თანხა, საგადასახადო კოდექსის 247.1 მუხლის თანახმად, დღგ-ს ჩათვლის უფლება წარმოემვა დღგ-ს გადამხდელად სავალდებულო წესით რეგისტრაციის დროს (2006 წლის 16 აგვისტოდან), ხოლო საზოგადოებას ჩათვლა მიღებული ჰქონდა რეგისტრაციამდე პერიოდში. ამდენად, მას შეეფარდა საჯარიმო სანქციები კანონმდებლობის სრული დაცვით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონო იყო და ექვემდებარებოდა გაუქმებას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლით დადგენილი იყო საგადასახადო დეკლარაციაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის წესი, კერძოდ, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციებში აღმოაჩენდა შეცდომებს, რომლებიც იწვევდა საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებული იყო, საგადასახადო დეკლარაციაში შეეტანა შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება. საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლით დადგენილი იყო გადასახადის თანხების დარიცხვის წესი, რომლის თანახმად, თუ გადასახადის გადახდევინება დაკავშირებული იყო საგადასახადო დეკლარაციების შევსებასთან,

გადასახადის გადახდის ვალდებულებათა ამსახველი დეკლარაციის შევსება განიხილებოდა, როგორც: ა) ამ გადასახადის დარიცხვა; ბ) «საგადასახადო მოთხოვნა» და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესრულებული ვალდებულება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174.1 მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნებოდა ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან, მათ შორის დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულების თანხის გამოთვლის წესი. შპს «...» საწვავისათვის გაცემული თანხები არ ჰქონდა დაბეგრული საშემოსავლო და სოციალური გადასახადებით, რაც სსკ-ს 174.2 «ვ» მუხლის თანახმად, წარმოადგენდა მძღოლის მიერ მიღებულ საზღაურს/სარგებელს.

ამასთან, შპს «...» საჩივრები ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 11 დეკემბრის საგადასახადო შემოწმების აქტის და 2007 წლის 9 იანვრის 1123 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობაზე არ დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განხილვისას და მოსარჩელეს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 22 თებერვლის 1426-ს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2007 წლის 17 მაისის 105-04/4996 გადაწყვეტილება სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის შპს «...» დირექტორმა არ ცნო სააპელაციო საჩივრები, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი საგადასახადო ინსპექციის მიერ შპს «...» ჩატარებული საკონტროლო გავლითი საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შედგენილი 2006 წლის 11 დეკემბრის აქტი და 2007 წლის 9 იანვრის 1123 საგადასახადო მოთხოვნა შპს «...» 428,96 ლარის დარიცხვის ნაწილში; შპს «...» სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; შპს «...» დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 433,44 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასრებლოდ, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის 115-141 ბრძანების საფუძველზე შპს «...» ჩატარდა საკონტროლო გავლითი საგადასახადო შემოწმება. აღნიშნული საზოგადოება გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირდა 2006 წლის 24 იანვარს, ხოლო 2006 წლის 16 აგვისტოს სავალდებულო წესით რეგისტრირებულ იქნა დღგ-ს გადამხდელად და მასზე გაიცა დღგ-ს გადამხდელის სერტიფიკატი. ზემოაღნიშნული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, საწარმოზე გადასახდელად დამატებით დარიცხვას დაექვემდებარა 19354,39 ლარი, რაც გადანაწილდა შემდეგნაირად: დღგ – 15898,12 ლარი; საშემოსავლო გადასახადი – 241,41 ლარი; სოციალური გადასახადი – 241,51 ლარი და ჯარიმა – 3000 ლარი. დადგენილია, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია სსკ-ის 133.3 მუხლის შესაბამისად დარიცხული ჯარიმა, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და სრულად გააუქმა სადავო აქტები.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი და განმარტა, რომ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, თავისი გადაწყვეტილებით მხარისათვის მიეკუთვნებინა ის, რაც მას არ მოუთხოვია. დადგენილია, რომ შპს «...» საგადასახადო მოთხოვნის გაუქმება დღგ-ს ნაწილში მოითხოვა იმ მოტივით, რომ მის მიერ დეკლარაციის შევსებისას დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, 2006 წლის აგვისტოს თვის დღგ-თი დასაბეგრ ბრუნვად დაფისქირდა სრული თვის შემოსავალი - 90652,54 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 95.1 მუხლის მიხედვით, საგადასახადო დეკლარაცია წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის წერილობით ანგარიშგებას მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების, შემოსავლის წყაროების, გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების, საგადასახადო შეღავათების, გამოანგარიშებული გადასახადის თანხის ან/და გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებული იყო, წარედგინა საგადასახადო დეკლარაცია ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ვადებში. საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენდა შეცდომებს, რომლებიც იწვევდა საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას (შემცირებას ან გაზრდას), იგი ვალდებული იყო, საგადასახადო დეკლარაციაში შეეტანა შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ საგადასახადო დეკლარაციაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა წარედგინებოდა საგადასახადო ორგანოს საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვამდე, შეცვლილი საგადასახადო

დო დეკლარაცია ჩაითვლებოდა თავდაპირველად წარდგენილად. აღნიშნულთან დაკავშირებით დადგენილია, რომ შპს «...» მიერ შესწორებული საგადასახადო მოთხოვნა წარდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მოთხოვნა საშემოსავლო და სოციალური გადასახადების – 241,41 და 241,51 ლარის დარიცხვის ნაწილში შემოწმების აქტისა და საგადასახადო მოთხოვნის გაუქმების შესახებ, საფუძვლიანი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საწარმოს თანამშრომელზე – მძღოლზე ტრანსპორტით მომსახურების თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საწვავის გადაცემა დაფიქსირებული იყო, როგორც საწარმოს თანამშრომელზე გაცემული ხელფასი და შესაბამისად, დაიბეგრა საშემოსავლო და სოციალური გადასახადებით.

საგადასახადო კოდექსის 174.1 მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნებოდა ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» პუნქტის თანახმად, სარგებლის ღირებულებად ითვლებოდა დაქირავებულის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მძღოლისათვის საწვავის ღირებულების ანაზღაურება არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ისეთ ხარჯად, რომელიც უნდა დაბეგრულიყო როგორც ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული საზღაური. აღნიშნული უნდა ჩაითვალოს საწარმოს მიერ გაწეულ ხარჯად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «...» დირექტორმა ლ. რ-მემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

#### **კასაციის მოტივი:**

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების გარეშე.

კასატორის მოსაზრებით, დღგ-ს დასაბეგრ ბრუნვად, ნაცვლად რეგისტრაციის შემდგომი პერიოდის (2006 წლის 16 აგვისტო) რეალიზაციისა, 2006 წლის 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით მთლიანი თვის დეკლარაციის შეცდომით დაფიქსირება აღმოჩენილ იქნა საგადასახადო ინსპექციის მიერ გასვლითი საკონტროლო საგადასახადო შემოწმების პროცესში და შესაბამისად, შპს «...» მიერ, სსკ-ის 97-ე მუხლის შესაბამისად, ვერ განხორციელდა წარდგენილ დეკლარაციაში ცვლილების შეტანა (დაზუსტება), რამდენადაც სსკ-ის 132.5 მუხლის თანახმად, გადასახადის გადამხდელს შესწორებული დეკლარაციის წარდგენის უფლება აქვს გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შეტყობინების მიღებამდე. კონკრეტულ შემთხვევაში, შეცდომა აღმოჩენილ იქნა არა შეტყობინების მიღებამდე, არამედ, უშუალოდ შემოწმების პროცესში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

#### **კასაციის მოტივი:**

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე, 337-ე მუხლები. ასევე არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალური საფუძველიც, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან, მათ შორის დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულების თანხის გამოთვლის წესი. შპს «...» ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ მძღოლზე საწვავისათვის გაცემული თანხები არ ჰქონდა დაბეგრული საშემოსავლო და სოციალური გადასახადებით, რაც, სსკ-ს 174.2 «ვ» მუხლის თანახმად, წარმოადგენდა მძღოლის მიერ მიღებულ საზღაურს/სარგებელს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

#### **კასაციის მოტივი:**

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 393.2 «ა» მუხლი, რაც საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174.1 მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური.

დაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» პუნქტის თანახმად, სარგებლის ღირებულებად ითვლება თანხა, დაქირავებულის მიერ ამ ნაწილით განსაზღვრული ოდენობით მიღებული სარგებლისათვის, გადახდილი თანხის გამოკლებით, მათ შორის, დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დაქირავებულისათვის გაცემულ ხელფასად არ ჩაითვლება თანხა, რომელიც გარკვეული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების სახით იქნა გაცემული დაქირავებულისათვის. ასეთ შემთხვევაში, დაქირავებულ პირზე, როგორც წესი, გაიცემა თანხა საქვეანგარიშოდ და დავალების შესრულების შემდეგ, დაქირავებული ვალდებულია საწარმოში წარადგინოს ანგარიში გაწეული ხარჯების შესახებ და ასევე – ამ ხარჯების გაწევის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის და შპს «...» დირექტორის – ლ. რ-ძის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 «გ» პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოში 2009 წლის 21 ივლისის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი იქნა შპს «...» დირექტორის ლ. რ-ძის შუამდგომლობა, რომლითაც მხარემ მოითხოვა სსსკ-ის 272 «ა» მუხლის საფუძველზე სარჩელის მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო, რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდგომ ბათუმის რეგიონალურ ცენტრში 2008 წლის 23 ოქტომბერს კორექტირებული მონაცემებით წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მიერ პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, ანუ შემცირდა დარიცხვა 10836,00 ლარის ოდენობით.

მოწინააღმდეგე მხარეებმა – ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის და ბათუმის რეგიონალური ცენტრის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს შუამდგომლობას და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის და ბათუმის რეგიონალური ცენტრის წარმომადგენლებმა მოითხოვეს დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, ბათუმის რეგიონალური ცენტრის და შპს «...» საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება; დაკმაყოფილდეს შპს «...» შუამდგომლობა და შეწყდეს საქმის წარმოება სარჩელის – 2006 წლის აგვისტოს ბიუჯეტიდან დამატებით დასაბრუნებელი თანხის 10836,00 ლარით განსაზღვრის ნაწილში დავის საგნის არარსებობის გამო; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს საქმე შემოსავლო და სოციალური გადასახადის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოში 2009 წლის 21 ივლისის სასამართლო სხდომაზე შპს «...» დირექტორის – ლ. რ-ძის მიერ წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა, რომლითაც მხარემ მოითხოვა სსსკ-ის 272 «ა» მუხლის საფუძველზე სარჩელის მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო, რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდგომ ბათუმის რეგიონალურ ცენტრში 2008 წლის 23 ოქტომბერს კორექტირებული მონაცემებით წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მიერ პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილება ანუ შემცირდა დარიცხვა 10806, 00 ლარის ოდენობით, რაც დაადასტურა საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებმა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს «...» დირექტორის ლ. რ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა შპს «...» დირექტორმა ლ. რ-ძემ უარი თქვა რა ნაწილობრივ სარჩელზე – 2006 წლის აგვისტოს ბიუჯეტიდან დამატებით დასაბრუნებელი თანხის 10836,900 ლარით განსაზღვრის ნაწილში, ამგვარად გამოხატა ნება თავისი საპროცესო და

მატერიალური უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე კერძო სამართლის იურიდიული პირის ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 2006 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტიდან დამატებით დასაბრუნებელი თანხის 10836,900 ლარით განსაზღვრის ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სსსკ-ის 272 «ა» მუხლის საფუძველზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, დავის საგნის არარსებობის გამო.

შპს «...» სარჩელის დანარჩენ დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, სსსკ-ის 407.2. მუხლის მიხედვით, წარმოდგენილია დასაბუთებული და დამატებითი საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადასტურებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნება სავალდებულო საკასაციო სასამართლოსთვის.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 და 394 «ე» მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული საქმის მასალები და დადგენილი ფაქტები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა მოტივს სააპელაციო სასამართლოს მიერ საშემოსავლო და სოციალური გადასახადების ოდენობის მცდარად მითითების თაობაზე, რამდენადაც საგადასახადო შემოწმების აქტის მიხედვით ირკვევა, რომ საწარმოს საშემოსავლო გადასახადების ნაწილში გადასახდელად დაერიცხა 241,41 ლარი, ხოლო სოციალური გადასახადის ნაწილში – 214,51 ლარი მაშინ, როცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სოციალური გადასახადის ნაწილშიც მითითებულია 241,51 ლარი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის 174.1 მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» პუნქტის თანახმად, სარგებლის ღირებულებად ითვლება თანხა, დაქირავებულის მიერ ამ ნაწილით განსაზღვრული ოდენობით მიღებული სარგებლისათვის, გადახდილი თანხის გამოკლებით, მათ შორის, დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვეს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მძლოლისათვის საწვავის ღირებულების ანაზღაურება არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ისეთ ხარჯად, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, როგორც ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული საზღაური, თუმცა სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რომელი მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზე მივიდა სასამართლო ამგვარ დასკვნამდე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე მოიპოვოს მტკიცებულებები, რათა სარწმუნოდ იქნეს დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, თუ რა სახის ხელშეკრულებები იყო დადებული მძლოლებთან საწარმოს მიერ, კერძოდ, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ხელშეკრულები და დაადგინოს, საწარმოს მიერ მძლოლებთან დადებული იყო შრომითი ხელშეკრულებები, როგორც დაქირავებულ მოსამსახურეებთან, თუ სახეზეა მომსახურების ხელშეკრულებები. აღნიშნულის შეფასების შემდეგ უნდა გამოიტანოს სააპელაციო სასამართლომ დასკვნა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ხარჯი დაბეგვრას სოციალური და საშემოსავლო გადასახადებით, როგორც საწარმოს თანამშრომელზე გაცემული ხელფასი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოარკვიოს საწარმოს მიერ მძლოლისათვის საწვავის ხარჯის სახით გაცემული თანხა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაიბეგრა თუ საერთოდ დარჩა დაბეგვრის მიღმა. სასამართლომ უნდა იმსჯელოს მძლოლის მიერ საკუთარი ავტომანქანით მომსახურების შეთავაზება საწარმოსათვის /საწარმოს მიერ გაღებული თანხა საწვავის შესაძენად/ შესაძლე-

ბელია თუ არა ისე გატარდეს საწარმოს ხარჯად, რომ თანხის მიმღები არ დაიბეგროს როგორც შემოსავლის მიმღები.

სადავო სამართალურთიერთობისთვის სამართლის ნორმის შეფარდებისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ობიექტურად და სრულყოფილად გამოკვლეული და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საგადასახადო კოდექსის 174-ე, 177-ე და 178-ე მუხლების კონტექსტში, მოახდინოს სწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 178-ე მუხლის «გ» პუნქტის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვეთება ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოთითხსენებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 9.2 მუხლის საფუძველზე სარჩელის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის გამო, შპს «...» უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი საკასაციო სასამართლოში 550 ლარიდან – 275 ლარი, პირველი ინსტანციის სასამართლოში 338 ლარიდან – 169 ლარი და გაიცეს სააღსრულებო ფურცელი;

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 272-ე «ა» პუნქტის, 372-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, ბათუმის რეგიონალური ცენტრის და შპს «...» საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. დაკმაყოფილდეს შპს «...» შუამდგომლობა და შეწყდეს საქმის წარმოება სარჩელის – 2006 წლის აგვისტოს ბიუჯეტიდან დამატებით დასაბრუნებელი თანხის 10836,00 ლარით განსაზღვრის ნაწილში, დავის საგნის არარსებობის გამო;
4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს საქმე საშემოსავლო და სოციალური გადასახადის ნაწილში;
5. შპს «...» დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი საკასაციო სასამართლოში 550 ლარიდან – 275 ლარი, პირველი ინსტანციის სასამართლოში 338 ლარიდან – 169 ლარი და გაიცეს სააღსრულებო ფურცელი;
6. განსახილველი დავის ნაწილში სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ;
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-719-685(23-09)

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 17 იანვარს შპს «...» სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის 1308 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა შემოწმება, რის შემდეგაც შედგენილ იქნა უკანონო (დაუსაბუთებელი) აქტი, რომელიც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა ჯერ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში, ხოლო შემდეგ, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში, რომლებმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა, თუმცა დაუკმაყოფილებელ ნაწილს დასაბუთებული უწოდეს.

მოსარჩელემ აგრეთვე მიუთითა, რომ აქტის თანახმად გადასახადები დაიანგარიშა და გადაიხადა ძველი წესით, რადგან ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მან არ იცოდა საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ, ხოლო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებმა მას ამ ცვლილებების შესახებ არ აცნობეს.

მოსარჩელემ ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 25 აგვისტოს აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 მაისის საოქმო განჩინებით მოპასუხეთა რიგებიდან ამოირიცხა ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 25 აგვისტოს აქტი 45880,6 ლარის გადასახადის დარიცხვის ნაწილში, ხოლო 12453 ლარის გადასახადის დარიცხვის ნაწილში უარი ეთქვა მოსარჩელეს აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იქნა შპს «...» შუამდგომლობა და 2004 წლის 25 აგვისტოს აქტით ბაზრის ორგანიზებისათვის გადასახადის ნაწილში დარიცხული თანხა შემცირდა 7881,32 ლარით, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიმართ დარიცხული თანხა შემცირდა 6795 ლარით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2004 წლის 30 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნულ იქნა საბუღალტრო ექსპერტიზა, რომლის 2005 წლის 18 იანვრის დასკვნის თანახმად, შპს «...» საბოლოოდ ბიუჯეტში გასადახდელად დაერიცხა ძირითადი გადასახადი – 9962,8 ლარი და ჯარიმა – 2490,5 ლარი. თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ამ დასკვნით განსაზღვრული თანხა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «...», რომელმაც გასაჩივრებული ნაწილის ბათილად ცნობა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია), ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით აპელანტ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: აპელანტ შპს «...» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 25 აგვისტოს შემოწმების აქტი იმ ნაწილში, რომლითაც შპს «...» გადასახდელად დაერიცხა 44933,40 ლარი (მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი – 2450,80 ლარი, სოციალური გადასახადი – 732,40 ლარი, ბაზრის ფიქსირებული გადასახადი – 41750,20 ლარი) და დანარჩენ – 13060,53 ლარის (მათ შორის დღგ – 881,40 ლარი, მოგების გადასახადი – 67,80 ლარი, საშემოსავლო გადასახადი – 1072,70 ლარი, სოციალური გადასახადი – 1770 ლარი, ბაზრის ფიქსირებული გადასახადი – 9610,60 ლარი,



სამეწარმეო გადასახადი – 119,07 ლარი, საგზაო გადასახადი – 341,97 ლარი) დარიცხვის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ წარმოდგენილ იქნა მონაცემები შპს «...» გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებზე შემოწმების აქტით 06.09.04 წ. დარიცხული თანხების შესახებ, აგრეთვე დღგ-ს, მოგების გადასახადის, საშემოსავლო გადასახადის, სოციალური გადასახადის, ბაზრის ფიქსირებული გადასახადის, ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადის, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადის დარიცხვის ბარათები. სასამართლომ მიუთითა, რომ რევიზიის აქტის საფუძველზე შპს «...» 2004 წლის 6 სექტემბერს გადასახდელად დაერიცხა 13060,53 ლარი, ხოლო სულ შემცირებული იქნა 44933,4 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, როდესაც მან აღნიშნა, რომ მოსარჩელეს ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოში შპს «...» მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზის 2005 წლის 18 იანვრის დასკვნით განსაზღვრული თანხა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის დებულებებს, რადგან საგადასახადო აქტით დარიცხული გადასახადის კანონიერების შემოწმება უნდა განხორციელებულიყო საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, სამისდო უფლებამოსილი ორგანოს მიერ და არა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი იყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შემოწმების აქტის მიხედვით დარიცხული 44933,4 ლარი იყო შემცირებული და სწორედ აღნიშნული თანხის ნაწილში სასამართლომ აქტი ხელმოკრედ ცნო ბათილად.

კასატორმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საგადასახადო ორგანოს მიერ სადავო შემოწმების აქტის 44933,4 ლარის დარიცხვის უსწორობის აღიარებაზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საგადასახადო ორგანოს მიერ წმოდგენილი მტკიცებულების არასწორი შეფასებისა და გამოკვლევის შედეგი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 24 სექტემბერს 12.00 საათზე; მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად მიეცა 10 დღის ვადა 2009 წლის 9 ივლისის განჩინების ჩაბარებიდან.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრებს, საქმის მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებები და ამ ნაწილში უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:



საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 25 აგვისტოს შემოწმების აქტით, შპს «...» ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 58333,9 ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხა – 30941,9 ლარი, ჯარიმა – 6969,2 ლარი და საურავი – 20422,8 ლარი. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 22 ოქტომბრის 105/317 გადაწყვეტილებით, კორექტირებას (შემცირებას) დაექვემდებარა ბაზრის ორგანიზებისათვის გადასახადში დარიცხული 7881,9 ლარი, ხოლო დანარჩენი დარიცხვები მიჩნეულ იქნა სწორად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით დარიცხული თანხა შემცირდა 6795 ლარით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება: შპს «...» გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებზე, 2004 წლის 6 სექტემბრის შემოწმების აქტით დარიცხული თანხებიდან, შემცირებულია 44933,4 ლარი, ხოლო დარჩენილია – 13060,53 ლარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. საკასაციო სასამართლო განმარტავს რომ საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმების აქტით დარიცხული თანხის – 44933,4 ლარით შემცირება ამ ნაწილში აქტის ბათილობას ნიშნავდა.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების ის ნაწილი რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს «...» სარჩელი, კერძოდ 13060,53 ლარის დარიცხვის ნაწილში, არ იქნა გასაჩივრებული საკასაციო წესით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა' ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ არ არსებობს დავის საგანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ არსებობს დავის საგანი, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და საქმეში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ 2004 წლის 6 სექტემბრის აქტით დარიცხულ იქნა 57993,9 ლარი, ამ თანხიდან შემცირებულია 44933,4 ლარი, ხოლო რეალურად დარიცხულ იქნა 13060,53 ლარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების ის ნაწილი რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს «...» სარჩელი არ იქნა გასაჩივრებული საკასაციო წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს დავის საგნის არარსებობის გამო.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა<sup>1</sup>» პუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებები და ამ ნაწილში შეწყდეს საქმის წარმოება შპს «...» სარჩელისა გამო მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე დავის საგნის არარსებობის გამო;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქმის წარმოების განახლება და შემდეგ შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო

### განჩინება

18-1882-17(ა-09)

28 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ბათუმის მერიამ **17.06.09წ.** და შპს «...» **07.07.09წ.** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **22.04.09წ.** განჩინების გაუქმება და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ **13.07.09წ.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **22.04.09წ.** განჩინების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **11.09.09წ.** განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...» განცხადებებზე შეჩერდა საქმის წარმოება განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადების განხილვამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **07.10.09წ.** განჩინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **22.04.09წ.** **18-487-466(კ-08)** განჩინების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...-ს» შორის მორიგების დამტკიცების შესახებ **22.04.09წ.** განჩინება და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...» განცხადებებზე უნდა განახლდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **11.09.09წ.** განჩინებით შეჩერებული საქმის წარმოება და დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...» განცხადებებზე შეჩერდა საქმის წარმოება განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადების განხილვამდე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **07.10.09წ.** განჩინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **22.04.09წ.** **18-487-466(კ-08)** განჩინების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...-ს» შორის მორიგების დამტკიცების შესახებ **22.04.09წ.** განჩინება და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება. აღნიშნულიდან გამომდინარე აღარ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებების შეჩერების საფუძველი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272-ე** მუხლის «ა» პუნქტის თანახმად სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **07.10.09წ.** განჩინებით დაკმაყოფილდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება **22.04.09წ.** განჩინების ბათილად ცნობის შესახებ და ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება რის გამოც აღარ არსებობს ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...» განცხადებებზე მსჯელობის საფუძველები, რადგან მათი მოთხოვნის დაკმაყოფი-

ლება გამოიწვია აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადების დაკმაყოფილებამ და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლებამ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 390-ე მუხლებით, 272-ე მუხლი «ა» პუნქტით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ბათუმის მერიის და შპს «...» განცხადებებზე განახლდეს საქმის წარმოება;
2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ბათუმის მერიის და შპს «...» განცხადებებზე შეწყდეს საქმის წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-1133-1080(გ-09)

24 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

**განიხილა** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული საქმე 18ს-1133-1080(გ-09), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრისა გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივნისის განჩინებაზე, ნ. შ-იას სარჩელისა გამო, მოპასუხე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

2009 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა შემდეგი მოტივით:

მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ქმედების განხორციელება (ე.წ. «ყვითელი ცნობის» გაცემა). თავდაცვის სამინისტროს მოპასუხედ ყოფნა განპირობებული იყო: ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.04.2006 წლის 1146 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულების მე-6 მუხლის «ტ» ქვეპუნქტის ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის ფუნქცია იყო «მოქალაქეთა განცხადებებისა და დეპარტამენტის საარქივო მასალების საფუძველზე, შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის საბრძოლო მოქმედებებში შესაძლო მონაწილეობის დადასტურება ან უარყოფა სათანაო ცნობის გაცემით».

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აპრილის 1146 ბრძანებით დამტკიცებული დებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 19 ივნისის 1448 ბრძანებით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 19 იანვრის 1448 ბრძანებით დამტკიცებული ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულების მე-6 მუხლის «ჟ» ქვეპუნქტის ჩანაწერით, დეპარტამენტის ფუნქცია (მოქალაქეთა განცხადებებისა და დეპარტამენტის საარქივო მასალების საფუძველზე, შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის საბრძოლო შემოქმედებებში შესაძლო მონაწილეობის დადასტურება ან უარყოფა სათანადო ცნობის გაცემით) შეიცვალა დაინტერესებული პირებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევით, კერძოდ, «იმ პირთა შესახებ, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში წარმოადგენდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს-საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან იმ დოკუმენტების დამოწმებული ასლებისა და სხვა მტკიცებულებების გამოთხოვა, რომლებიც შეიცავენ პერსონალურ მონაცემებს».

ამდენად, განმცხადებლის მითითებით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციაში აღარ შედის პირადი შემადგენლობის საბრძოლო მოქმედებებში შესაძლო მონაწილეობის დადასტურება ან უარყოფა სათანადო ცნობის გაცემით. შესაბამისად, შეუძლებელი იქნება მისი აღსრულება. შუამდგომლობის წარდგენის პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დადასტურების შესახებ თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი ერთეულის მიერ გაცემული ცნობის წარდგენის საჭიროებას ვეტერანის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსის მოსაპოვებლად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25.02.08 წლის 150/ნ ბრძანებაში («ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მოწმობების გაცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ) განხორციელებული ცვლილების თანახმად, მე-6 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა უნდა წარადგინოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორციხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებების, სამხედრო ტრამვის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვა.) მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს არანაკლებ სამი პირი — ერთი ამავე სამხედრო ფორმირების მეთაურთა შემადგენლობიდან და იმავე სამხედრო ფორმირების ორი თანამებრძოლი (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან დეპარტამენტის მონაცემთა ბაზაში). ხელმოწერები დადასტურებული უნდა იქნეს ბეჭდით (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

ამდენად, შუამდგომლობის ავტორმა სსსკ-ის 272-ე მუხლის «ა» მუხლის საფუძველზე დავის საგნის არარსებობის გამო მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

2009 წლის 18 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობასთან დაკავშირებით მოსაზრება წარმოადგინა მოწინააღმდეგე მხარემ – ნ. შ-იამ, რომელშიც აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა შუამდგომლობას და მოითხოვა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დავის საგნის არარსებობის გამო შეწყდეს საქმის წარმოება ნ. შ-იას სარჩელზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

2009 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა, რასაც წერილობით დაეთანხმა მოწინააღმდეგე მხარე – ნ. შ-ია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარე – ნ. შ-ია დაეთანხმა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობას საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე, ამგვარად გამოხატა ნება თავისი საპროცესო და მატერიალური უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე ფიზიკური პირის ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. შ-იას სარჩელზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სსსკ-ის 272 «ა» მუხლის საფუძველზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივნისის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე დავის საგნის არარსებობის გამო შეწყდეს საქმის წარმოება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე «ა» პუნქტის, 372-ე, 390-ე მუხლებით და

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივნისის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება;
3. ნ. შ-იას სარჩელზე დავის საგნის არარსებობის გამო შეწყდეს საქმის წარმოება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.